საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ნიკო ბერძენიშვილის სახელობის
ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

იზოლდა სამსონია

ხალხური ტანსაცმელი აჭარაში

(ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა"
ბათუმი – 2005

ნაშრომი ეძღვნება აჭარული ტანსაცმლის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას. მასში განხილულია ქალისა და მამაკაცის სამოსელი, მის კომპლექსში შემავალი ძირითადი ელემენტების დამზადების ტექნოლოგია, სამკაული, მასალა და ჭრა-კერვის ტექნიკა, სამოსელის ნაირსახეობანი და მათი ფუნქციონალური დანიშნულება.

წერილობითი, სამუზეუმო, არქეოლოგიური და საველე ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე გამოვლენილია აჭარელი ქალისა და მამაკაცის სამოსელის ლოკალური თავისებურებანი და მისი ადგილი ქართული ტანსაცმლის ისტორიაში.

რედაქტორები:

✝ აბელ სურგულაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ნოდარ კახიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები:

ნუგზარ მგელაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ჯემალ ვარშალომიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

© ს.ს. „გამოიცემლობა აჭარა“ – 2005

შესავალი

ტანსაცმელი მატერიალური კულტურის ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც პრაქტიკული დანიშნულების გარდა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სოციალურ და ქონებრივ მდგომარეობას, მეურნეობრივ საქმიანობას, გამოხატავს ეროვნულ, სქესობრივ, ასაკობრივ თავისებურებას და ესთეტიკურ გემოვნებას. იგი უშუალო კავშირშია სხვა ცხოვრებისეულ მოვლენებთან.

ამდენად, ტანსაცმლის თავისებურებათა შესწავლას შეუძლია შუქი მოჰფინოს ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფის მეტად მნიშვნელოვან მხარეებს.

ქართულ ეროვნულ ჩაცმულობაში თავისი ადგილი უჭირავს აჭარულ ტანსაცმელს, რომლის ტრადიციული ნიმუშები გასული საუკუნის მეორე ნახევრის 60-70-იან წლებში ყველაზე უკეთ ზემო აჭარის სოფლებში იყო შემორჩენილი.

აჭარულ ტანსაცმელში ასახულია კუთხის ისტორიული ბედის თავისებურება. ოსმალთა თითქმის სამსაუკუნოვანმა ბატონობამ გარკვეული კვალი დააჩნია აჭარის კულტურისა და ყოფის ზოგიერთ მხარეს, მათ შორის ტანსაცმელსაც. ამის მიუხედავად, მთელი ამ დროის მანძილზე, აჭარას დედა – საქართველოსთან არ შეუწყვეტია აქტიური კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. ამიტომაა, რომ კულტურისა და ყოფის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი აჭარაში ძირითადად ზოგადქართულ იერს ატარებს, რაც ბუნებრივია, არ გამორიცხავს ლოკალურ თავისებურებათა არსებობას იმ დონეზე, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია მესხეთ-ჯავახეთის, გურია-იმერეთისა და ქართლ-კახეთისათვის. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის ბრძოლაში კულტურისა და ყოფის ქართული ტრადიციული

ფორმების აშკარა თუ ფარული შემონახულობა აჭარაში ამ ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინება იყო.[1]

ამ მხრივ აჭარული ტანსაცმლის შესწავლა მრავალი საგულისხმო პრობლემის წინაშე დგება. ამოცანის საბოლოო გადაწყვეტა მოითხოვდა შესადარებელი მასალის მოპოვებას როგორც საქართველოს სხვა რეგიონებიდან, ასევე მისი მეზობელი ქვეყნებიდან, პირველყოვლისა თურქეთის ეთნოგრაფიული სინამდვილიდან. თუმცა, ხელი ზოგიერთ მათგანზე თუ მიგვიწვდება[2]. ამასთან ერთად, ეს მონაცემები მაინც არ შეიცავენ სრულ და სისტემატურ მასალას საბოლოო დასკვნების გამოსატანად. ამდენად, აჭარული ტანსაცმლის შეპირისპირებით შესწავლას აღმოსავლურ ტანსაცმელთან მეტ-ნაკლებად საკარაუდო მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

ნაშრომის ძირითადი ამოცანაა შეისწავლოს აჭარელი ქალის და მამაკაცის ტანსაცმლისათვის საჭირო მასალის მოპოვება და მისი დამზადების ხალხური ტექნოლოგია, ჩაცმულობის ძირითადი ელემენტები შემკულობის ჩათვლით. გამოავლინოს ის ლოკალური და ზოგადქართული ნიშნები, რაც აჭარულ ტანსაცმელს ახასიათებს.

ვფიქრობთ, ნაშრომში მოტანილი მონაცემები მნიშვნელოვნად შეავსებს და გაამდიდრებს ქართული ტანსაცმლის შესწავლის ისტორიას.

ნაშრომს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ ხულოს (1967-1970 წწ.), შუახევის (1969,1972-1973 წწ.), ქედის (1968 წ.), ხელვაჩაურისა (1968, 1971 წწ.) და ქობულეთის (1971 წ.) რაიონებში შეკრებილი საველე ეთნოგრაფიული მასალები, რომელთა მოპოვება ხდებოდა ქართულ ეთნოგრაფიაში ცნობილი

---

[1] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ., 1973, გვ. 4 (ალ.რობაქიძის შესავალი წერილი).

[2] Турки, народы Передней Азии. М., 1957.

კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენების საფუძველზე.[3]

ტანსაცმლისათვის საჭირო მასალებიდან შალის ქსოვილის დამზადების პრაქტიკამ ზემო აჭარაში (ღორჯომი, ჭვანა) დღემდე შემოინახა თავი და ამდენად შალის ქსოვილის დამზადების პროცესზე უშუალო დაკვირვების შესაძლებლობაც მოგვეცა. აბრეშუმის ქსოვა ბადეებისა და სარტყლის არშიების დასამზადებლად მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ შეწყდა. რაც შეეხება სელსა და კანაფს, მათი დამზადების ტექნიკა დიდი ხანია დავიწყებას მიეცა და მისი აღდგენა მხოლოდ გამოკითხვის წესით მოხერხდა.

აჭარული ჩაცმულობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით 1935-1936 წლებში შეკრებილი შინამრეწველობის მასალები, რომლებიც 1983 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.[4] მასში აღწერილია აჭარელი ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ჩაცმულობის ელემენტები, მოტანილია ფორკად წოდებული კაბის ერთი ფოტო. წიგნში გვხვდება საინტერესო შესადარებელი მონაცემებიც საქართველოს სხვა კუთხეებიდან (გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ქართლი, მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი), რაც დამოწმებული გვაქვს ტანსაცმლის ცალკეული ელემენტების განხილვის დროს.

ტანსაცმლის ზოგიერთი ელემენტი დროთა ვითარებაში ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ მათ შესახებ ჩვენ მხოლოდ ზეპირი გადმოცემების შეკრება შევძელით. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამუზეუმო კოლექციებს. მაღალი წოდების აჭარელი ქალის კოსტიუმის ერთადერთი სრული კომპლექტი დაცულია აკად. სიმონ ჯანაშიას

---

[3] Читая Г. Принципы и метод полевой этнографической работы. Советская этнография, 1957, N 4.

[4] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად.ი.ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. 3, ნაწ.1, თბ., 1983, გვ. 258-265.

სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აჭარელი ქალისა და მამაკაცის სამოსის მრავალი ეგზემპლარი ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში.

ტანსაცმლის შესწავლის მეთოდიკის თვალსაზრისით საყურადღებოა ნ.გაგენ-ტორნის წერილი, რომელიც დაწერილია კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე და ამასთან შეიცავს ზოგადი ხასიათის დებულებებს. ავტორი სწორად შენიშნავს, რომ ტანსაცმელი ადამიანის პასპორტია, რომელიც ასახავს მის ტომობრივი კუთვნილებას, წოდებრიობას, სქესს და ა.შ.[5]

ტანსაცმელის თეორიის მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პ.ბოგატიროვის გამოკვლევას. მასში განხილულია ტანსაცმლის სტრუქტურა და მისი ფუნქციების მრავალფეროვნება. წიგნში მოტანილია ჩეხი მეცნიერის ი.ვიდრას აზრი, რომლის მიხედვით ნაციონალური ტანსაცმელის შემონახულობით მისი მატარებლები "თავისი ხალხის უფლებებს იცავენ"[6]

კავკასიის ხალხთა ტანსაცმლის შესახებ არსებულ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია მ.ტილკეს ფუნდამენტალური გამოკვლევა, რომელშიც მოცემულია კულტურის ამ ელემენტის კლასიფიკაცია.[7]

საკითხის კვლევისას ჩვენ მხედველობაში მივიღეთ შესადარებელი მონაცემები სომხური[8] და აზერბაიჯანული[9] კოსტუ-

---

[5] Гаген-Торн Н. К методике изучения одежды в этнографии СССР. Советская этнография, 1933, N 3-4, с.122.

[6] Богатырев П., დასახ. ნაშრომი, გვ. 317, შენიშვნა 17.

[7] Tilke M., Orientalische Kostume in schnitt und Farbe. Berlin, 1923.

[8] Армянская одежда. Ереван, 1967.

[9] Азербайджанская национальная одежда. М., 1972.

მისადმი მიძღვნილ ნაშრომებიდან, აგრეთვე კასტელისა[10] და დ.ერმაკოვის ალბომებში დაცული ილუსტრაციებიდან.[11]

ქართული ჩაცმულობის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წყაროა XVII ს. ცნობილი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" მასში აღწერილია მემატიანეს თანადროული და წინა პერიოდის ქართული ტანსაცმელი. ვახუშტი განასხვავებს ერთმანეთისაგან საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩაცმულობას, გვაუწყებს თუ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში როგორ ტანსაცმელს იცვამდნენ, რა მასალისაგან ამზადებდენ მას და სხვა.[12] საკუთრივ აჭარული ტანსაცმლის შესახებ, სამწუხაროდ მას არაფერი აქვს ნათქვამი.

ქართული კოსტუმის შესწავლისათვის ასევე მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი "მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის" ნაშრომის პირველ ნაკვეთში ავტორი განიხილავს უძველესი დროიდან XIX ს. არსებული ქართული ტანსაცმლის განვითარების პროცესს. ყურადღებას ამახვილებს ქართული ტანსაცმლის წარმოშობის საკითხზე. მხედველობიდან არ არის გამოტოვებული კუთხეების მიხედვით ტანისამოსის დიდი მრავალფეროვნება, რომელსაც დიდი მკვლევარი განიხილავს, როგორც "საუკუნეთა განმავლობაში არსებული ტანისამოსის ნაშთს".[13]

აჭარულ ტანსაცმელთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი ახსენებს მხოლოდ კაბა ფორკას. ნაშრომში დასახელებულია VII-X სს. რელიეფებისა და ფრესკების მიხედვით ტანსაცმლის ნაირსახეობანი, ხოლო შემდეგ X-XV სს. სამეფო ტანსაც-

---

[10] კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, (ტექსტი გაშიფრა, თარგმანა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ.გიორგაძემ), თბ.,1976

[11] დაცულია აკად. ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფოტო კაბინეტში.

[12] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ.32.

[13] ივ.ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბ., 1962, გვ.4.

მელი. კედლის მხატვრობის (ოპიზა,ზარზმა, სიონი, გელათი, დავით გარეჯა, ვარძია, ნაბახტევი და სხვა) და წერილობითი წყაროების მიხედვით მეფეთა სამოსელის სადაურობის გარკვევისას ავტორი ასკვნის, რომ XI-XII სს. მეფეთა სამოსელი ბიზანტიიდან შეითვისეს ქართველებმა და რომ ეს შეთვისება მოხდა თანდათანობით. V-VI სს. ლაზიკის და VIII-XI სს. ტაოკლარჯეთის მეშვეობით. მკვლევარი თანმიმდევრულად განიხილავს მეფეთა და დედოფალთა სამოსელს, მათ სახელებს, სხვადასხვა წოდების (ვაჭრები, სამღვდელოება, მაღალი წრის ქალის მხლებელთა) პირთა ტანსაცმელს, ძველ საქართველოში არსებული თავსაბურავის, ფეხსამოსისა და სამკაულთა სახეებს, ქსოვილთა მასალას და სხვ.

მეტად მნიშვნელოვანია ივ.ციციშვილის ნაშრომი "მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის" მასში ქართულ ტანსაცმელზე არსებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ მოცემულია ჩაცმულობის ქართული ტერმინების დაზუსტების ცდა. იგი შეიცავს საინტერესო მასალებს სამოსის ხმარების წესების შესახებ. მითითებულია მონათმფლობელური და ფეოდალური ხანის ქართული ჩაცმულობის თავისებურებანი. ავტორი განასხვავებს საყოველდღეო და საზეიმო, საზოგადოების ზედა ფენისა და ხალხურ ტანსაცმელს, რასაც, როგორც შესადარებელ მასალას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ტანსაცმლის შესწავლისათვის.

ქართული ეროვნული ტანსაცმლის შესახებ საინტერესო ცნობებია აგრეთვე გ. ჩუბინაშვილის და შ. ამირანაშვილის ნაშრომებში, რასაც საფუძვლად ძირითადად კედლის მხატვრობა უდევს.

უკანასკნელ პერიოდში ქართული ჩაცმულობის საკითხით მრავალი მეცნიერი დაინტერესდა. ამათგან აღსანიშნავია ნ.ჩოფიკაშვილის, ნ.გვათუას, გ.ჩაჩაშვილის, ლ.ბოჭორიშვილის, ნ.ბრაილაშვილის, თ.ოჩიაურის, ც.ბეზარაშვილის, მ.მსხილა-

ძის, ლ.მარგოშვილის[14] და სხვათა ნაშრომები, რომლებიც მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალებს შეიცავენ ქართულ ჩაცმულობაზე. ნ.ჩოფიკაშვილის ნაშრომი VI-XIV სს. ქართული კოსტიუმის აღდგენის წარმატებული ცდაა. ავტორი განიხილავს მეფეთა ტანსაცმელს, საერო და სასულიერო პირთა სამოსელს. ნაშრომში დეტალურად არის წარმოდგენილი სამოსის ცალკეული ელემენტები – სამკლავე, სარტყლები, სამოსის შეკვრის წესი, ქსოვილები, თავსაბურავი, ფეხსამოსი, სამკაული. სამოსის ცალკეულ დეტალებში ავტორი სწორად შენიშნავს მეზობელი ქვეყნების გავლენას. ასევე მსგავსება იმ დროის სპარსეთში, ბიზანტიასა და ნაწილობრივ რუსეთში გავრცელებულ ფორმებთან.

XIX ს. და XX ს. 30-იან წლებში ქალის ქართულ ჩაცმულობას ქართლისა და კახეთის მასალების მიხედვით ეხება ნ. გვაია. იგი განიხილავს თავსაბურავის, ტანისამოსი (ქართული კაბა, ახალუხი, ქათიბი, ტოლომა და სხვ.) და ფეხსამოსის ცალკეულ ელემენტებს, ჩაცმა-დახურვის წესები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენისა და დანიშნულების ჩაცმულობას, ნივთ-სამკაულები და ქარგულობას. ყურადღებას აქცევს ძველებური ტანისამოსის შეცვლის შესახებ მოსაზრებებს, მისი ტრადიციული ფორმების განდევნის საკითხთან დაკავშირებით.[15] ხევსური ქალის ტანსაცმელი ჩაცმულობის ყველა ძირითადი ელემენტის ჩათვლით შესწავლილია ლ.ბოჭორიშვილის ნაშრომში.[16] ამავე საკითხს მიეძღვნა თ.ოჩიაურის "ხევსური ქალის თანამედროვე ჩაცმულობა", სადაც მკვლევარი ძველებუ-

---

[14] ნ.ჩოფიკაშვილი. ქართული კოსტიუმი (მე-6-მე-14 სს), თბ., 1964; ც.ბეზარაშვილი. გ.ჯალაბაძე. ქართული ხალხური ტანსაცმელი. თბ., 1988; მ.მსხილაძე, იმერული ქალის ტანსაცმლის კომპლექტი მე-19 საუკუნეში (ქართული კაბა), ქუთაისის მუზეუმის მასალები; ლ.მარგოშვილი, ცენტრალური კავკასიონის მთიელი ქალის ტანსაცმელი. თბ., 1980.

[15] ნ.გვაია. ჩაცმულობის ისტორიიდან (ქალის ქართული ჩაცმულობა მე-14-მე-20 სს დასაწყისში). თბ., 1967.

[16] ლ.ბოჭორიშვილი.ხევსურული ტალავარი. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ.8, თბ., 1956.

რი სამოსის ახლით შეცვლას ეხება. ავტორი მიიჩნევს, რომ ხევსურული ჩაცმულობა ფშაური ჩაცმულობის გავლენით არის შემუშავებული.[17]

აჭარული ჩაცმულობა მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია. ეს მაშინ, როცა ჩაცმალობის შესახებ ცნობები გვხვდება XIX ს. მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში. მათგან საყურადღებოა დ.ბაქრაძის, გ.ყაზბეგის, პ.კოვალევსკის, თ.სახოკიას, ზ.ჭიჭინაძის, ჟ.მურიეს, ა.ფრენკელის და სხვათა მონაცემები. ისინი მხოლოდ გაკვრით ეხებიან აჭარელთა ჩაცმულობას, მაგრამ ეს ძუნწი მონაცემებიც ჩვენთვის ძვირფასი მასალა წარმოადგენს. დ.ბაქრაძე, გ.ყაზბეგი და პ.კოვალევსკი გვაძლევენ აჭარელი მამაკაცის ჩაცმულობის დახასიათებას.[18] მაგრამ ქალის ჩაცმულობის შესახებ მაოი ცნობები მეტად მწირია. პ.კოვალევსკის ნაშრომში შედარებით სრულადაა აღწერილი მამაკაცის ტანსაცმლის ელემენტები. ნაშრომში გამოქვეყნებული ფოტოსურათებით შესაძლებელია ქალაქელი და სოფლელი მამაკაცის ჩაცმულობის გამიჯვნა. ასევე გ.ყაზბეგის ნაშრომში აჭარელი მამაკაცის ტიპებია მოცემული. ა.ფრენკელი კი დაწვრილებით ჩამოთვლის ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის შემადგენელ ელემენტებს და რაც მთავარია, თურქული სახელწოდებების გვერდით იგი ასახელებს ქართულსაც.[19] ასევე დეტალურად ახასიათებს თ.სახოკია[20] აჭარული ჩაცმულობის ელემენტებს. იგი მათ თავისებურებას ადგილობრივი ბუნებრივი პირობით ხსნის.

---

[17] თ.ოჩიაური.ხევსური ქალის თანამედროვე ჩაცმულობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ.6, ობ., 1953.

[18] დ.ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987, გვ. 50; გ.ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995, გვ. 26,59,60,61; Ковалевский П. Кавказъ Т. 1. Народы Кавказа. СПБ, 1914, с. 219-222. 260-261.

[19] Френкель А. Очерки Чурук-су и Батума. Тиф., 1879, с.21

[20] თ.სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., 1950, გვ. 191

აჭარელ ქალთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი უნარი უმეტესად ტანსაცმლის შემკობა-გალამაზებაში ვლინდება. ტანსაცმლის შემადგენელი ელემენტების (სიხმა, ჩითაკა, კაბა თუ სხვა) დამზადება სწორედ მაღალი მხატვრული გემოვნებისა და ოსტატობის ნიმუშებია.

მოკლე, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ცნობა გვხვდება ჟან-მურიეს ნაშრომში, რომელშიც შენიშნულია აჭარული და თურქული ტანსაცმლის განმასხვავებელი ნიშნები.[21] სამწუხაროდ, ავტორი არ იძლევა თითოეულის დახასიათებას.

ზ.ჭიჭინაძე აჭარელი ქალის ტანსაცმელს მიიჩნევს არაქართულ, ოსმალურ მოვლენად. მისი მსჯელობით აჭარელ ქალებს ისეთივე ტანსაცმელი სცმიათ, როგორც საქართველოს სხვა კუთხის ქალებს. ოღონდ, მუსულმანობის მიღების შემდეგ ყველგან ჩადრი შემოუღიათ, ქართული კაბები მოუსპიათ და წითელ-ყვითელი ჩითის კაბები ჩაუცვამთ ოსმალურის მსგავსად.[22] სამწუხაროდ ზ.ჭიჭინაძე აჭარული ტანსაცმლის კომპლექსში ვერ ამჩნევს ქართული ელემენტების არსებობას და შეცდომით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მას არაქართულ ტანსაცმლად მიიჩნევს.

აჭარული ჩაცმულობის შესახებ საყურადღებო ცნობებია თავმოყრილი ჯ.ნოღაიდელის ნაშრომში.[23] აჭარელთა ყოფის დამახასიათებელ ადათ-წესების აღწერისას ავტორი იძლევა საქორწილო თავსაბურავის ელემენტებისა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა დახასიათებას. აჭარელი ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობა ასახულია მხატვარ ვ.ილიუშინის ნამუშევრებში, რომლებიც შესრულებულია აჭარაში მოწყობილი საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციების პერიოდში.

---

[21] ჟან-მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ., 1962, გვ. 34.

[22] ზ.ჭიჭინაძე, მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ 86

[23] ჯ.ნოღაიდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, ტფ., 1935.

ზემოაღწერილ ნაშრომებში, სამწუხაროდ, არაფერი არ არის ნათქვამი აჭარული ტანსაცმლის ზოგიერთი ისეთი ელემენტის შესახებ, როგორიცაა: ზუბუნ-ფარაგა, ლეჩაქი, სიხმა, ჩათაკა, სარტყელ-ფეშტემალი და სხვა. მათ შესახებ ცნობები ჩვენს მიერ შეკრებილია ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში.

ნაშრომი აჭარული სამოსის ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) შესწავლის პირველ ცდაა. ამდენად, მას სრულყოფილების პრეტენზია არა აქვს. იგი შესრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის) განყოფილებაში.

ნაშრომზე მუშაობის დროს თავის დროზე დიდი დახმარება გაგვიწიეს ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელმა პროფ. ალ.რობაქიძემ, აკად. ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ა.სოხაძემ. წიგნზე დართული ფოტოილუსტრაციების დიდი ნაშწილი შესრულებულია პროფ. ნოდარ კახიძისა და ისტ. მეცნ. კანდიდატ ჯემალ ვარშალომიძის მიერ, რომლებმაც ისინი თავაზიანად მოგვაწოდეს.

ნაშრომზე დართული ჩანახატები შესრულებულია ო.კონიაშვილის და ჯ.მიქელაძის მიერ, ხოლო ფოტოანაბეჭდები საილუსტრაციო მასალებიდან დამზადებულია ი.ბაეევის და გ.ბიბილეიშვილის მიერ.

ზემოხსენებული ყველა პირს მადლობას მოვახსენებთ გაწეული დახმარებისათვის.

თავი I
ქსოვისა და ჭრა-კერვის ტექნიკა

1. საფეიქრო იარაღები.

აჭარული ტანსაცმლისათვის გამოყენებული იყო უმთავრესად შინამრეწველური წესით ნამზადი შალის, აბრეშუმის, სელ-კანაფისა და ბამბის ქსოვილები. მატყლი იხმარებოდა უპირატესად მამაკაცის "ჩაქურასა" და ქალის ტანსაცმლის ისეთი ელემენტების დასამზადებლად, როგორიცაა სარტყელი, ფეშტემალი, წინდები, ხელთათმანები, ზუბუნფარაგა.

აბრეშუმის ძაფი გამოიყენებოდა ტანსაცმლის შესამკობად. კერძოდ, სიხმისა და ჩათაკის, კაბის გულისპირისა და სამაჯეების მოსაქარგავად, სარტყლის არშიების, ყაითნებისა და თავჩითის, აგრეთვე წინდების მოსაქსოვად. XIX ს. 60-იანი წლებიდან გაბატონებული წოდების ქალები და მამაკაცები იკერავდნენ ფაბრიკული წესით აბრეშუმისა და სხვა ძვირფასი ქსოვილისაგან დამზადებულ ტანსაცმელს. ეს ტრადიცია აჭარას თითქმის XX ს. 20-30-იან წლებამდე შემორჩა.[1]

სელისაგან მზადდებოდა საცვლებისათვის განკუთვნილი ტილოს ქსოვილი, ტანსაცმლის შესაკერი ძაფი, რომელსაც კედის ძაფს ეძახდნენ. კანაფს შედარებით ნაკლები გამოყენება ქონდა. მას ხმარობდნენ უმთავრესად ქალამნის თოკების დასამზადებლად. ზოგჯერ ბამბანარევი კანაფისაგან საცვლებსაც კერავდნენ. რადგან დასახელებული ქსოვილების დამზადების ტექნოლოგია არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე შეეჩერდეთ.

---

[1] ნ.კახიძე, ძვირფასი ქსოვილების დამზადებისა და მოხმარების ისტორიიდან საქართველოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა, X, თბ., 1983, გვ. 36; ჯ.ვარშალომიძე, ხალხური დეკორატიული ქსოვილები და გაქარგები აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XIII, თბ., 1986, გვ.37.

რთვა-ქსოვის დროს გამოიყენებოდა შემდეგი სამუშაო ირაღები: საჩეჩელი (მატყლის დასაჩეჩად), ხერტალი (თითისტარი, მატყლის დასართავად), ჭახრაკი (ძაფის დასაძახავად), დოლაბი (საქსელავად). საქსოვად ორი ტიპის დაზგა არსებობდა: ჰორიზონტალური, რომელიც ქსელის, საფეიქროსა და სამექსლოს სახელით იყო ცნობილი და ვერტიკალური ტიპის საქსოვი დაზგა – თორის ყდა. საწარმოო პროცესების მიხედვით საფეიქრო იარაღები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ნართის დასამუშავებელი (საჩეჩელი, ხერტალი, ჭახრაკი), ქსოვილის დასამზადებელი (სამექსლო, თორის ყდა) და ქსოვილის დასამუშავებელი (სათელავი ხელსაწყო).

საქართველოში თითისტარის გამოყენება ჯერ კიდევ ნეოლითური ხანიდან დასტურდება.[2] როგორც ჰ.შურცი აღნიშნავს, თითისტარის გამოგონება საჭირო გახადა თანაბარი სისქის გრძელი ძაფის მოთხოვნილებამ.[3] მკვლევართა ნაწილი მიწათმოქმედების განვითარებასა და თითისტარის გამოგონებას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს.[4]

მრთველ ქალს ხერტალი მარჯვენა ხელში ეჭირა, მატყლის ფთილა – მარცხენაში და საყრდენის გარეშე ატრიალებდა მას. ნართი ეხვეოდა ხერტალზე მანამ, სანამ ტარი ბრუნვას არ შეწყვეტდა. პროცესი რამდენიმეჯერ მეორდებოდა.

თითისტარის საშუალებით ნართის დამზადების ანალოგიური წესი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებობდა (ხევსურეთი,[5] ქართლ-კახეთი,[6] მესხეთ-ჯავახეთი და სხვ.). მცირეოდენი განსხვავება შეინიშნება მესხეთ-ჯავახეთში, სადაც ქალს რთვის დროს ერთი ფთილა კი არ ეჭირა ხელში,

---

[2] ბ.კუფტინი, შიდა ქართლის და სამხრეთ ოსეთის ენეოლითის პრობლემისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV, გვ.82.

[3] Шурц Г. История первобытной культуры. М., 1933, с. 323

[4] Лист Ю. Происхождение вещей. М., 1955, с. 138.

[5] გ.ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, აკად. ს.ჯანაშიას სახ.საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII, თბ., 1954, გვ. 185.

[6] ც.ყარაულაშვილი, ხალხური ქსოვის წესები კახეთში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XX, 1970, გვ. 248 .

არამედ ფოთლა ხელზე ჰქონდა გადახვეული. გარდა ამისა, თითისტარს რთვის დროს ატრიალებდნენ კალთაში ჩადებულ ჯამზე ან ნატეხარზე, რაც ხელს უწყობდა ტარის ბრუნვას და კალთასაც გაცვეთისაგან იცავდა.[7] თითისტარის საშუალებით ნართის დამზადების სხვა წესიც მოწმდება, როგორიცაა თავ-ჩაბრუნებული ტარით ფეხზე მდგომი რთვა და ძახვა. აღნიშ-ნული წესი ც.ყარაულაშვილის მიერ დაფიქსირდა ხევში, თრუ-სოს ხეობაში, ზემო იმერეთში, აფხაზეთში, ქსნის ხეობის მოიანეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. ეს წესი მხოლოდ ძაფის ძახვის დროს სრულდებოდა.[8]

სულხა-საბა ორბელიანის განმარტებით, ჭახრაკი სარ-თაცთ საბრუნავი მანქანაა.[9] ხერტალსა და ფეხისტართან შედა-რებით ჭახრაკი გვიან შემოვიდა ხმარებაში და ბოლო დრომდე შემორჩა ყოფას. მასზე ძაფის დაძახვა ადვილად და სწრაფად ხდებოდა. ჭახრაკის გამოყენებამ ძაფის დაძახვის პროცესი უფ-რო დაარქარა და შესაბამისად გაზარდა შრომის ნაყოფიერე-ბაც. ჭახრაკს, მსგავსი გამოყენება ჰქონია საქართველოს სხვა კუთხეებში, კერძოდ ხევსურეთში,[10] მესხეთ-ჯავახეთსა[11] და კავკასიაში.

დ ო ლ ა ბ ი. საფეიქრო დაზგაზე ქსოვის დაწყებას წინ უსწრებდა დაქსელვა, რომელიც დოლაბზე წარმოებდა. დაქ-სელვის დამთავრების ანუ ნათხზენის მიღების შემდეგ ხდებოდა მისი გადართვა ქსელზე. ეს საქსელავი მოწყობილობა, რო-გორც გ.ჩაჩაშვილი ფიქრობს, ქსოვის ტექნიკის შემდგომი გან-ვითარების მაჩვენებელია და ფართოდ იყო გავრცელებული ხალხურ ფეიქრობაში.[12] ანალოგიური საქსელავი ჩარხის სა-

---

[7] ც.ყარაულაშვილი, ქართული ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, გვ. 119.

[8] იქვე.

[9] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928.

[10] გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი.

[11] ც.ყარაულაშვილი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, გვ. 120-121.

[12] გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

ხელწოდებით მოწმდება მესხეთ-ჯავახეთში. დაქსელვის პრინ-ციპიც ძირითადად იგივეა.[13]

აჭარულ სამექსლოზე ორი ან ოთხი დგიმით ქსოვდნენ. დგიმების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული ქსოვის ხარისხი. უფრო მჭიდრო და მაღალი ხარისხის ნაქსოვი ოთხდგიმიან საქსოვ დაზგაზე იქსოვებოდა.

ქართული ხალხური საქსოვი დაზგების შესწავლის შედეგად დადგენილია მისი ორი ძირითადი ტიპი. პირველია ბეჭსაშევრიანი ე.ი. ვერტიკალური საქსოვი დაზგა, მეორე კი დგიმ-სავარცხლიანი ანუ ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა.

საქართველოს დანარჩენი კუთხეების დაზგებთან აჭარული საქსოვი დაზგების შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი თავისი კონსტრუქციით ახლო მსგავსებას ამჟღავნებს მეგრულ დგიმ-სავარცხლიან საქსოვ დაზგასთან, როგორიცაა საოშუალო.[14] ხოლო ქსელის ბოლოს გადაჭიმვისა და ჩამაგრების წესით იგი ემსგავსება მესხურ საფეიქროს, რომლის პარალელები, მცირე განსხვავებით ც.ყარაულაშვილს დაძებნილი და შედარებული აქვს ქსნურ საფეიქროსთან და ზემო იმერულ საქსოვთან. მანვე მოძებნა მესხური და ქსნური საფეიქროს შორეული და უძველესი პარალელები ძველ ეგვიპტური ახალი სამეფოს პერიოდის ორდგიმიან საქსოვთან.[15]

ამგვარად, აჭარაში დადგენილი საქსოვი დაზგები წარმოადგენს ქართული საქსოვი დაზგების მოდიფიკაციას. მათ გააჩნიათ რიგი თავისებურება (მოძრავი ლილვი, ყდაში ჩასმული სავარცხელი, საფეხურები). ზემოხსენებულ თავისებურებათა მიხედვით ისინი ერთ ტიპოლოგიურ ჩარჩოში შეიძლება მოთავსდეს.

---

[13] იქვე, გვ. 202, 203.

[14] იქვე, გვ. 202- 203.

[15] ც.ყარაულაშვილი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში; მისივე, ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, ხელნაწერი, 1969; მისივე, ხალხური ქსოვის წესები ზემო იმერეთიდან, ხელნაწერი, 1973.

ქსოვილის ხარისხი დამოკიდებული იყო როგორც ნართზე, ასევე საკარცხლის კბილების სიხშირეზე. წმინდა კბილებიანი საკარცხელით წმინდა შალი იქსოვებოდა.

ნაქსოვი ორი სახისა იყო - ცალმაგი და ორმაგი. ორმაგი ნაქსოვის მისაღებად, რასაც უფრო მეტი დაფასება ჰქონდა, საკარცხელში წყვილ ძაფს გაატარებდენ. შალის სახეებს სხვადასხვა თვისების გამო განსხვავებული დანიშნულებაც ჰქონდა. ორმაგად ნაქსოვი შალისაგან მზადდებოდა ქალის სარტყელი, მამაკაცის ჩოხა-შალი, მაგრამ მისგან არ შეიძლებოდა ქალის წინსაფრის-ფეშტემლის შეკერვა, რადგან მჭიდროდ ნაქსოვი სქელი შალი მოუხერხებელი იყო ფეშტემლის თარგისათვის.

უფრო ხშირად ერთი ფერის სადა ქსოვილებს ქსოვდნენ, მაგრამ იცოდნენ ზოლებიანი შალის ქსოვაც სარტყელებისა და ფეშტემლებისათვის. ფერადი შალის ქსოვის დროს საქსელავად იყენებდნენ სხვადასხვა ფერად შეღებილ ძაფს. მისაქსველად კი ერთი ფერის ძაფი იხმარებოდა.

2. ქ ს ო ვ ი ლ ე ბ ი ს დ ა მ ზ ა დ ე ბ ა.

შ ა ლ ი ს ქ ს ო ვ ი ლ ე ბ ი. ამ სახის ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიის ყველაზე სრული და ტიპიური სურათი დადგენილია ზემო აჭარაში, კერძოდ ღორჯომსა და დიდაჭარაში. ამ მონაცემების მიხედვით გლეხის ოჯახში ნედლი მასალის გადამუშავება უმეტესად ხდებოდა ზამთარში, როცა ქალები მინდერისა თუ სხვა საოჯახო სამუშაოებისაგან შედარებით თავისუფალნი იყვნენ. თუ ოჯახს შალის წარმოებისათვის საკმარისი ნედლეული არ მოეპოვებოდა, მაშინ ხდებოდა მისი შეძენა ახალციხესა და არდაგანში, ან მეზობლებისაგან.

მატყლის ასაწონად ხის სასწორებს ხმარობდნენ. გირების ნაცვლად ქათმის კვერცხს იყენებდნენ: რვა კვერცხი ერთ ნუკს ანუ 400 გრამს შეადგენდა. ოცი კვერცხი ერთ კილოგრამს, 24 კვერცხი – ერთ ოყას (1,2 კგ.). ერთი ბატკანი 10-12, ხოლო ვერძი 15-20 კვერცხის წონის მატყლს იძლეოდა. XIX ს. ბოლო-

სათვის და XX ს. 20-იან წლებამდე ერთი კილო მატყლი 3 აბაზი ღირდა. მატყლი ხშირად პროდუქტებზეც იცვლებოდა.

ოჯახი მატყლს იმარაგებდა იმის მიხედვით, თუ რომელი ტანსაცმლის რა ელემენტის ნაკლულობას განიცდიდა. მატყლის ნართად დამუშავების შრომატევად პროცესში (გარეცხვა, გაწეწვა, გაჩეჩვა, დართვა, დაძახვა, დაქსელვა) ოჯახის ყველა ქალი თანაბრად მონაწილეობდა. გარეცხილ და გამშრალ მატყლს საჩეჩელზე გადაახარისხებდნენ. მატყლი სამი ხარისხის იყო. საუკეთესო ხარისხის მატყლს გრძელყური ეწოდებოდა. მომდევნო ხარისხისას მოკლეყური და კვირტლი. გაჩეჩილ მატყლს დართვამდე[16] ფთილებად ინახავდნენ.

მატყლის ჩეჩვისა და რთვის დროს გამოიყენებოდა კოლექტიური შრომა. მატყლის დიდი რაოდენობით დამუშავების დროს (ჩეჩვა, რთვა) იწვევდნენ ქალთა ნადს, რომელსაც მატყლის საჩეჩავში ნადი და მატყლის სართავში ნადი ანუ ხერტლის ნადი ეწოდებოდა. ნადს, რომლის შემადგენლობაში 15-20 ქალი იყო, უმეტესად იწვევდნენ შემოდგომაზე ან ზამთრობით. ცდილობდნენ ნადზე კარგი "ხელაქნარით" გამორჩეული ქალები მოეწვიათ. მუშაობა ღამის საათებშიც სრულდებოდა. ერთი საუკეთესო მრთველი ერთ ღამეში 25-30 ფთილას ანუ ერთ ხერტლს დართავდა. ზოგჯერ ნადის პატრონი თითოეულ მონაწილეს წინასწარ დაურიგებდა მატყლს და ისინი წინა დღით შეუდგებოდნენ რთვას, მეორე დღისათვის ხერტლის მალე ავსების მიზნით. ნადის თითოეული მონაწილე თავისი სამუშაო იარაღებით (ხერტალი, საჩეჩელი) მიდიოდა ნადში, რომელიც ცალკე ოთახში იმართებოდა სამზარეულო და სასადილო ოთახებისაგან მოშორებით. დიასახლისი ნადის წევრებს[17] საგულდაგულოდ მომზადებული კერძებით უმასპინძლდებოდა.

---

[16] ი.სამსონია, ტანსაცმლისათვის განკუთვნილი ქსოვილების დამზადების ხალხური წესები აჭარაში, მაცნე (ისტორიის სერია), თბ., 1973, გვ.154.

[17] ნ.კახიძე, ხელოსნობა აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XVII, თბ., 1990, გვ.107.

ხერტლის ნადზე იყო გართობა-მხიარულება, რასაც მუშაობაში წახალისების მიზანი ჰქონდა. ნადის ახალგაზრდა წევრები მართავდნენ ცეკვა-თამაშს, სიმღერას. გავრცელებული ცეკვა იყო ფათიკო. იგი აჭარაში ქორწილის დროსაც სრულდებოდა. ამ სანახაობის დროს ქალები მამაკაცის ტანსაცმელში გამოეწყობოდნენ და პირიქით – მამაკაცები ქალის ტანსაცმელს იცვამდნენ, ხერტლის ნადზე სრულდებოდა შესაბამისი სიმღერა:

"ხერტალმა ხელი დამგალა
ხერტალგასატეხელმა,
ბიძაჩემმა არ გამათხუა
კისერმოსატეხელმა".[18]

აჭარაში გავრცელებული შრომითი ურთიერთდახმარების ამ ფორმის ანალოგი დასტურდება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში მას ეწოდებოდა საქმის საღამო (ხევი), მჩეჩელნი (ხევსურეთი),[19] მორიავის[20] ანუ ჩეჩვისა და დართვის ნადის შეყრა (მესხეთ-ჯავახეთი). მატყლის დართვისას ანალოგიური ურთიერთდახმარების წესს იყენებდნენ აფხაზეთში,[21] აგრეთვე შაფსუღებში.[22]

როგორც შესადარებელი მასალებიდან ჩანს, ამ საკითხის ირგვლივ შეკრებილი აჭარული მასალები სიახლოვეს ავლენენ საქართველოსა და საერთოდ კავკასიის სხვადასხვა კუთხის შესაბამის ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან.

მატყლის დამუშავება და შალის ქსოვილების ქსოვა ძირითადად ქალის საზრუნავსა და მოვალეობას შეადგენდა. ამიტომაც ცდილობდნენ გოგონა ბავშვობიდანვე რთვა-ქსოვის საქმეს

---

[18] ალ.მსხალაძე, აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, ბათ., 1969, გვ. 38.

[19] გ.ჩაჩანაშვილი, ქართულ-ადიღეური ეთნოგრაფიული პარალელები ხალხურ ფეიქრობაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963, გვ. 378.

[20] ე.ფარაულაშვილი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, გვ. 122.

[21] Аджинджал И. Из этнографии Абхазии. Сух., 1969, с. 377.

[22] გ.ჩაჩანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 368-369.

კარგად დაუფლებოდა, რადგან ქსოვილების დამზადების ხელოვნება ცოდნოდა. ქსოვაში დაოსტატებულ გასათხოვარ ქალებს დიდი მოწონება ჰქონდათ. ხელსაქმის ამ დარგში გაწაფულ პირთა აღსანიშნავად სპეციალური ტერმინიც კი არსებობდა. ასე მაგალითად, შუახევის რაიონის სოფ. ნაღვარევში მათ "მექსლე ქალებს" უწოდებდნენ. ისინი მეტად დახელოვნებული მქსოველები იყვნენ, რომელთაც წინასწარ შეეძლოთ განესაზღვრათ თუ ტანსაცმლის ამა თუ იმ ელემენტზე რა რაოდენობის ნართი დაიხარჯებოდა. ფეშტემლისათვის საჭირო იყო 16 ხერტალი ნართი და 5 ხერტალი მისაქსველი, სარტყელისათვის – 5 ხერტალი ნართი და 3 ხერტალი მისაქსველი.

შალის ქსოვილს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის თვალსაზრისით ფაბრიკულ ქსოვილთან შედარებით რიგი უპირატესობა გააჩნდა. მთხრობელთა მტკიცებით, შალის ქსოვილი დიდხანს არ ატარებდა წყალს და დასველების შემთხვევაშიც ადრე შრებოდა.

საოჯახო წესით დამზადებულ შალის ნაწარმს ფართო საბაზრო დანიშნულება არ ჰქონდა, რადგან შალის ნაწარმის დიდი რაოდენობით დამზადება დროს მოითხოვდა. მას ძირითადად თავისუფალი დრო ეთმობოდა.

აჭარაში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალას ქსოვილების დამზადების ხალხური წესების, საფეიქრო იარაღებისა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა და წეს-ჩვეულებების შესახებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ხალხური ფეიქრობის შესწავლისათვის.[23]

---

[23] ივ.ჯავახიშვილი, მასალები ქართ ლი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV; გ.ჩიტაია, წინასიტყვაობა ი.ციციშვილის წიგნზე, "მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის", თბ., 1954; გ.ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I სელი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX, თბ., 1956; მისივე, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIIIბ, 1954; "საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა", თბ., 1958; ც.ყარაულაშვილი, ხალხური ქსოვის ისტორიიდან, მაცნე, 1970, N3; მისივე, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, მასალე-

ხალხური ფეიქრობის ამსახველი მნიშვნელოვანი წერილობითი და ფოტო მასალა დაცულია "შინამრეწველობის მასალებში" მათში მდიდრულადაა წარმოდგენილი ფეიქრობის ამსახველი ფოტო და აღწერილობითი ნიმუშები. ნაჩვენებია საფეიქრო ხელსაწყო-იარაღები, მცენარეული საღებავების შემზადებისა და ღებვის ხალხური წესები.[24]

მსგავსი მასალები ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში. აქ შემონახულია მაღალმხატვრული ოსტატობითა და გემოვნებით დამზადებული ქსოვილები, სარტყელი, ფეშტემლები, თორები, ქისები და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საფეიქრო საქმეში წამყვანი მნიშვნელობა შალის ქსოვილებს ეჭირა. შალეულის შინამრეწველობა უშუალო კავშირში იყო მეცხვარეობასთან,[25] რომელიც ამ კუთხის ეკონომიკაში გარკვეულ როლს ასრულებდა.

შალის ქსოვილების ხალხური წესით დამზადების შესახებ წერილობითი მონაცემები შედარებით მდიდარია. ეს იმანაც განაპირობა, რომ ხელოსნობისა თუ შინამრეწველობის სხვა დარგები საგრძნობლად შესუსტდა ან მთლიანად გაქრა, შალის დამზადება და მისი მოხმარება XIX ს. II ნახევარშიც დიდ ადგილს იჭერდა.

აღნიშნული პერიოდის მოგზაური მკვლევარები სამეურნეო-საოჯახო ყოფის სხვა საკითხებთან ერთად აჭარელთა შრომა-საქმიანობის ამ დარგსაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ისინი საერთოდ დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ჩაცმულობის აღწერისადმი. მათგან აღსანიშნავია თ.სახოკია,

---

ბი მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972; მისივე. ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1974; მისივე. ქართული ხალხური საფეიქრო იარაღები, ძეგლის მეგობარი, N12, 1967; ლ.მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1963.

[24] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ.11, ნაწ. III. ქსოვა, ღებვა, ქარგვა, თბ., 1982, გვ.238-244.

[25] პ.გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, ტ. 5, თბ., 1963, გვ. 356.

ზ.ჭიჭინაძე, ა.ფრენკელი, ვ.ლისოვსკი. რომლებმაც აღწერეს აჭარელი ქალების მიერ მატყლის დამუშავების, რთვა-ქსოვის, შალის თელვისა და სხვა პროცესები. თ.სახოკიას ცნობით ღორჯომში მოქსოვილი შალებით იმოსებოდა ზემო აჭარის მკვიდრთა უმეტესობა.[26] ა.ფრენკელის ცნობით, ბათუმსა და მის მახლობელ სოფლებში მზადდებოდა მატყლის შავი ფერის შალი.[27] ვ.ლისოვსკი აღნიშნავდა, რომ აჭარელი ქალები ხელით ქსოვდნენ უხეშ მაუდსა და ბეზს, რომელსაც იყენებდნენ ოჯახის წევრებისათვის საჭირო ტანსაცმლისა და საცვლების შესაკერად.[28]

მატყლის, აბრეშუმის, ბამბის და სხვა სახისა და დანიშნულების ქსოვილების დამზადების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზ.ჭიჭინაძე. ფეიქრული ნაწარმი მისი აჭარაში მოგზაურობის დროსაც მზადდებოდა. ასეთია: ძაფი, შალი, ჩაფარიშები, არშიები, ქსოვილები, საჩოხე შალები, ყაითნები, ხელთათმანები და ა.შ.[29] იგი წერდა: "მთელი დასავლეთ საქართველოს სამღვდელო სამოსელი სულ აქეთ იკერებოდა. აქედანვე იგზავნებოდა აღმოსავლეთ საქართველოში ნაქსოვნაკერი საეკლესიო სამკაული: დაფარნები ოქრომკერდისა, აღსავლის კარების ფარდები, ოლარები, ხატების ფარდები და მღვდელმთავართა შესამოსელები. ამის ნიშნები დღევანდლამდეა აქეთ დაშთენილი, ნამეტურ იმ ოჯახებში, სადაც ძველად რომელიმე წევრი ოჯახის სასულიერო წოდების ყოფილა. ასეთ ოჯახებში დღესაც მოკრძალებით ინახავენ ქალები ძველს საეკლესიო ნივთებს".[30]

---

[26] თ.სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 135.

[27] Френкель А., დასახ. ნაშრომი, გვ.24.

[28] Лисовский В. Чорохский край. Тиф., 1887, с.114-115.

[29] ზ.ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87, 166.

[30] ზ.ჭიჭინაძე, ქართველების გამაპმადიანება ანუ ქართველთ გათათრება, გვ. 87.

როგორც ეთნოგრაფიული და ლიტერატურული მონაცემებით ირკვევა, აჭარელი ქალების მიერ ნამზად ჭარბ პროდუქციას საბაზრო დანიშნულებაც ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მარადიდის, ჩურუქსუს, ქედისა და ბათუმის ბაზრობები. ისინი ყოველ პარასკევს იმართებოდა. თ.სახოკიას ცნობებით, ქედის ბაზარზე, ხდებოდა შალის ნაწარმის გასაღება. ალაბი შალი 23 კაპიკად იყიდებოდა.[31] ჟან მურიე ქედის ბაზარს ახასიათებს, როგორც მისი ახლომახლო მოსახლეობის სავაჭრო ცენტრს, სადაც აჭარის მოსახლეობა ასაღებდა: მაუდს, იარაღს, თოფის ლულებს, სანოვაგეს, კარაქს, ხილს.[32] ხოლო ჩურუქსუში, სადაც პატარა საკაჭრო ცენტრი იყო ოთხმოცი პატარა დუქნით, ვაჭრობა წარმოებდა მაუდით, შალით, ჭილობებით და დანებით.[33]

განხილული მაგალითები თვალსაჩინო მაჩვენებელია იმისა, რომ ოსმალეთის ბატონობამ აჭარაში ვერ მოსპო ის საწარმოო ძალები, რომლებიც ამოქმედებდნენ სამეურნეო ცხოვრების მაჯისცემას.[34] ე.ი. შინამრეწველური ნაწარმით ვაჭრობა ამ საქმეში დიდ როლს თამაშობდა. მაგრამ ამ ნაწარმის ბაზარზე გატანა გამოწვეული იყო ყოველდღიური საოჯახო მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

შალის ქსოვილებს უძველეს დროშიც ფართო გამოყენება ჰქონდა. ამაზე მიუთითებს ქსოვილის მცირე ფრაგმენტი, რომელიც აღმოჩენილია ქობულეთში, ფიჭვნარში. მკვლევარმა ქ.ისაკაძემ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საფეიქრო საქმე საქართველოში, ყურადღება მიაქცია ამ ფრაგმენტსაც და მისი ორგანოლეპტური და მიკროსკოპული გამოკვლევით დაადგინა, რომ იგი მატყლის ქსოვილისაა. წმინდად დართული

---

[31] თ.სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

[32] ჟან-მურიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[33] იქვე. გვ. 28.

[34] ს.ქუთათელაძე, შინამრეწველობის გავრცელებისათვის აჭარაში, შ.რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, IX, ბათ., 1962, გვ. 16-17.

მატყლის ნართისაგან მეტად მაღალი ოსტატობით დამზადებული ქსოვილი ძვ.წ.VI ს. მიეკუთვნება.[35]

შალის ქსოვილის სხვა ქსოვილებთან რიგი უპირატესობანიც გააჩნია. იგი სითბოს შენარჩუნებისა და ჰაერის გამტარუნარიანობის თვალსაზრისით კარგი თვისებით ხასიათდება. გერმანელი მეცნიერის ეგერის აზრით შალის ქსოვილის ტანსაცმელი დიდხანს ინარჩუნებდა ე.წ. ტროპიკულ კლიმატს. რასაც იგი აუცილებლად თვლიდა კანის ნორმალური მდგომარეობისათვის. შალის ქსოვილი სუნთქავდა უფრო ზომიერად და თავისუფლად, ვიდრე ბამბის, ტილოს და აბრეშუმის ქსოვილები.[36]

შალის ქსოვილის ასეთმა კარგმა თვისებებმა განაპირობა ალბათ აჭარის ყოფაში შალისაგან ნამზადი ტანსაცმლისა თუ მისი ცალკეული ელემენტების ბოლო დრომდე შემორჩენა.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნართის დამუშავებისა და შალის ქსოვილების დამზადების ტექნოლოგიური პროცესი ანალოგიას პოულობს როგორც საქართველოს სხვა კუთხეების (კახეთი,[37] მესხეთ-ჯავახეთი,[38] სამხრეთ ოსეთი[39]) ასევე საერთოდ კავკასიურ მასალასთან. საამისოდ დავიმოწმებთ შემდეგ შესადარებელ მასალას: სვანეთში მატყლის სამ სახედ გადახარისხება ხდებოდა. პირველი იყო ანაჩეჩი მატყლი, რომელსაც კაცხი ეწოდებოდა, მეორე – ნაზურგალი ანუ ყუა, მესამე კი კვირტი. ანალოგიურად ახარისხებდნენ მატყლს საჩეჩელზე აჭარაშიც, რის შედეგად სამი ხარისხის მატყლი მიიღებოდა: გრძელყური, მოკლყური და კვირტლი.

---

[35] ა.კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971, გვ. 53; ქ.ისაკაძე, საფეიქრო საქმე საქართველოში, თბ., 1970, გვ. 74.

[36] Эрисман Р. Курс гигиены, т.11, М., 1887, с.51.

[37] ც.ყარაულაშვილი, ხალხური ქსოვის წესები კახეთში, გვ. 248.

[38] ც.ყარაულაშვილი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, გვ. 120, 121 .

[39] Гаглоева З. Осетинский национальный костюм. Известия юго-осетинского научно-исследовательского института Академии наук Грузинской ССР. Цхин., 1964, с. 219.

საინტერესო დამოხვევები გვაქვს მეგრულ მასალასთანაც საქსოვი დაზგების კონსტრუქციისა და ქსოვის წესების თანმიმდევრობის თვალსაზრისით. რთვა-ქსოვის წესებში, საფეიქრო იარაღების (ხერტალი, ჭახრაკი, საფეიქრო), საფეიქრო ტერმინოლოგიისა და კოლექტიური შრომის ფორმების მიხედვით იქცევს ყურადღებას აჭარული მასალის სამცხე-ჯავახეთის მონაცემებთან შედარება.

საინტერესოა შალის ქსოვილის თელვის ტექნოლოგია. თელვასთან დაკავშირებული იარაღ-ხელსაწყოს, რომელსაც თვით სათელავი ეწოდება. იგი გვიან შემოვიდა ყოფაში, მანამდე კი შალს ფეხით თელავდნენ. შალის ქსოვილს მოთელვის წინ დაკეცავდნენ რამდენიმე ფენად, დალამბავდნენ, ზევიდან თბილ წყალს დაასხამდნენ და ჯოხზე დაყრდნობილი მამაკაცი მას ფეხით თელავდა. მოთელვის პროცესი დიდხანს გრძელდებოდა და მას რამდენიმე კაცი ენაცვლებოდა.

შალის სათელავი სპეციალური ხელსაწყო შედარებით გვიან გაჩენილი ჩანს. მისი ერთი ეგზემპლარი მიკვლეულია სოფელ სკურდიდში (ხელვაჩაურის რ.). იგი აღწერა და შეისწავლა ნ.კახიძემ[40]. მასვე აქვს აღწერილი სელ-კანაფისა და შალის ქსოვილების დამზადების და თელვის პროცესიც. აღნიშნული სათელავი ორი ნაწილისაგან შედგება - ჯერა (იგივე ჯარა) და საგორებელი. მრავალ ფენად დაკეცილ შალის ქსოვილს ჯერ ჯარაში ჩადებდნენ, თბილ წყალს დაასხამდნენ და საგორებელის გატარ-გამოტარებით მოთელავდნენ. შალის სათელავი ხელსაწყო სოფ. ოლადაურშიც (შუახევის რ.) იქნა მიკვლეული, რომელსაც სარახუნას ეძახდნენ.

---

[40] ნ.კახიძე. აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა), სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 1967, გვ. 38ნ; ნ.კახიძე. ხელოსნობა აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XVII, თბ., 1990, გვ.103-110.

ანალოგიურად წარმოებდა შალის თელვა ზემო რაჭასა[41] და სამეგრელოში,[42] სადაც შალის სათელავად ჩელტი გამოიყენებოდა. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით აჭარაში მიკვლეულ შალის სათელავს ანალოგია მთიულეთშიაც[43] მოიძებნება.

შალის მოთელვის განსხვავებული წესი არსებობს მესხეთ-ჯავახეთში. განსხვავება იმაშია, რომ მესხეთ-ჯავახეთში შალს მწოლიარე მდგომარეობაში თელავდნენ, მაშინ როცა აჭარაში მამაკაცი ფეხზე მდგარი ჯოხს ეყრდნობოდა და შიშველი ფეხებით თელავდა შალს.[44] შალის მოთელვის ეს თავისებურება მესხეთ-ჯავახეთში სათანადოდ ახსნილი არ არის.

ამგვარად, შალის თელვის წესებიც აჭარაში და საქართველოს სხვა რაიონებში აღწერილი წესების ანალოგიურია და არსებითად განსხვავებულ ნიშნებს არ შეიცავს.

აბრეშუმის ქსოვილები. აჭარაში აბრეშუმის ქსოვილებსაც ამზადებდნენ, მაგრამ მას შალის ნაწარმთან შედარებით მცირე ადგილი ეჭირა. ხალხურ ფეიქრობაში აბრეშუმის გამოყენების ზუსტი დროის დადგენა აჭარაში ძნელდება. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ ერთხანს იგი მეზობელი გურიიდან შემოჰქონდათ. აქაური მზა ნართი პროდუქტებზე იცვლებოდა. მოგვიანებით აჭარაშიც დაიწყო აბრეშუმის პარკის მოშენება და აბრეშუმის ძაფის მიღება. თუმცა, ამ საქმით ყველა ოჯახი როდი ყოფილა დასაქმებული.

აბრეშუმის ბოჭკოს მიღების შედარებით ზუსტი სურათი დადგენილი იქნა ხულოს რაიონის სოფ. დიდაჭარაში.[45] აბრეშუმის პარკისაგან საქსოვი ძაფის მიღება, მეტად შრომატევადი

---

[41] მასალები შინამრეწველობისა და წარილი ხელოსნობის ისტორიისათვის, გვ. 202 .

[42] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ.II, ნაწ.II. გვ. 189-193.

[43] იქვე, გვ. 216 – 232.

[44] ც.ყარაულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

[45] ი.სამსონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 162, 163.

იყო. პარკს წინასწარ გადაარჩევდნენ ხარისხისა და ფერის მიხედვით. საღ პარკს მზეზე აშრობდნენ, რადგან ჭუპრი პარკში იხოცებოდა, დაზიანებული პარკიდან ძაფის ამოყვანა კი ძნელდებოდა. შემდეგ პარკს მდუღარე წყლით სავსე ქვაბში ჩაყრიდნენ, ხერტლის წვერით მოურევდნენ, ძაფს თავს მოუძებნიდნენ და სპეციალურ ხელსაწყოზე - ოგვადოზე ამოახვევდნენ. ასეთნაირად მიღებული აბრეშუმის ძაფი ხარისხითაც გამოირჩეოდა და მას გამოხარშვა არ სჭირდებოდა. სხვა შემთხვევაში პარკს საპნიან ნაცარწყალში გამოხარშავდნენ. ხარშვის ხანგრძლივობა ათ წუთს გარძელდდებოდა.

აბრეშუმის ძაფის დართვა და დაძახვა ხერტალზე ხდებოდა. მანამდე კი ძაფს წყალში დანამავდნენ, რაც რთვა-დაძახვას აიოლებდა. დართულ ძაფს თითისტარზე ორწვერად ან სამწვერად დაძახავდნენ და ნართს მურგვებად ახვევდნენ.

მთხრობელთა გადმოცემით ძველად აბრეშუმისაგან მზადდებოდა საკაბე ქსოვილი, სარტყლები, თავშლები, თორები და საფულე ქისები. განსაკუთრებული გულმოდგინებით იქსოვებოდა ბადისებური თავჩითი, რომელიც აჭარელი ქალის თავსაბურავის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა.

აბრეშუმის თორ-სარტყლები, ქისები ვერტიკალური ტიპის საქსოვ დაზგაზე - თორის ყდაზე იქსოვებოდა.

თორის ქსოვის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მას საქსელავიდან მისაქსველის გარეშე ამზადებდნენ. ეს წესი შემდეგში მდგომარეობდა: საქსელავის ყოველი მომდევნო ძაფი თანმიმდევრულად მარჯვნიდან მარცხნივ ხელის თითების საშუალებით ყოველ მესამე ძაფზე ჯვარედინად გამოინასკვებოდა. ერთი რიგის დამთავრების შემდეგ თითების ადგილას ხის გრძელი ფირფიტა – ლაფიტა გაეყრებოდა. ყოველი სამი-ოთხი რიგის შემდეგ პირველ ფირფიტას გამოიღებდნენ, დანარჩენი ფირფიტით მიაბეჭავდნენ. ყდაზე ამ წესით ნაქსოვი თორი ბადისებურ ფორმას ღებულობდა. ყდის თორის სიგრძე და სიგანე დამოკიდებული იყო საქსელავის სიგრძესა და სათვალავის

რაოდენობაზე. ერთ სათვალავში 4 ძაფს ითვლიდნენ. დიდ თორებს 15-20 სათვალავამდე ქსელავდნენ.

ყდის თორს ხანშიშესული ქალები ხმარობდნენ. ახალგაზრდები კი უფრო მუხლზე ნაქსოვ თორებს ეტანებოდნენ. ამ შემთხვევაში ქსელი მუხლზე იმართებოდა. მისი ერთი ბოლო მრგვალ ხეზე მაგრდებოდა. ქსელის პირის გაღება მასზე გამობმული ძაფების აწევ-ჩამოწევით ხდებოდა. ზოგჯერ ქსოვისას უშუალოდ მასრას ხმარობდნენ მაქოქის (მაქოს) გარეშე, მისაბეჭავად იყენებდნენ ხის ბრტყელ ფირფიტას. მუხლის თორს ქამრადაც იყენებდნენ.

ბამბანარევი აბრეშუმის ნაწარმიც მზადდებოდა, რომელიც წმინდა აბრეშუმის ნივთებთან შედარებით მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. ბამბა შემოჰქონდათ დამუშავებული სახით. აბრეშუმნარევი ქსოვილების დასამზადებლად ბამბის ძაფს მისაქსელად ხმარობდნენ.

საათისა და ფულის ქისებს ყასნაღით ქსოვდნენ, რომლებსაც ზოგჯერ მძივებითა და ფერადი ძაფებით ამკობდნენ. ბადისებურად ნაქსოვ ქისას ცალი მხარე შეხსნილი ჰქონდა ფუნჯიანი ზონარის გასაყრელად.

აბრეშუმის ძაფის ნაწარმის მრავალმხრივ გამოყენებაზე მიუთითებს ფოლკლორული მასალაც. ხალხში დღემდეა შემორჩენილი სიმღერები: "აბრეშუმის ლანდები, რა ლამაზი ბრძანდები", ან კიდევ: "აბრეშუმის მახარა, ღმერთმა არ გაგახარა". აბრეშუმის საკაბე ქსოვილი სარძლოსადმი სასიძოს მიერ მიტანილ ნივთებშიაც მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა. ამ წესს უფრო შეძლებული სასიძოს ოჯახი მიმართავდა. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

"მაი აბრეშუმის საკაბე ვინ მოგიტანა?
ჩემმა აღამ, საყვარელმა, მან მომიტანა ..."[46]

აბრეშუმის ძაფისაგან საოჯახო წესით დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების ნივთები მრავლადაა დაცული აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. აქ ინახება ფერთა სიუხვითა და

[46] ა.მსხალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

მაღალი ოსტატობით ნამზადი თალაბულუსის არშიები, თორე-ბი, თავსაკრავები, ფულისა და საათის ქისები, ბაღები, რაც მიგ-ვანიშნებს აჭარაში აბრეშუმის ნაწარმის შინამრეწველური წესით დამზადების მაღალ დონეზე. ჩურუქ-სუს (დღევანდელი ქობულეთის მხარე) სოფლებში შალის ქსოვილების გვერდით აბრეშუმის ნაზი ქსოვილების დამზადებაზე XIX ს. 70-იან წლებ-ში ცნობას გვაწვდის სამხედრო კორესპონდენტი ა.ფრენკე-ლი.[47] მაგრამ ადგილზე ნამზადი აბრეშუმის ქსოვილების გვერ-დით აბრეშუმის ქსოვილები უცხოეთიდანაც შემოჰქონდათ. დ.ბაქრაძე გარკვევით მიუთითებს, რომ აბრეშუმის ქსოვილების ძირითადი მომწოდებლები ამ კუთხისათვის ყოფილა ალეპო და დამასკო.[48] ყოფაში დღემდეა შემორჩენილი კუბოკრული აბრე-შუმისაგან შეკერილი სარტყელები, რომელსაც დამასკურს უწოდებენ.

სუფთა აბრეშუმის ქსოვილებს დიდი მოწონება ჰქონდათ. სხვადასხვა ხალხში დღემდე არის შემორჩენილი სიტყვა სუფ-თა აბრეშუმი, რომელიც ამ ქსოვილის მაღალი ხარისხის გა-მომხატველია. ასეთ ქსოვილებს, ი.ლიპსის სიტყვით რომ ვთქ-ვათ, ვერ შეედრება ვერც თანამდეროვე ნეილონი და ვერც სხვა ქსოვილი.[49]

როგორც ითქვა, მეაბრეშუმეობას შედარებით მცირე ადგი-ლი ეკავა აჭარელთა სამეურნეო ყოფაში, თუმცა არსებობდა აბრეშუმის მოვლა-მოყვანისათვის ხელშემწყობი ფაქტორები, მხედველობაშია თუთის ხეების ბუნებრივი სიუხვე. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი – კოლხეთში ადგილი არ იყო, სადაც თუთის ხის მთელი ტყეები არ არსებულიყო.[50]

---

[47] Френкель А., დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

[48] Бакрадзе Д., დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

[49] Липс Ю., დასახ. ნაშრომი. გვ. 141.

[50] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ.ჭყონიასი, ობ., 1938, გვ. 191

მკვლევარები თუთის ერთ-ერთ სამშობლოდ ამიერკავკასიას მიიჩნევენ, საქართველოსაც ამ კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა[51] თუთის არსებობა ხელს უწყობდა მეაბრეშუმეობის განვითარებას. ამასთან ერთად აბრეშუმის ამოხვევის აჭარული წესი ახლო მსგავსებაშია აბრეშუმის ამოხვევის დასავლურ წესთან. როგორც ცნობილია, აბრეშუმის ამოხვევის დასავლური წესი განსხვავდებოდა აღმოსავლეთისაგან ძაფის ამოსახვევი იარაღების სხვადასხვაობის თვალსაზრისით. დასავლური უფრო ძველ წესადაა მიჩნეული.[52] ყაჭის ძაფის გამოყენების ის წესი, რომელიც აღწერილია აჭარაში, დამახასიათებელია გურია-იმერეთის ეთნოგრაფიული სინამდვილისთვის.[53]

სელის ქსოვილები. შალისა და აბრეშუმის ქსოვილთან ერთად აჭარაში სელისა და კანაფის ქსოვილებიც მზადდებოდა. კანაფისა და სელის, ასევე ბამბანარევი კანაფის ქსოვილი, საცვლების დასამზადებელ ძირითად მასალას წარმოადგენდა. გადმოცემით ხელმარჯვე აჭარელი ქალი თავის შემოქმედებით უნარს სელისა და კანაფის ქსოვილთა დამზადებაშიც ავლენდა.

სელის ქსოვილს სასარგებლო თვისებები გააჩნდა – ის იყო მსუბუქი, გრილი და გამძლე. სელის ტილოს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ აჭარაში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მიცვალებულს ახვევდნენ სელის ტილოსაგან დამაზებულ სუდარაში. მიცვალებულის საცვლებიც სელის ტილოსაგან იკერებოდა. ძველი რწმენით, სელის ტილოში გახვევა სამადლო საქმედ ითვლებოდა.[54] მსგავსი რწმენა სელის ტილოს სარიტუალო შესამოსელად გამოყენე-

---

[51] გრ.ჯაფარიძე, მეთუთეობის მოკლე კურსი, თბ., 1948, გვ. 7; Жуковский П. Культурные растения и их сородичи. М., 1950, с. 280, 331.

[52] ნ.აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957, გვ. 29.

[53] იქვე, გვ. 28, 30, 48.

[54] ანალოგიური წესი გურიაში დამოწმებული აქვს გ.ჩურსინს. Чурсин Г., Очерки по этнографии Кавказа. Тиф, 1913, с.14; Мамаладзе Т. Народные обычаи и поверья гурийцев. СМОМПК, 11, Тиф., 1893.

ბის ოაობაზე მოგვეპოვება ეგვიპტესა და წინა აზიის ხალხებშიც.[55]

აჭარაში სელისაგან ძირითადად ქსოვილები მზადდებოდა. საქართველოს სხვა კუთხეებში სელს ზეთის მიღების მიზნითაც აშენებდნენ.[56] თუმცა, აჭარაში სელის თესლს ცომის სახით სამკურნალოდაც იყენებდნენ.

სელს ზეგან აღგილებში თესავდნენ გაზაფხულზე, უმთავრესად კი შემოდგომაზე. პ.ჟუკოვსკის ცნობითაც დასავლეთ საქართველოში სელს შემოდგომით თესავდნენ. ასეთივე წესი იყო გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ბალკანეთში და მცირე აზიის ზღვის სანაპირო რაიონებში, სადაც სუბტროპიკულ პირობებში სელი თავისთავად იზამთრებდა.[57]

ხარისხიან ბოჭკოს შეიცავდა შავ, ნაყოფიერ ნიადაგზე მოყვანილი სელი. სელის დამწიფებას ღეროს გაწითლებით ატყობდნენ. სელს ძირითადად გლეჯდნენ ხელით. გაზაფხულზე დათესილ სელს შემოდგომაზე იღებდნენ, ხოლო შემოდგომაზე დათესილს კი აუღებლად ტოვებდნენ. გამოზამთრების შემდეგ სელის ღერო უკეთეს თვისებებს იძენდა. სელს ძირითადად გლეჯდნენ და გახმობის შემდეგ რამდენიმე დღით წყალში ალბობდნენ. სელის გარჩევა, დართვა და საქსოვად და შემზადებაც ქალის ხელით სრულდებოდა. ნართს ლანდებად ინახავდნენ. ახლად დართული სელის ნართი უხეში იყო, ამიტომ დარბილებისა და გათეთრების მიზნით მას ნაცარშერეულ საპნიან წყალში ხარშავდნენ.

აჭარაში სელის ფართო გამოყენებაზე ნათლად მეტყველებს აკად. ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგაფიის განყოფილების ქსოვილების ფონდში დაცული სელისაგან დამზადებული მამაკაცის პერანგის ერთი ნიმუში (კოლ.12013-5). პერანგი მუზეუმში შესულია აჭა-

---

[55] Ген В. Культурные растения и домашние животные. СПБ, 1872, с.79.

[56] გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი; ლ.მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ.,1963.

[57] Жуковский П., დასახ. ნაშრომი, გვ. 451-454.

რელი მამაკაცის კოსტუმის კომპლექსთან ერთად. გ.ჩაჩაშვილმა სელის ქსოვილების შესწავლის დროს ყურადღება გაამახვილა აღნიშნული პერანგის თარგზე. მან საინტერესოდ მიიჩნია სახელოს გამოყვანის წესი. სახელო ცალკე კი არაა დამზადებული და პერანგის ტანთან მიკერებული, არამედ სამკვლავეს ქვემო მხარე ჩადგმული გვერდის გაგრძელებას შეადგენს, რასაც მკვლევარი ქსოვილის განის სივიწროვით ხსნის.[58]

საერთოდ, სელის ქსოვილის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი. ქანანელის "უსწორო კარაბადინში" ნათქვამია: "სამოსელი სელისაგან რომელი იქნების სწორი არის სიგრილითა და ნოტიოთა და სიხმელითა არის საკმელთა კერძოთაგან. არგებს და ამოაშრობს ნოტიოსა და ოფლსა ტანისაგან და იხმარების წამალთა შიგა და ერგების ტანზედა რომე წყლული იყოს და ამოაშრობს მასა წყლულსა და გამოზრდის მისსა ხორცსა".[59]

მკვლევართა აზრით, სელის სამშობლოდ ამიერკავკასიაა აღიარებული (ვ.გოროდცოვი...).[60] პ.ჟუკოვსკის აზრით, სელი საქართველოში უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა ჩანს, რომლის წარმოშობის ერთ-ერთ კერად ამიერკავკასია და კერძოდ კოლხეთი ივარაუდება.[61]

ცნობილია, რომ სელის მოყვანასა და სელის ტილოს ინტენსიურ გამოყენებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს.[62] კოლხეთში სელის მოყვანის და სელის ტილოს საცვლებად გამოყენების შესახებ საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული ვ.ჰენს. ხალხურ ტანსაცმელზე ტილოს გამოყენებას, ტილოს საცვლების, განსაკუთრებით პერანგის დამზადე-

---

[58] გ.ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I, სელი, საქართველოს სახ.მუზეუმის მოამბე, XVIII-ბ. ობ., 1956, გვ. 176.

[59] ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940, გვ. 422.

[60] Городцов В. Археология, т.I, М-Л., 1925, с.366.

[61] Жуковский П., დასახ. ნაშრომი, გვ. 503.

[62] გ.ჩაჩანაშვილი, დასახ.ნაშრომი, გვ. 176.

ბას ჰენი ჩრდილოეთიდან მომდინარედ მიიჩნევდა.[63] აკად. ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სელის მცენარე, რომლის სახელწოდება არც ერთი ერის ტერმინს არ ენათესავება - ერთი უძველესთაგანია საქართველოში, ეს კულტურა ჩვენს ქვეყანაში ბრინჯაოს ხანის ბურუსშიც მოჩანს.[64] ბრინჯაოს ადრეული საფეხურიდან დასტურდება სელის წარმოება და ქსოვილის დამზადება დასავლეთ საქართველოშიც.[65]

თანამედროვე აჭარის ტერიტორიაზე ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქართან დაკავშირებულ ძვ.წ. IV-V ს. სამაროვანზეც აღმოჩნდა ქსოვილის ნაშთები, რომელიც დამზადებული უნდა იყოს სელისაგან. ასეთივე ქსოვილის მოზრდილი ნაშთები ნაპოვნია გურიის ტერიტორიაზე, კერძოდ ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზემო ფარცხმის ელინისტური ხანის ქვესამარხებშიც.[66]

კოლხური სელის უძველესი ნიმუშების შესახებ კიდევ უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს ზღვისპირეთში და განსაკუთრებით ფიჭვნარის ქვიშაზვინულებზე აღმოჩენილი ე.წ. ქსოვილიანი კერამიკის ნაშთები რომლებზეც მოცემულია სხვადასხვა ქსოვილთა ანაბეჭდები.[67]

საფეიქრო ხელოვნების ფართო დაწინაურებაზე შავისზღვისპირეთში საინტერესო მასალებს იძლევა ასევე არქეოლო-

---

[63] Ген В., დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[64] ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფ., 1930, გვ. 373.

[65] ნ.ხოშტარია, დიხა-გუძუბა, კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,V, თბ., 1944, გვ. 21; Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, II. Тб., 1950, с. 291, 292.

[66] ქსოვილთა ნაშთების აღმოჩენის შესახებ ცნობა მოგვაწოდეს არქეოლოგებმა ა.კახიძემ და ნ.ვაშაკიძემ, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

[67] Соловьев А. Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. Советская археология, 1950; ა.რამიშვილი, ზღვისპირა ზოლის ძველი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ.III, 1964; მისივე, ძველი სადგომები ფიჭვნარის ქვიშნარ დიუნაზე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ, 1964.

გიური გათხრების შედეგად მოპოვებული ქვისა თუ თიხის კვირისტავები და საქსოვი დაზგებისათვის განკუთვნილი პირამიდული საწაფები.[68]

პროფ. ა.კახიძე აჭარის ტერიტორიაზე სელის ქსოვილების დამზადების ერთ-ერთ ცენტრად ფიჭვნარს ვარაუდობს, სადაც ქსოვილიან კერამიკასთან, კვირისტავებსა და თვით ქსოვილის ნაშთებთან ერთად მრავლადაა აღმოჩენილი პირამიდული საწაფები, რომელთაც იყენებდნენ ვერტიკალური საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმავად. მსგავსი საწაფები აღმოჩენილია ბათუმის ციხეზეც.[69]

კოლხეთი ძველთაგანვე იყო განთქმული მაღალხარისხოვანი სელის ქსოვილებით, რომლითაც იგი შორეულ ქვეყნებთან ვაჭრობდა. კოლხური სელის მაღალ ღირსებებზე საგანგებოდ ამახვილებდნენ ყურადღებას ბერძენი მწერლები. ჰეროდოტე ეგვიპტელი და კოლხი ტომების ნათესაობის ერთ-ერთ ფაქტორად სელის დამუშავების ერთგვარ წესს მიიჩნევდა: "მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირიად, მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთისა. ხოლო კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი – ეგვიპტურ სელს" [70]

კოლხეთიდან სელის გადატანასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობას ვხვდებით სტრაბონთან: "ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის, გარდა თაფლისა (ეს მეტწილად მწარეა), ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს, ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის, ქვეყნის გარეთაც კი გააქვთ".[71] დ.ბაქრაძის ცნობით სელს გურიასა და აჭარაში

---

[68] ა.კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, 134.

[69] იქვე, გვ. 51, 134 .

[70] ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თ.ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ, 1960, გვ. 73.

[71] სტრაბონის გეოგრაფია, თ.ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 123-124.

ლერწამს უწოდებდნენ, სელის თესლს კი ლერწმის კაკალს.[72] თუმცა, ეთნოგრაფიული მასალებით ეს არ დასტურდება.

აჭარაში სელის დამუშავებისა და მისგან ნართის მიღების ხალხში შემონახული ემპირიული ცოდნა ანალოგიას ამჟღავნებს საქართველოს სხვა კუთხეებში არსებულ ამავე რიგის მასალასთან.[73]

მდიდარი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა ლიტერატურულ მონაცემებთან ერთად კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სელის მოყვანასა და მის გამოყენებას საქართველოში ხანგრძლივი და მაღალგანვითარებული ტრადიციები გააჩნია. ასევე უნდა ითქვას კერძოდ აჭარის შესახებ, რაზეც დახასიათებული ცნობები მიგვითითებს.

კანაფი და კანაფის ქსოვილები. აჭარაში ორგვარი სახის კანაფი მოჰყავდათ – დედალი და მამალი. ამათგან საბოჭკოედ დედალი კანაფი გამოიყენებოდა. კანაფის ტილოს ქსოვა ქსელზე წარმოებდა. საქსოვად მხოლოდ ერთი წევრი გამოიყენებოდა, რადგან ნართი ისედაც უხეში და მსხვილი იყო.

სელ-კანაფის ნართს კედი ეწოდებოდა, ქსოვილს – ტილო. კანაფის ნართი და ქსოვილი მოყვითალო ფერისა იყო და გაითეთრების მიზნით ნაცარშერეულ საპნიან წყალში ხარშავდნენ. ამ პროცესს ნახეკარი დღე სჭირდებოდა.

კანაფის ტილოს დატყეპვა ანუ მოთელვა, შალის ქსოვილის მსგავსად ხდებოდა, რისთვისაც იყენებდნენ წირითავებს (მოხრილი მკლავის ფორმის ხე), მოთელვამდე ქსოვილს დარბილების მიზნით ცხელ წყალში ალბობდნენ. გადმოცემით, ძველად კანაფის ტილოსაგან საცვლების გარდა, ქალები კაბასაც იკერავდნენ. კანაფის ტილოს იყენებდნენ მიცვალებულის სუდარად და საცვლებად. ასეთივე გამოყენება ჰქონდა კანაფისა

---

[72] Бакрадзе Д., დასახ. ნაშრომი, გვ. 180, 181.

[73] გ.ჩანაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, I სელი, გვ. 180-181; ლ. მოლოდინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

და სელის ქსოვილს სვანეთშიც.[74] ვ.ბარდაველიძე ვარაუდობდა, რომ რელიგიური წეს-ჩვეულების შესრულების დროს კანაფისა და მისი თესლის საჭმელად გამოიყენება ის რელიგიური აქტი უნდა ყოფილიყო, რომელიც მცენარეულის ღვთაებასთან ზიარებას გულისხმობდა.[75]

გარდა აღნიშნულისა, კანაფის ტილოს იყენებდნენ ლეიბების, ბალიშების გადასაკრავად, ტომრების შესაკერავად, კანაფის ძაფს კი ქალამნის თასმებად. მსგავსი გამოყენება ჰქონდა მას საქართველოს სხვა კუთხეებშიც.[76]

სელისა და კანაფის ტრადიციულობაზე მიუთითებდეს ზედა მაჭახელში გავრცელებული ერთი წეს-ჩვეულება, რომელიც ნ.კახიძემ ჩაიწერა სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. წეს-ჩვეულების შინაარსი ასეთია: გოგონას რთვა-ქსოვის შესწავლის დასაწყისში დასართავად აძლევდნენ სელის ან კანაფის ნართს. როცა მრთველი ხერტალს გაავსებდა, ოჯახის უფროსი ქალი გოგონას "კისერს წააღუნიებდა" და მასზე კეცის ან კრამიტის ნატეხს დაადებდა, ამ უკანასკნელზე დაწვავდა, ამაზე ხელს გაისწორებს და კარგად დართვას, კარგ ხელნაქნარს ისწავლისო. ამ წეს-ჩვეულების შესრულება ხელსაქმის დამწყები გოგონას რთვაში გაწაფვას გულისხმობდა. ხალხში გავრცელებული რწმენის თანახმად, თუ სელ-კანაფის დართვას გოგონა კარგად ისწავლიდა, მას მატყლის დართვა აღარ გაუჭირდებოდა.[77]

როგორც ლიტერატურული მონაცემებით ირკვევა, კანაფი შინამრეწველობის მნიშვნელოვან ნედლეულს შეადგენდა საქართველოში.[78] დასავლეთ საქართველოში კანაფის მოყვანის

---

[74] ჯ.რუხაძე, კანაფის მეურნეობა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, მე-16-მე-17, თბ., 1972, გვ. 88

[75] ვ.ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 100-102.

[76] გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178; ჯ.რუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84-85.

[77] ნ.კახიძე, აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა, გვ. 377- 378.

[78] Ковалевский М. Закон и обычай на Кавказе. 1. М., 1890.

შესახებ ცნობა მოგვეპოვება სტრაბონთან.[79] გარეული სახის კანაფის შესახებ ვახუშტიც გვამცნობს, რომ იგი "უმუშაკოდ მოდის" საქართველოში. ივ.ჯავახიშვილის მიხედვითაც კანაფი ველურად იზრდებოდა შავი ზღვის სანაპიროზეც და შუაგულ საქართველოშიც.[80]

აჭარაში ბამბანარევი კანაფისაგან სელის საცვლების დამზადების შესახებ ცნობას თ.სახოკიაც გვაწვდის[81] მაგრამ მისი აქ მოგზაურობის დროს ფეიქრობის ეს დარგი უკვე მივიწყებული იყო. მსგავსი ვითარება იყო XIX ს. ბოლოს გურიასამეგრელოსა და აფხაზეთში.[82]

კანაფის სამეურნეო დანიშნულებაზე აჭარაში ტოპონიმიკური მასალაც მიუთითებს. ჩაქვისთავში არსებული ადგილის სახელწოდება საკანაფე და სოფ. ყინჩაურში ნაკანაფევი[83] უდაოდ დაკავშირებული უნდა იყოს ამ ადგილებში კანაფის კულტურის მოვლა-მოყვანასთან.

ზემომოტანილი ცნობები კანაფის ხანგრძლივ ტრადიციებზე და აჭარელთა ყოფაში მის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აჭარის მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევდა ფეიქრობას, რასაც ძირითადად საოჯახო მოხმარების ხასიათი გააჩნდა. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ ნართის დამუშავებისა და ქსოვილების დამზადების ტექნოლოგიურ წესებს, საფეიქრო იარაღებსა და შრომის ორგანიზაციის ფორმებს ანალოგები ეძებნება როგორც საქართველოს სხვა კუთხეების, ისე კავკასიის სხვა ხალხთა ყოფაში.

---

[79] სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 123, 124.

[80] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 375.

[81] თ.სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 178.

[82] გ.ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

[83] ი.სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ბათ., 1958.

3. ღ ე ბ ვ ა. ხალხური ფეიქრობა თავიდანვე აყენებდა დღის წესრიგში საღებავი საშუალებების მოპოვებისა და მისგან საღებავების დამზადებას.

საღებავად იყენებდნენ როგორც მცენარეულ, ასევე ქიმიურ საღებავებს, მცენარეული საღებავებიდან იყენებდნენ საწერავ ბალახს, ენდროს, კაკლის მწვანე ნაჭუჭს, თხმელის და წყავის ხის ქერქს, ნარინჯ ყვავილს, მაკაფია ბალახს და ა.შ.

საწერავ ბალახს ფართო გამოყენება ჰქონდა შალის პირველად შეღებვაში. საღებავის მომზადების წესი შემდეგში მდგომარეობდა: გამხმარი ბალახის ფოთლებს თავდახურულ ჭურჭელში ათავსებდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ მას ნელ ცეცხლზე ხარშავდნენ ადუღებამდე. მიღებულ სითხეში შალის ქსოვილს ჩადებდნენ და ადუღებდნენ ნახევარი საათის განმავლობაში. ქსოვილი გაცივებამდე ჭურჭელში რჩებოდა. მეორედ შალს ქარხნულ საღებავში ათავსებდნენ, რომელიც ქსოვილს შავ ფერს აძლევდა.

მაკაფია ბალახი ჭაობიან ადგილებში ხარობდა. მისი გამხმარი ღეროსა და ფოთლებისაგან ყავისფერი საღებავი მზადდებოდა. შეღებვა ზემოაღწერილი წესით წარმოებდა.

როგორც ცნობილია, საღებავი მცენარეებიდან უფრო ყვითელი ფერის საღებავი მზადდებოდა.[84] ამ მხრივ არც აჭარა იყო გამონაკლისი. ყვითელი ფერის საღებავის დასამზადებლად იყენებდნენ ნარინჯ ყვავილს. ყვავილის ფოთლებს გამხმარი სახით მოსრესდნენ და მჭიდროდ თავდაცულ დოქში ათავსებდნენ და ცოტა წყალსაც უმატებდნენ. ჭურჭელს შემდეგ ორი დღე-ღამის განმავლობაში ცხელ ნაცარში ჩადგამდნენ. დოქის დაჩხვლეტილი ტუჩიდან ორთქლი გამოდიოდა, რაც სითხედ იქცეოდა და თიხის სხვა ჭურჭელში გროვდებოდა. ასე მიიღებოდა ყვითელი ფერის თხევადი საღებავი. საღებავ სითხეს მოხმარების წინ წყალში გააზავებდნენ. შემდეგ კი ღებვას შეუდგებოდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, ნარინჯის ყვავილი-

---

[84] ზ.შენგელია, საქართველოს საღებავი მცენარები, თბ., 1958, გვ. 119.

საგან ისეთი მაღალი ხარისხის საღებავი მზადდებოდა, რომ რეცხვის შემდეგაც კი მას ფერი არ გაუვიდოდა.[85]

ყველაზე გავრცელებულ საღებავს აჭარაში ენდრო წარმოადგენდა. გამოიყენებოდა მისი გამხმარი ფესვები და ფოთლები, რომლებსაც ხელით ან ქვით კარგად გასრესდნენ და ფხვნილად აქცევდნენ. ფხვნილს წყალში გახსნიდნენ, ცოტაოდენ საქონლის შარდსაც დაუმატებდნენ. ამგვარი წესი სამცხე-ჯავახეთშიც იყო გავრცელებული.[86] ასეთნაირად მომზადებულ ხსნარში ჩადებდნენ შესაღებ ქსოვილს და ადულებდნენ ნახევარი საათის განმავლობაში. მღებავი თვალით შეამოწმებდა შეღებვის ხარისხს და შალს ჭურჭელშივე გააცივებდა. ქსოვილი წითლად შეიღებებოდა. ამის შემდეგ შალს ცივ წყალში გაავლებდნენ და გააშრობდნენ.

ენდროს მოყვანას და სამღებრო საქმეში მის გამოყენებას ამიერკავკასიაში დიდი ხნის ისტორია აქვს.[87] XIX ს. I ნახევარში ენდროს პლანტაციები გაშენებული ყოფილა თბილისის, თელავის, სიღნაღის, გორის, ქუთაისის, შორაპანის და სხვა მაზრებში. ენდროს აშენებდნენ აწყურსა და ხერთვისშიც.[88]

საქართველოს ფარგლებს გარეთ ენდროს ფართო გამოყენება ჰქონდა აზერბაიჯანში, სადაც ენდროთი ღებვის ტექნოლოგიას სამღებრო საქმის განვითარების სრულყოფილ სტადიად მიიჩნევენ.[89]

კაკლის ნაჭუჭისა და თხმელის ქერქის ნაერთი შალს ყავისფრად ღებავდა. ეს საღებავი "კარგად ეკიდებოდა" შალისა და ბამბის ქსოვილებს. ზოგჯერ ამ ნაერთს საღებავ "ლილა მიწასაც" უმატებდნენ. საღებავი ამ შემთხვევაში ღომივით გას-

---

[85] ი.სამსონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

[86] ლ.მოლოდინი. მღებრობა მესხეთ-ჯავახეთში, მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972, გვ. 155.

[87] პ.ბუგუშევილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

[88] ლ.მოლოდინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

[89] Петров В. Опит классификации красильных растений и растительных красок юга Нагорно-Карабахской области. Труды Ботанического института Аз.ФАН, т.6, Баку, 1939, с. 201.

ქელდებოდა და ქსოვილი მუქ-შავ ფერს მიიღებდა. საღებავს მეტი მდგრადობის მისაცემად მასში შაბის ხსნარსა და ნატეხს ურევდნენ.

სოფლის საუკეთესო მღებავები დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდნენ საღებავების მომზადების რთულ საქმეს. ისინი ყოველგვარი საფასურის გარეშე უღებავდნენ ქსოვილებს მეზობლებსა და ახლობლებს. ღებვის წესები ზოგჯერ გასაიდუმლოებული იყო. პ.გუგუშვილის დახასიათებით მცენარეთა ფოთლების, ყვავილების, ქერქის, ფესვებისა და ცხოველური წარმოშობის სხვადასხვა მღებავი ინგრედიენტების შერჩევის ცოდნა ხშირად წარმოადგენდა შინამრეწველთა საიდუმლოებას, რასაც დიდი გულმოდგინებით ინახავდნენ და თაობიდან თაობაში გადასცემდნენ, როგორც უძვირფასეს საგვარეულო საკუთრებას.[90]

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის აჭარაში საღებავების დასამზადებელი მცენარეებისა და ღებვის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული "შინამრეწველობის მასალებში".[91]

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული საღებავების დამზადების ტექნოლოგია ადგილობრივი საღებავი საშუალებების გამოყენებით მიგვითითებს, რომ XIX – XX სს. მიჯნაზე აქ კარგად იყო შემონახული თაობათა მიერ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ღებვის ხალხური წესები, რომელიც კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარია. მაგრამ მღებრობა აჭარაში საოჯახო წარმოების ფარგლებს არ სცილდებოდა და შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენდა. საღებავები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას ხმარდებოდა.

ამგვარად, შალის ტანსაცმლისათვის საჭირო მასალის ნედლეულის დამზადების, ქსოვის, თელვისა და შეღებვის ტექ-

---

[90] პ.გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

[91] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ.II, ნაწ. II, გვ. 242-243.

ნოლოგიის ძირითადი ნიშნების მიხედვით აჭარული ეთნოგრაფიული მონაცემები ზოგადქართული ხასიათის მატარებელია. თუმცა, მას რიგი ლოკალური თავისებურებებიც გააჩნია.

4. *ჭრა-კერვის ტექნიკა.* აჭარელი ქალის ტანსაცმელი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, შინამზადი და ფაბრიკული ქსოვილებისაგან მზადდებოდა. განვითარების პროცესში ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე დამზადებული ქსოვილები თანდათანობით შეიცვალა ფაბრიკული ქსოვილებით, რამაც საეროოდ ნიადაგი შეურყია ხალხური ფეიქრობასა და ძველებურ ჩაცმულობას.

ფაბრიკული ქსოვილები XX ს. დასაწყისში ძირითადად შემოჰქონდათ აჭარელ, ბერძენ, ქურთ ვაჭრებს. საქონლის მიწოდების ცენტრი იყო ბათუმი, თბილისი, ქუთაისი, ადრე თურქეთი და ინგლისიც კი. გ.ყაზბეგი საგანგებოდ მიუთითებდა ფაბრიკული ქსოვილებით ვაჭრობაზე აჭარაში. იგი XIX ს. 70-იანი წლებში წერდა: "ბერძნები ყიდიან სხვადასხვანაირ ფართლეულს აქაური კეკლუცებისათვის. ყველა საუკეთესო ქსოვილი დამზადებულია ინგლისში, რომელიც თურმე შორეულ აჭარასაც კი ამარაგებს იაფი ჩითით და აქაური გემოვნებისათვის შესაფერისი შალეულით. რუსულ საქონელს ამ ბაზარზე ვერ ნახავთ, მხოლოდ ერთ სომხის (თერძის) დუქანში შევხვდით გურული წარმოების მაუდს და ბანქოს გაზინთულ დასტას" [92] უფრო მოგვიანებით კერძო დუქნებიც გახსნილა. ასე მაგ., ღორჯომის ცენტრში კერძო დუქანი გაუხსნია ადგილობრივ მკვიდრს მევლუდ ირემაძეს, ვაჭრობა წარმოებდა ფულზე და ნატურით. ზოგჯერ ქსოვილი ნისიად იყიდებოდა. საზომ ერთეულად ადლი იყო მიჩნეული. ასეთივე დუქნები არსებობდა ზერაბოსელში, ჭახათში (ქობულეთის რ.), ყინჩაურში, ფურტიოსა და ხიჭაურში (შუახევის რ.). ვაჭრობა მეტწილად ადგილობრივ მკვიდრთა ხელში იყო. ქსოვილებს იძენდნენ არა მარტო ადგილობრივ მაღაზიაში, არამედ ბათუმის, ახალციხის,

---

[92] გ.ყაზბეგი. დასახ. ნაშრომი. გვ. 38.

ქვაბლიანის, არდაგანის, ყარსისა და არტანუჯის საკაჭროებში. აქ საქონლის შესაძენად მამაკაცები დადიოდნენ.

კარგ საკაბე ქსოვილად ითვლებოდა ატლასი, აბრეშუმი, სატინა, ყანაოზი, საშალედ მაუდს იყენებდნენ. მოსახლეობის დაბალი ფენისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო ბამბის ქსოვილები (ჩითი, ყუმუში, მიტკალი). ქსოვილების ფასს განსაზღვრავდა მათი ხარისხი. ასე მაგ., ჭვანაში ჩაწერილი მასალების მიხედვით XIX-XX სს. მიჯნაზე ერთი არშინი ჩითი ღირდა 4 აბაზი, ატლასი – 2 მანეთი, მაუდი – 5 მანეთი, სატინა – 12 კაპიკი, ჩითი – 8 კაპიკი, ყანაოზი – 6 აბაზი, ყუმაში – 1 მანეთი და ა.შ.

ტანსაცმლის ჭრა-კერვა ძირითადად ოჯახში წარმოებდა. ოჯახის უფროსი ქალი არა მხოლოდ საოჯახო და სამეურნეო საქმეებს განაგებდა, არამედ ოჯახის ქალ წევრებს შორის ფუნქციებსაც ანაწილებდა. ერთი მათგანი თუ ნართს რთავდა ან ჩეჩავდა, მეორე მიწის სამუშაოებს ასრულებდა, მესამე – კერავდა და ა.შ. ოჯახში ამ მხრივ სრული წესრიგი და ურთიერთშეთანხმება სუფევდა. ოჯახის უფროსი ქალის ზედამხედველობით ხდებოდა ჭრა-კერვის რთული ხელობის დაუფლება გოგონების მიერ, რომლებიც უკვე 10-12 წლის ასაკიდან იწყებდნენ მის შესწავლას და ცდილობდნენ უცვლელად შეენარჩუნებინათ ტრადიციული ჭრა-კერვის წესები, პირველ რიგში ჭრა-კერვაში დახელოვნებული პირები მეზობლის ახალგაზრდა ქალებსაც ასწავლიდნენ ხელობას ყოველგვარი საფასურის გარეშე. მეზობლებისა და ნათესავების ტანსაცმელს უფასოდ კერავდნენ. რიგ შემთხვევაში საზღაურსაც იღებდნენ პროდუქტებისა და შრომითი დახმარების სახით. ასე მაგ., ფორკა კაბის ან ჩოხა-შალის შეკერვის საფასურს ანაზღაურებდნენ ერთი დღის დახმარებით ხვნა-თესვაში ან სათიბში, ძაფის დართვაში, ქსოვაში.

ადრე ტანსაცმელს ხელით კერავდნენ. შეკერვამდე ხდებოდა მისი დალამბვა ანუ გაცუდვა. იცნობდნენ ხელით კერვის სხვადასხვა სახეებს. როგორიცაა: თაგალი ანუ უკუგდებული

კერვა და ამოხვევა, რომელსაც ზოგჯერ გაღმა-გამოღმა ნაკერსაც უწოდებდნენ.

ჭრა-კერვის პროცესი აჭარაში მთელ რიგ წეს-ჩვეულების შესრულებას ითვალისწინებდა. ეს პროცესი კვირის ყველა დღეს არ შეიძლებოდა. ამისათვის საუკეთესო დღეებად მიჩნეული იყო ორშაბათი, ხუთშაბათი და კვირა. ამათგანაც ყველაზე "საკვსე და ბედნიერ დღედ" ორშაბათი ითვლებოდა, აჭარელთა რწმენით, სამშაბათ ჭრა-კერვა იმიტომაც არ შეიძლებოდა, რომ იგი "მკვდრებთან შეხვედრის" დღედ თვლებოდა, ოთხშაბათ დღეს ტანსაცმლის დაჭრა და შეკერვა კი საქონლისათვის იყო საზიანო. პარასკევი კიდევ ცეცხლის გაჩენის მომასწავებლად მიიჩნდათ, შაბათი კი მძიმე დღედ მიიჩნეოდა. ყურადღება ექცეოდა მთვარის ფაზების გათვალისწინებასაც. "დალეულ მთვარეზე" ქსოვილის დაჭრა ტანსაცმლისათვის ცუდის მანიშნებელი იყო.

აჭარელთა წარმოდგენას ტანსაცმლის ჭრა-კერვაში ვარგისი და უვარგისი დღეების შესახებ ანალოგია ეძებნება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ფშავშიც კარგ დღედ, გარდა ხუთშაბათ-სამშაბათისა, შაბათი ითვლებოდა.[93] სვანეთში კარგ დღედ ხუთშაბათი ითვლებოდა.[94] აჭარის მსგავსად ჭრა-კერვა იკრძალებოდა ფშავში ოთხშაბათსა და პარასკევს. ამ დღეებში დაჭრილ და შეკერილ ტანსაცმელს, ფშაველის რწმენით მაცილე//ბალინჯი ეტანებოდა.[95] სვანური რწმენის თანახმად პარასკევ დღეს ჭრა-კერვის შესრულება გამოიწვევდა საქონლის განადგურებას და უბარაქიანობას.[96]

მსგავსი დამთხვევების გარდა, საწინააღმდეგო მოვლენასთანაც გვაქვს საქმე. მაგ., აჭარელთა რწმენით, ჭრა-კერვისათ-

---

[93] ც.ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ოუშ-ფშავ-ხევსურული). საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1971, გვ. 37.

[94] ც.ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსი, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970, გვ. 161.

[95] ც.ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი, გვ. 37.

[96] ც.ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსელი..., გვ. 161.

ვის ვარგისად მიჩნეული იყო ორშაბათი დღე, რომელიც სვანეთში ცუდ დღედ ითვლებოდა. ამ დღეს რომ რაიმე შეეკერათ, ოჯახს მომავალი არ ექნებოდა და საქონელსაც ნადირი გაანადგურებდა. ან კიდევ, თუ სამშაბათი და ოთხშაბათი სვანეთში ბედნიერ დღედ ითვლებოდა, აჭარაში პირიქით, ეს დღეები ნაკიანად იყო გამოცხადებული.[97]

ანალოგიური დამთხვევები და განსხვავებები საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა.

აჭარელთა ყოფაში ბოლო დრომდე გადმონაშთური სახით მოღწეული ჭრა-კერვასთან დაკავშირებული წესჩვეულებები ზოგადად ქართული ხასიათისაა და მნიშვნელოვნად ავსებს ქართველი ხალხის იმ რწმენა-წარმოდგენათა შესწავლის ისტორიას, რომელიც დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობასთან, ასტრალურ კულტთან.

---

[97] ც.ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსელი..., გვ. 161.

თავი II
ქალის ტანსაცმელი

I. *კაბის ტიპები.* ქართული ტანსაცმლის კლასიფიკაციის პრინციპები ჯერ საბოლოოდ დამუშავებული არ არის. ქარიული ჩაცმულობისადმი მიძღვნილ ნაშრომებში მასალა დალაგებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ი.ციციშვილის კლასიფიკაციის მიხედვით დადგენილია კაბის შემდეგი სახეობანი: მკერდ-დახშული, ჩაღილული, მკერდზე ბორტებგადაფენილი და ჩიხორგანიერი, მკლავებზე აკეცილი ვიწრო და გრძელსახელოებიანი, ვიწრო სახელოიანი, ენიანი, ყურთმაჯიანი, ყელ-კისერ-ამოჭრილი, მკერდ ღია, გულისპირიანი[1]. ეს კლასიფიკაცია მთლად დამარწმუნებელი არ ჩანს, რადგან ერთ შემთხვევაში დაყოფის საფუძვლად გულისპირის მოყვანილობაა აღებული, ხოლო მეორე შემთხვევაში – სახელოების თავისებურება. გაუგებარი რჩება როგორი სახელოები ჰქონდა მკერდდახშულ ჩაღილულ კაბას ან როგორი გულისპირი გააჩნდა ენიან ან ყურომაჯიან კაბას.

ზოგი მკვლევარი ტანსაცმლის ელემენტებს აჯგუფებს ეთნიკური პრინციპის მიხედვით.[2] ტანსაცმლის კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპების შემუშავებისათვის საჭიროა ასევე ზოგადი მასალის ანალიზი, რომელიც ყველა სხვადასხვა ხალხთა ტანსაცმლის სათანადო მონაცემების გათვალისწინებას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომში აჭარელი ქალის ტანსაცმლის ამსახველი მასალა დალაგებულია თარგის თავისებურებათა მიხედვით. ერთ-ერთ ასეთ სახეობას ქმნის აჭარელი ქალის კაბის სიროულე-სისადავე, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად გამოხატულია მის ქარგაში. ამ თავისებურების მიხედვით აჭარული კაბის ცალკე სახეობებად გამოვყოფთ ზუბუნ-ფარაგას,

---

[1] ი.ციციშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 55.
[2] Tilke M.. დასახ. ნაშრომი.

რომელიც სადაა და რომელსაც საოლველი[3] არ გააჩნია. მეორე სახეობად აღებულია დატეხილი კაბა, რომელსაც ნაოჭიანობა ახასიათებს, მესამე სახეობას განეკუთვნება ფორკა კაბა, რომელიც არშიებით გამოირჩევა კაბის წინა ორი სახეობისაგან. ე.ი. ტიპოლოგიის პრინციპად ამ შემთხვევაში აღებულია კაბის საოლველით მორთვა მისივე მასალით.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ტერმინ კაბის სახელწოდების გარშემო არსებული შეხედულებანი. ტერმინი კაბა ივ.ჯავახიშვილის აზრით, მთელი საქართველოს მასშტაბით გამოყენებული ორივე სქესის სამოსის აღმნიშვნელი ზიარი ტერმინია[4] და ორივე სპარსულიდან არის შემოსული. ამიტომაც, გაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ძველ ქართულ ძეგლებში ეს ტერმინი არ გვხვდება. იგი საქართველოში X ს. ადრე არ არის შემოსული.[5]

ი.ციცშვილის აზრითაც ტერმინი კაბა ორივე სქესის ზედა სამოსის სახელწოდებაა, მაგრამ ივ.ჯავახიშვილისაგან განსხვავებით იგი მას არაბული კაბა-დან მომდინარედ მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა ყაბაჩას ფორმით, საქართველოში არაბების ბატონობის დროს უნდა იყოს შემოსული. ამის დასამტკიცებლად მკვლევარს მოაქვს სიტყვა კაბის კნინობითი ფორმები: ყაბაჩა და ყაბარჩა. კაბის გავრცელების არეალი ემთხვევა წინა აზიისა და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებს, სადაც საერთოა როგორც სახელწოდება, ისე ფუნქციაც.[6]

ამგვარად, ტერმინი კაბა ძველი დროიდან იხმარება საქართველოში და იგი როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ტანსაცმლის აღმნიშვნელია.

---

[3] საოლველი, არშია სამოსელთა (სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი).

[4] ივ.ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, გვ. 72.

[5] იქვე.

[6] ი.ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

აჭარელი ქალის ჩაცმულობის ძველებურ კომპლექტში (კაბის ქვეშ ჩასაცმელად) გამოყენებული იყო პერანგი და შარვალი, რომელთა შესაკერად იხმარებოდა უმეტესად საოჯახო წესით ნამზადი სელისა და კანაფის ქსოვილი, ხოლო ფაბრიკული ქსოვილების შემოჭრის შემდეგ – ჩითი, მიტკალი, ყუმაში, ყანაოზი. ამათგან ორი უკანასკნელი საქორწილო, სადღესასწაულო და შეძლებულ პირთა საცვლების დასამზადებელ ძირითად მასალას შეადგენდა. უპირატესობას აძლევდნენ თეთრი და წითელი ფერის ტანსაცმელს. ზოგჯერ ჭრელ საცვლებსაც ხმარობდნენ. აჭარელი ქალი გრძელ და ფართოკალთიან, განიერ პერანგს იცვამდა. პერანგი გრძელსახელებიანი და გულდახურული ანუ იახიანი იყო.[7]

სანიმუშოდ მოგვაქვს აკად. ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული აჭარელი ქალის ჟოლოსფერი ყანაოზის პერანგი (კოლ. 11-1315). პერანგი შედგება ორი განის, გვერდებში სისრულისათვის შედგმული ირიბი ნაჭრების, გრძელი სახელოებისა და დახურული გულისაგან. აქვს წინა ჩანაჭერი, იკვრება ერთი ღილით. სახელო ვიწრო სამაჯით ბოლოვდება.

შარვალი მამაკაცის შარვლის მსგავსად იკერება. მისი გრძელი ტოტები ძლიერ განიერია. შარვალს აქვს საპირე და სარჩული. ეს აჭარელი ქალის ჩაცმულობის ძველებური წესის დაცვის აუცილებელ პირობას შეადგენდა. შარვლის ბოლოები მოძრაობის დროს კაბიდან მოჩანდა, ამიტომ მუხლს ქვემოთ ძვირფას ქსოვილს (უმეტესად წითელი ფერისას) გადააკრავდნენ. შარვლის სათავე და ბოლოები შინნაქსოვი ჭრელი ხვანჯრით იკვრებოდა. შარვლებს ხმარობდნენ როგორც ახალგაზრდა, ისე ხანდაზმული მანდილოსნები. ასეთი შარვლების ტარების ტრადიცია მთის სამოსელში (ხულო, შუახევი) დღესაც შემორჩათ შუახანს გადაცილებულ ქალებს.

---

[7] იახა თურქული სიტყვაა და საყელოს ნიშნავს (Магазаник Д. Турецко-русский словарь. М., 1945).

საცვლებს ზემოდან სახმარი კაბა აჭარაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახეობისა იყო და მათი ფორმები დროთა განმავლობაში ერთმანეთს სცვლიდა. საკუთრივ ზუბუნ-ფარაგა და დატეხილი კაბა ერთმანეთის პარალელურად არსებობდა, ხოლო შემდგომ ფორკა-კაბა შემოვიდა ხმარებაში.

ზუბუნ-ფარაგა[8] როგორც ჩანს, აჭარელი ქალის ჩაცმულობის ძალიან ძველი ელემენტია. ამას ისიც ადასტურებს, რომ მისი მოხმარების, კერვის ტექნიკისა და თარგის შესახებ მასალის შეკრება ჩვენ მხოლოდ ხალხში არსებული გადმოცემით შევძელით. მისი არცერთი ეგზემპლარი თანამედროვე ყოფას არ შემორჩა. ზუბუნ-ფარაგას ერთადერთი ნიმუში დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქსოვილების ფონდში (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი) ეთნოგრაფიული მასალები ამ ელემენტის კერვის წესების, შემკულობისა თუ მასალის შერჩევის შესახებ გამოკითხვის წესით არის შეკრებილი. შედარებით სრული მასალა ზუბუნ-ფარაგას შესახებ ღორჯომშია ჩაწერილი.

ზუბუნ-ფარაგა, იგივე გრძელი ზუბუნი, იკვრება როგორც შინ ნამზადი (სელი, კანაფი, აბრეშუმი) ასევე ფაბრიკული ქსოვილისაგან. ზუბუნ-ფარაგის გამოჭრის წესი შემდეგში მდგომარეობდა: ჯერ წინა ორ სატანს გამოჭრიდნენ თავისი ფარაგებით, შემდეგ ზურგსა და სახელეობს. კაბა მთლიანი, წელში გაუკერავი და ბოლომდე გახსნილი იყო. ზუბუნ-ფარაგა იმგვარად უნდა შეეკერათ, რომ ფარაგები ერთმანეთს არ დაახლოებოდა და მათ შორის ღია ადგილი დარჩენილიყო.

კაბა გულამოჭრილი იყო და მასში მოჩანდა პერანგის მოქარგული საყელო. ზოგჯერ კაბას მაღალ საყელოსაც უკეთებდნენ. კაბის გულისპირის შემკობას დიდი ყურადღება ექცეოდა. საამისოდ ხალიჩებიდან გადმოჰქონდათ სხვადასხვა სა-

---

[8] ზუბუნი (ზუპუნი) თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქურთუკს ნიშნავს Магазаник Д., დასახ. ნაშრომი; ნ.გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ., 1973, გვ.44.

ხეები და გულისპირის შემკობით კაბის საერთო იერს ესთეტიკური ელფერი იძლეოდა.

ზუბუნ-ფარაგას გვერდები საგანგებოდ იყო შეხსნილი, თუმცა კაბის სისრულე ფარაგების შეხსნას არ მოითხოვდა. ალბათ, აქ ძველი ტრადიციული ფორმის შენარჩუნებასთან გვაქვს საქმე. წესად ჰქონდათ ფარაგების ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეზე გადადება და ფეშტემლის ბაიღში ჩამაგრებამარჯვენა ფარაგს მარცხნივ გადაიდებდნენ და პირიქით. ასე, რომ ფარაგები ერთმანეთზე ჯვარედინად განლაგდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით ტარების ამ წესს არავითარი პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა და მხოლოდ ტანსაცმლისათვის ლამაზი ფორმის მისაცემად კეთდებოდა. შესაძლებელია, ეს გამოიწვია აღმართებზე სიარულის ან კიდევ სამეურნეო სამუშაოთა შესრულების დროს კაბის კალთების მიწაზე შეხებისაგან დაცვის საჭიროებამ. კაბის ფარაგების აწევა დარსა თუ ავდარში გაცვეთისა და გაჭუჭყიანებისაგან იცავდა ტანსაცმელს.

ზუბუნი წელიწადის დროთა მიხედვით განსხვავებული იყო. ზამთარში გრძელსახელოიანი და დაბამბული, ზაფხულობით კი უსახელო და დაუბამბავი.[9]

ზუბუნ-ფარაგას შესაკერად გამოიყენებოდა ხავერდის, მანოინის, ყანაოზის, ყუმაშის, ფარჩის ქსოვილი. ზოგჯერ იცოდნენ ზუბუნ-ფარაგას განათხოვრება. თუ პატარძალი ღარიბი იყო და საკუთარი საქორწილო კაბის შეკერვის საშუალება არ ჰქონდა, იგი ინათხოვრებდა კაბას, რომელიც ქორწილის შემდეგ ისევ პატრონს უბრუნდებოდა. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი ზუბუნ-ფარაგით 12 პატარძალი მოუყვანიათ.

ზუბუნ-ფარაგას პირველ ტიპს ეკუთვნის აკად. ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ექსპონატი (კოლ.11-1317). გრძელი ზუბუნი შეკერილია ზოლებიანი ფარჩის ფაბრიკული ქსოვილით. ის ახალუხისებური თარგითაა შეკერილი და შედგება წინა ორი ფარაგის, უკანა ფა-

---

[9] თ.სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 189.

რაგისა და მიდგმული მაღალი საყელოსაგან. ზუბუნი წინ მთლიანად გახსნილია. გვერდებიც წელს ქვემოთ ასევე შეხსნილია. მას შესაბნევები არ აქვს. ჩახსნილი ადგილები ამოქარგულია ვერცხლისმკედის გრეხილით და ქმნის ფოთლოვან ორნამენტს (ვაზის ნახევარი ფოთლის გამოსახულება) ნაქარგობა განსაკუთრებულ სილამაზესა და მიმზიდველობას მატებს ზუბუნს.

ზუბუნი სამცხე-ჯავახეთშიც იყო გავრცელებული და მას ატარებდა როგორც ქრისტიანი ისე მუსულმანი მოსახლეობა.[10] გურიაში ზუბუნის არსებობა ი.ციციშვილს აქვს დადასტურებული. იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ გურია-აჭარაში შემონახული ზუბუნი და უკრაინული "Зипун"-ი ჯუბის სახესხვაობას უნდა წარმოადგენდესო.[11] ჯუბა არაბული წარმომავლობის სიტყვაა, რომელიც სპარსეთსა და არაბეთში XI ს-დან ჩნდება. ის პერანგს ზემოდან სახმარ ჩასაცმელს წარმოადგენდა, რომლის ზემოთ სახლიდან გასვლის შემთხვევაში სხვა სამოსს გადაიცვამდნენ.[12] საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ტერმინ ჯუბას გავრცელების არეც. იგი გვხვდება ინდოეთში, ავღანეთში, დასავლეთ ევროპაში. ესპანეთში იგი ცნობილია aljuba-ს jupa-ს, chupa-ს და jubon-ის სახით, იტალიაში – giuppa და giuppone, საფრანგეთში - jupe-ს და jupon-ის სახით.[13]

ზუბუნი, როგორც საქალო სამოსი, გავრცელებული იყო ანატოლიაში, აზერბაიჯანში, უდმურტეთში, ჩუვაშეთში, სომხეთში, ბულგარეთში, სერბებსა და ხორვატებში, რუსებში და ყველგან მას ერთი საერთში, ეძებნება.[14]

---

[10] ლ.ბარათაშვილი, მასალები მე-19 საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ.1, თბ., 1966, გვ. 135.

[11] ი.ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[12] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[13] ი.ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[14] Курылев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

წინა აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ჯუბა ორივე სქესის სამოსად იხმარებოდა. ეგვიპტესა და ალჟირ-მაროკოში ჯუბას ხიფთანს ზემოდან იცვამდნენ. სირიაში იგი ქვედა სამოსად ითვლებოდა.[15]

დასახელებული მონაცემების გათვალისწინებით ნათელია, რომ ი.ციციშვილის ვარაუდი ზუბუნ//ჯუბის ურთიერთკავშირის შესახებ მოკლებულია რეალურ საფუძველს. ზუბუნ-ფარაგას ახალუხისებური თარგი არსებითად განსხვავდება ჯუბისაგან. მათ შორის მსგავსებას მხოლოდ სამოსის დანიშნულება ქმნის – ზუბუნიცა და ჯუბაც საცვლებს ზემოდან ჩასაცმელია. განსხვავებული ჩანს მათი შემადგენელი დეტალები, კერძოდ სახელოების ფორმა, გულისპირი, ფარაგების შეხსნის წესი. გარდა ამისა, ზუბუნი წელზე მორგებულია, ჯუბა კი არა. აღსანიშნავია რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი,[16] თუშეთი[17]) ფარაგი წარმოადგენს პერანგისა და სადიაცოს იმ ნაწილს, რომელიც გულმკერდს ფარავს. აქ ეს ტერმინი კაბის კალთების გამომხატველია. ამდენად, ი.ციციშვილის ვარაუდი ზუბუნ-ჯუბის ურთიერთკავშირის შესახებ ჩვენ დამაჯერებლად არ მიგვაჩნია.

ზუბუნ-ფარაგა თარგით მსგავსია ნ.გვათუას მიერ აღწერილი ქართველი ქალის სამოსისა, რომელიც გერმანელ მკვლევარს უნახავს 1913 წელს[18] ტილკე ამ ტანსაცმელს უწოდებს კაბას, ხოლო ნ.გვათუა მას ახალუხად მიიჩნევს.[19]

ქართული სამოსის ამ ელემენტს საინტერესო პარალელი ეძებნება აკად. ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ძვირფასი ლიბონების ფონდში დაცული წალკელი ქალის ზუბუნთა

---

[15] ი.ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51, 52.

[16] ვ.ბარდაველიძე, გ.ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი (ხევსურული), თბ., 1939, გვ. 6.

[17] ც.ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი....., გვ. 63.

[18] Tilke M.. დასახ. ნაშრომი.

[19] ნ.გვათუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 47 (იხ.სურ. 25).

(კოლ. 4113). ეს სამოსი მუზეუმის ფონდებში შესულია 1913 წელს. წალკელი ქალის ზუპუნა უსახელოა და სწორი, რომელსაც არა აქვს საყელო. დანარჩენ დეტალებში იგი აჭარელი ქალის ზუბუნს წააგავს. ანალოგიური სამოსი სომეხი ქალის ჩაცმულობაშიც გვხვდება. სომხეთის სხვადასხვა რაიონებში იგი გავრცელებული იყო XIX ს. და XX ს. I ნახევარში.[20] ზუბუნის აჭარული ვარიანტი ქართულ ნიადაგზეა ჩამოყალიბებული და ახალუხის ნაირსახეობას წარმოადგენს.

დატეხილი კაბა. დროთა განმავლობაში ზუბუნ-ფარაგას პარალელურად მოიხმარებოდა დატეხილი კაბა, რომლის თარგში შეიმჩნეოდა ცვლილება. ეს იმით იყო განპირობებული, რომ მთლიანი კაბა თანდათან შეცვალა წელში გადაჭრილმა კაბამ. თარგის ცვლილება აჭარაში შესაძლოა იაფი მსუბუქი ფაბრიკული ქსოვილების შემოჭრითაც იყო გამოწვეული. ამგვარი ქსოვილი მეტად მოსახერხებელი იყო სამოსის ამ ტიპისათვის. დატეხილი კაბის მასალად გამოიყენებოდა ნაზი ქსოვილები – ყანაოზი, ყუმაში და სხვ.

დატეხილი კაბის ერთი ნიმუში 1970 წელს აღწერილი იქნა ხულოს რაიონის სოფ. ღორჯომში. კაბა ფოთლისფერი ყანაოზის ქსოვილისაგანაა შეკერილი, მაგრამ კაბის ტანი და სახელოების ნაწილი ლურჯი სატინისაგანაა დამზადებული. დატეხილი კაბა წელზედა და წელქვედა ნაწილისაგან შედგება. ორივე ნაწილს ცალ-ცალკე კერავდნენ და შემდეგ შეაერთებდნენ.

აღნიშნული კაბის სატანი 3 ნაჭრისაგან შესდგება, რომელსაც დაჩითული სარჩული უდევს და ტანზე მჭიდროდაა მორგებული. ბოლოვდება სირმის დაყულფული ორნამენტებით შემკული სამაჯურით. ქვედატანის ბოლოზე შემოყოლებული აქვს ოქროსფერი არშია, რომელიც კალთის სიფართეს ორჯერ აღემატება. კაბის ეს დეტალი გვიანდელი მოვლენაა. ადრე სა-

[20] Армянская одежда с древнейших времен до наших дней. Исследование и рисунки альбома Аракела Патрика. Ерев., 1967 (ტაბ. 61. სურ.5).

და, უარშიო კაბები სცოდნიათ. მას ქვემო აჭარიდან შემოსულად მიიჩნევენ და ზოგჯერ ბარულსაც უწოდებენ.

დატეხილი კაბის თავისებურება ისაა, რომ იგი გრძელია და ნაოჭებიანი. კაბა ტანზე მჭიდროდ მორგებული უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ამ ნაწილში მეტად ნაოჭიანი იყო, რომელშიც ფარული ჯიბეებიც იყო დატანებული.

თავიდან წელამდე ჩახსნილი კაბის გულისპირი ღილებით იკვრებოდა. კაბის გულისპირს ამკობდნენ მწვანე ზონარითა და ტეხილი ორნამენტით. საერთოდ წესად იყო მიღებული კაბის გულისპირის, საყელოსა და სამაჯეების შემკობა სხვადასხვა ფერის ძაფით.

საპატარძლო და სადღესასწაულო კაბები განსაკუთრებით იყო შემკული. ჩახსნილ ადგილებს, საყელოსა და სამაჯეებს ოქრომკერდითა და ფერადი ძაფებით ალამაზებდნენ. ამასთან ერთად, საპატარძლოს კაბის სახელოს ფორმა განსხვავდებოდა ჩვეულებრივი კაბის სახელოსაგან. იგი იყო ნაოჭებიანი და ქალის ხელის მტევნის ზურგს ფარავდა. დატეხილ კაბას ჩვეულებრივ 10-12 მეტრი ქსოვილი სჭირდება, მაგრამ ყოფილა შემთხვევებიც, როცა სადედოფლო კაბისათვის 18 მ. ქსოვილიც გამოუყენებიათ. მისი ზომებია: მთლიანი სიგრძე – 147 სმ, ტანის სიგრძე – 44 სმ. ქვედატანის სიგრძე – 103 სმ, სახელოს სიგრძე – 60 სმ, სახელოს სიფართე მხართან მიერთების ადგილზე- 31 სმ, მაჯასთან – 12 სმ.

დატეხილი კაბის თარგი და ხმარების წესი ძირითადად ერთნაირი იყო აჭარის ყველა სოფლისათვის, საერთო იყო მისი სახელწოდებაც.

ჩვეულებრივ, დატეხილი კაბის დასამზადებლად წითელი. მწკანე, ყვითელი და ალისფერი ქსოვილები გამოიყენებოდა. მუქი ფერის ქსოვილის გამოყენებას კი ერიდებოდნენ. ქალების რწმენით მუქი ფერის კაბის ტარება ცოდვად ითვლებოდა. ფერების ასეთი გაგება სავსებით ეთანხმებოდა აღმოსავლეთში გაბატონებულ მოსაზრებას ფერების შესახებ.[21]

---

[21] Вамбери Г. Очерки жизни и нравов Востока. СПБ, 1877, с. 53.

ფერების ასეთი შერჩევა გაადვილდა მანუფაქტურული ქსოვილების შემოსავლის შემდეგ, რომლებიც ხასიათდებოდა სიმსუბუქით, მოქნილობითა და ფერთა სიმრავლით. ასეთი ქსოვილები მეტად მოსახერხებელი იყო აღნიშნული ტიპის სამოსის თარგისათვის. გარდა ამისა, მომხმარებელს საშუალება ჰქონდა საკუთარი გემოვნებით შეერჩია სასურველი ფერის ქსოვილი.

ფაბრიკული ქსოვილების ყოფაში დამკვიდრებასთან დაკავშირებით მოხდა ცვლილება კაბის თარგში. მთლიანი კაბის ადგილი თანდათან დაიჭირა ორი – წელზედა და წელსქვეშა ნაწილისაგან შედგენილმა კაბამ. ასეთი კაბის თარგი ორიგინალურია და მსგავსებას ვერ პოულობს საქართველოს სხვა კუთხის სამოსთან. შესაძლოა, ასეთი ტიპის სამოსი ჰქონდა მხედველობაში გ.ვამბერნს, როცა მიუთითებდა ფართო, მრავალნაკეციანი ტანსაცმლის უპირატესობაზე ევროპულ სამოსთან შედარებით. იგი განსხვავებდა ერთმანეთისაგან ტანსაცმლის დასავლურ და აღმოსავლურ თარგს და დიდ განსხვავებას ხედავდა მათში. მისი აზრით მჭიდროდ შემოტმასნილი ტანსაცმელი აღმოსავლეთში მიუღებლად ითვლებოდა.[22] ჩვენ ვერაფერს ვიტყვით აღნიშნული კაბის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ არსებული მცირე შესადარებელი მასალა აღმოსავლური სამყაროს ტანსაცმლის შესახებ სავარაუდებელს ხდის, რომ გარკვეულ პერიოდში აჭარის მოსახლეობის ნაწილშიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული ანატოლიელი ქალის სამოსის მსგავსი ტანსაცმელი, რომელიც თანაარსებობდა ზუბუნ-ფარაგის გვერდით.

ფორკა კაბა. დატეხილი კაბა მოძველების შემდეგ შინასახმარ კაბად იქცეოდა. თანდათან შეიცვალ და გამარტივდა დატეხილი კაბის თარგი. გაქრა წინა, ჩახსნილი ადგილი, რამაც გამოიწვია სიახლე შესაბნევებში. შემცირდა შესაბნევი ღილების რაოდენობა, რადგან კაბა ახლა ბოლომდე კი არ იყო გახსნილი, არამედ მკერდს ზემოთ. დატეხილი კაბიდან ფორკა კაბა-

[22] Вамбери Г. Очерки жизни и нравов Востока. СПБ, 1877, с. 55.

ზე გარდამავალი ვარიანტიც გვხვდება. ასეთი გარდამავალი ტიპის ფორკას უნდა წარმოადგენდეს ხულოს რაიონის სოფ. დეკანაშვილებში მიკვლეული ნიმუში. რომელიც შეკერილია იასამნისფერი ყანაოზის ქსოვილისაგან. კაბა შედგენილია – ზედატანის, ქვედატანის და სახელოების ცალკე ნაწილებისაგან. ფორკა კაბის ზომებია: მთლიანი სიგრძე – 121 სმ, ზედატანის სიგრძე – 41 სმ, ქვედატანის სიგრძე – 61 სმ, სახელოს სიგრძე – 39 სმ, სახელოს სიფართე მხართან – 27 სმ, სამაჯესთან – 10 სმ.

ფორკას სახელწოდებით ცნობილი კაბის სხვა ვარიანტიც იქნა მიკვლეული ხულოს რაიონის სოფ. ყინჩაურში. მას განსაკუთრებული თარგი აქვს. ასეთ კაბას "ბედებიან"[23] ანუ მკერდზე გადაჭერილ კაბასაც უწოდებენ. ბედებიანი კაბა შედგება წინა და უკანა ბედენის, საკალთესა და სახელოსაგან. ამ ნაწილებს ცალ-ცალკე კერავდნენ და შემდეგ ერთმანეთს უერთებდნენ. ფორკას წინა სახეობისაგან ბედენიანი კაბა განსხვავდება გულისპირის შემკობის წესითაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ გულისპირზე ჩადგმულია საკერავ მანქანაზე წვრილად ნაკერი მართკუთხედის ფორმის ორმაგი ქსოვილი. კაბას აქვს დაბალი საყელო, რომელიც მარცხენა მხარეს იბნევა.

ფორკა კაბის შესახებ ძუნწი, მაგრამ საყურადღებო ცნობები დაცულია "შინამრეწველობის მასალებში". აქ ფორკა კაბის ფოტოსურათთან ერთად მოცემულია სამოსის ამ ტიპის მოკლე აღწერილობა, დამზადების ტექნიკა და ხმარების წესი.[24] ეს ცნობები ძირითადად იდენტურია ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალისა.

ლიტერატურული მონაცემები ფორკა კაბის მოხმარების შესახებ თითქმის არ გვაქვს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ივ.ჯავახიშვილის მოკლე განმარტებას, რომელიც ძირითადად

---

[23] იგივე მნიშვნელობით გვხვდება ეს ტერმინი იმერეთშიც.

[24] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ.III, ნაწ.I, გვ. 258.

შემოიფარგლება იმის აღნიშვნით, რომ აჭარაში ფორკა ქალის ტანისამოსს ეწოდება.[25]

დასახელებული სამოსის შედარება საქართველოს სხვა კუთხისა და საქართველოს გარეთ არსებულ ამავე რიგის მასალასთან ცხადყოფს, რომ ფორკა კაბის თარგი მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც საქართველოს სხვა კუთხეების, ისე სხვა ქვეყნის სამოსისაგან. საქართველოს სახვადასხვა კუთხის სამოსთან სიახლოვე შეინიშნება კაბის მოხმარების ფორმებში, გამოჭრა-შეკერვის წესში. აქვე აღვნიშნავთ, რომ აღნიშნული სამოსის მსგავსი მრავალნაკეციანი არშიით შემკული ტანსაცმელი აცვიათ ნ.ფლიტნერის წიგნში გამოსახულ ქანდაკებებს.[26]

წელქვედა კაბა. მთლიანი კაბების გარდა აჭარელი ქალი წელქვედა კაბასაც ატარებდა. წელქვედა კაბის თარგი იგივეა, რაც დატეხილი კაბის ქვედატანისა. მასზე 7 მ. ქსოვილი იხარჯებოდა. უპირატესობას ანიჭებდნენ ხასხასა ფერებს – წითელს, მწვანეს, ყვითელს.

ქვედა კაბას უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა, ვიდრე მთლიან კაბას. წელქვედა კაბის ნიმუში ხულოსა და შუახევის რაიონების მრავალ სოფელში იქნა ფიქსირებული. მაგრამ ამჯერად ჩვენ მოგვაქვს ხულოს რაიონის სოფ. ყინჩაურში მიკვლეული კაბის აღწერილობა. კაბა ნაოჭებიანია და წითელი ყანაოზის ქსოვილისაგნაა დამზადებული. შედგება ექვსი სწორი ნაჭრისაგან. ასეთ კაბას "დატეხილ კაბასაც" ეძახიან. იგი ბოლმდე იყო გახსნილი. კალთას შემოყვებოდა შემკული არშია. არშიის ქვემოთ კაბის ზედაწელის მაგივრობას (წელქვედა კაბის მოხმარების შემთხვევაში) ასრულებდა იჩლუღი, რომელზეც საუბარი გვექნება მომდევნო თავში.

ნაოჭიანი ფართო ქვედატანი გავრცელებული იყო საქართველოს სხვა კუთხის მოსახლეობაშიც. სამცხე-ჯავახეთში ასეთ სამოსს საკალთეს უწოდებდნენ და ყველგან ერთნაირი

---

[25] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[26] Флитнер Н. Культура и искусство Двуречья и соседних стран. М-Л., 1958, с. 101, 104, 118, 119, 153.

ფორმისა იკერებოდა. იგი გავრცელებული იყო, როგორც მართმადიდებლურ ისე მაჰმადიან და კათოლიკე ქართველებში. კაბის მოხმარებისას შეიმჩნეოდა ასაკობრივი განსხვავებაც. ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი ქვედატანი ვიწრო, ხოლო რძლებისა და მოხუცებისათვის განკუთვნილი ქვედატანი კი მრავალნაკეცანი იყო.[27] სამცხე-ჯავახური საკალთისაგან განსხვავებით აჭარულ წელქვედა კაბის თარგში ასაკობრივი სხვაობა არ შეიმჩნეოდა. ეს სხვაობა მხოლოდ ქსოვილის ფერში ვლინდებოდა.

როგორც საველე და შესადარებელი მასალის ანალიზი გვიჩვენებს წელქვედა კაბები სხვადასხვა ვარიაციებით არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიის ზოგ სხვა კუთხეებშიც ყოფილა გავრცელებული. აჭარული წელქვედა კაბა ამ კავკასიური ტანსაცმლის ერთ-ერთ ლოკალურ ვარიანტს უნდა უნდა წარმოადგენდეს.

აჭარელი ქალის ჩაცმულობა ძირითადად ორი სახისაა: საგარეო ანუ სანამუსო და შინ სახმარი, საცვეთი ანუ ბარული. სანამუსო ტანსაცმელი მასალის ხარისხით, ფერითა და შემკულობით განსხვავებული იყო საცვეთისაგან, მაგრამ თარგი ორივესათვის ერთნაირი იყო. საერთოდ საცვეთ კაბად იქცეოდა ხმარებიდან გამოსული მოძველებული სანამუსო ტანსაცმელი. სანამუსო კაბას იყენებდნენ სადედოფლოდ, საქორწილოდ, სხვა სახის დღეობა-დღესასწაულებში. მთხრობელთა მინიშნებით, ტერმინი "სანამუსო" დაკავშირებულია იმასთან, რომ თავმომწონე ნამუსიანი კაცი თუ ქალი მოძველებული ტანსაცმლით სახლიდან არ გავიდოდა.

კაბების თარგზე გავლენას ახდენდა ასაკობრივი თავისებურება. ახალგაზრდა ქალები შედარებით მხიარულ, ნათელ ფერებს (წითელი, ყვითელი, მწვანე, ალისფერი) ეტანებოდნენ, ხანშიშესული მანდილოსნები კი მუქ ფერებს არჩევდნენ. განსხვავება იყო კაბის შემკულობაშიც. ცოცხალი ფერებითა და

---

[27] ლ.ბარათაშვილი, მასალები მე-19 საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან, გვ. 139.

უხვი ორნამენტებით დაქარგული კაბა მრავალი ახალგაზრდა ქალის ნატვრის საგანი იყო, ხოლო მოხუცები გაურბოდნენ კაბის შემკობას და სადა ტანსაცმლით იმოსებოდნენ.

გათხოვილი და გაუთხოვარი ქალის ტანსაცმელი სრულ იგივებას ამჟღავნებდა ერთმანეთთან თარგის მიხედვით. ასეთივე წესი დამახასიათებელია სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ქალთა ჩაცმულობაშიც. სხვაობა გამოიხატებოდა მხოლოდ თავსაბურავის შემადგენლობასა და სამკაულების მრავალრიცხოვნებაში, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

შვილიანი და უშვილო ქალის ტანსაცმლის მსგავსება-განსხვავების შესახებ ეთნოგრაფიული მასალები ვერ მოვიპოვეთ.

მაღალი წოდების ქალის ჩაცმულობა განსხვავდებოდა მოსახლეობის უბრალო ფენის ჩაცმულობისაგან უმთავრესად ტანსაცმლის ამა თუ იმ ელემენტის მდიდრული შემკულობით, ქსოვილის ხარისხითა და ძვირფასი სამკაულებით. თარგი ყველა ტანსაცმლისათვის ძირითადად ერთნაირი იყო.

ტანსაცმლის თარგის ერთგვარობა, განურჩევლად წოდებისა, შეინიშნება საქართველოს სხვა კუთხეების, კერძოდ, ქართლისა და კახეთის მაგალითზე.[28] ლ.ბოჭორიშვილის დაკვირვებითაც გლეხი ქალის ჩაცმულობა თავადაზნაურთა წრიდან გამოსული ქალის ჩაცმულობისაგან არაფრით არ გამოირჩეოდა. განსხვავება მხოლოდ კოსტუმის ელემენტთა ღირებულების მეტნაკლებობაში გამოიხატებოდა. ზოგჯერ ზღვარი ამ ხაზითაც იშლებოდა.[29]

მსგავსი დამთხვევები გვხვდება არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიის სხვა ხალხებშიც. მაგ., აზერბაიჯანელი ქალის ტანსაცმელში მდიდრებისა და ღარიბების ჩაცმუ-

---

[28] ნ.გვათუა, დასახ. ნაშრომი. გვ. 19.

[29] ლ.ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, "ანალები", ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ.1, 1947, გვ. 199.

ლობა ფორმით ერთნაირი ყოფილა.[30] ასეთივე მდგომარეობა დადასტურებულია სომხეთშიც.[31]

საქორწილო ცერემონიალის დროს სახმარი კაბა ისე როგორც სამოსი, ხშირად სადღესასწაულო ტანსაცმელადაც გამოიყენებოდა. საქორწილო კაბა ჩვეულებრივი სანამუსო ტანსაცმლის თარგზე იყო გამოჭრილი. მაგრამ შედარებით მდიდრული შემკულობითა და ქვედატანის ნაკეცების სიუხვით გამოირჩეოდა. საქორწინო კაბის ფერის შერჩევისას უპირატესობა ეძლეოდა წითელ ფერს, მსგავსად ხევსურეთის საქორწინო ფერისა. საკაბედ წითელი ფერის ქსოვილის გამოყენება მაგიური მნიშვნელობითაც აიხსნება.[32] თუმცა იგი გამორიცხავდა სხვა ფერების მოხმარებასაც. საპატარძლოს ჩვეულებრივ საქმრო უგზავნიდა ბოხჩას, რომელიც სხვა ნივთებთან ერთად შეიცავდა კაბას ან საკაბე ქსოვილს.[33] აქვე ითვალისწინებდნენ კაბის მოსართავ სირმებასაც, რომელიც ქსოვილის ფერს უნდა შეხამებოდა. სადედოფლო კაბა გულისპირის შემკულობითაც გამოირჩეოდა და იგი პერანგის გულისპირთან იყო შეხამებული. თუ ქალს მდიდრულად მორთული პერანგი ეცვა, მაშინ კაბის გულისპირი ზედმეტად მორთვას აღარ საჭიროებდა. პერანგის მოქარგული საყელო საერთო ჯამში ავსებდა ტანსაცმლის მთლიან შემკულობას.

უძველესი დროიდან სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა სამგლოვიარო ფერის ტანსაცმელს იცვამდა. ჩინეთში თეთრი ფერი იყო მიღებული, მონღოლეთში – ყვითელი, სპარეთში – ლურჯი და ა.შ.[34]

ძველ საქართველოში სამგლოვიარო ტანსაცმლისათვის გამოყენებული იყო შავი ფერი. თუმცა ივ.ჯავახიშვილი თეთრი

---

[30] Азербайджанцы, Народы Кавказа, 11. с. 121.

[31] Армяне, Народы Кавказа, 11, с. 514.

[32] ც.ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი, გვ. 178.

[33] ბოხჩა - ქალის დასანიშნად განკუთვნილ ნივთთა ერთობას წარმოადგენს.

[34] ივ.ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, გვ. 77.

ფერის გამოყენების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა. ასე მაგალითად, ცოლის ან ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილი მეუღლე დასაფლავების დღეს საქორწილო თეთრ ტანსაცმელს იცვამდა, შავი ტანსაცმლით კი შეიმოსებოდა დასაფლავების შემდეგ.[35]

ძველ საქართველოში სამგლოვიარო ტანსაცმლის რამდენიმე სახელი მოგვეპოვება: სამოსელი საგლოველი, სამოსელი ქურიობისა, ძაძა და სხვა.[36]

აჭარაში ამ მხრივ განსხვავებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. აქ სამგლოვიარო სამოსის აღსანიშნავი არც სპეციალური ტერმინია შემორჩენილი და არც საგანგებო სამგლოვიარო ტანსაცმლის არსებობის ფაქტი დასტურდება.

აჭარელი ქალის სამგლოვიარო ტანსაცმელს იგივე ყოველდღიურად სახმარი სამოსი შეადგენდა, განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელი წესისაგან.

გლოვის დროს ერიდებოდნენ მხოლოდ ნათელი ფერებისა და დეკორატიულად შემკული სამოსის გამოყენებას. მგლოვიარე ქალი თავის სანამუსო კაბას ყოველგვარ სამკაულს ხსნიდა და ზოგჯერ მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ატარებდა მას.

აჭარული ეთნოგრაფიული მასალა ამ მხრივ არსებით განსხვავებას ავლენს საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. ეს იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში წესად იყო სამგლოვიარო ჩამუქებული ტანსაცმლის ტარება ან გლოვის ნიშნად თმების მოჭრის წესი. აჭარაში კი, როგორც ითქვა დაკანონებული სამგლოვიარო ფერი არ არსებობდა და არც თმების მოკვეცის ტრადიცია შეინიშნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამგლოვიარო სამოსელი აჭარაში არ არის დამოწმებული და აქედან, არც მისი მოხმარების რაიმე განსაკუთრებული წესები არსებობდა, მაინც ვხვდებით მიცვა-

---

[35] ივ.ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, გვ. 77.

[36] იქვე, გვ. 77-78.

ლებულის სამოსელთან დაკავშირებული ზოგიერთი ძველი წესის შესრულების შემთხვევებს. მაგ., არსებობდა მიცვალებულის ტანსაცმლის გაჩუქების წესი. გარდაცვლილი მამაკაცის ტანსაცმლიდან ნაწილი ახლო ნათესავების, ბიძებისა და ძმიშვილებისათვის უნდა მიეცათ. ქალის ტანსაცმლის ნაწილი კი მის შვილებსა და დებს რჩებოდა. ახალგაზრდა გათხოვილი ქალის ტანსაცმელი ქმრის ოჯახში რჩებოდა, დედის სიკვდილის შემთხვევაში ტანსაცმელი ქალიშვილებს ეკუთვნოდა და ა.შ. ქალიშვილის ნებართვით, ხშირად, ტანსაცმლის ქვრივობლებზე მოწყალების სახით გაცემაც იცოდნენ. წესად არ იყო მიღებული გარდაცვლილი ქალის საცვლების გაჩუქება. მას უმეტესად წვავდნენ. გამონაკლისის სახით საცვლების გაცემა შეიძლებოდა გაუთხოვარ ან ქვრივ ქალზე. საერთოდ, ერიდებოდნენ მიცვალებულის ტანსაცმლის შენახვას. ღარიბ-ღატაკთა დასაჩუქრებას კი სამადლო საქმედ მიიჩნევდნენ.

მიცვალებულის სამოსის გასაჩუქრების ეს წესი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (თუშეთი, ფშავი) არსებობდა, მცირეოდენი განსხვავება გამოიხატებოდა იმაში, რომ თუ აჭარაში მიცვალებულის ოჯახი გარდაცვლილის მოსაგონებლად მის ტანსაცმელს არ იტოვებდა, ხევსურეთში კი პირიქით ხდებოდა, ერთ ხელ ტანსაცმელს თუ არა, ტანსაცმლის რომელიმე ელემენტს მაინც ინახავდნენ სამახსოვროდ.[37]

ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურული მონაცემების ანალიზის საფუძველზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აჭარელი ქალის ჩაცმულობაში შინამრეწველური წესით დამზადებული ქსოვილების გარდა, ფართო გამოყენება ჰქონდა ფაბრიკულ ქსოვილსაც, რამაც თავისი კვალიც დააჩნია ქალის კაბის თარგს. ტანსაცმლის ჭრა-კერვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულების (ჭრა-კერვისათვის ვარგისი დღეების გათვალისწინება) შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი წარმოდგენდნენ ქართველი ხალხის უძველესი რელიგიური აზროვნე-

---

[37] ც.ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი..., გვ. 198.

ბის განუყრელ ნაწილს და შეიცავენ ასტრალური კულტის ანარეკლს.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სამი სახეობის კაბის არსებობა დადასტურდა: ზუბუნ-ფარაგა, დატეხილი კაბა და ფორკა კაბა.

ქალის ჩაცმულობის რთულ და მრავალნაწილიან კომპლექტში წამყვანი ადგილი ეკავა ზუბუნ-ფარაგას, რომელიც ზოგჯერ გრძელი ზუბუნის სახელწოდებითაც იხსენიებოდა. მას პარალელი ეძებნება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. თარგის მიხედვით ზუბუნ-ფარაგა ახლოს დგას ქართულ ახალუხთან.

დატეხილი კაბა ზედა ტანისა და ქვედა ტანის ნაწილების შეერთებით იყო მიღებული და ხასიათდებოდა მრავალნაკეციანობით, ნაოჭებით. ამ სახის კაბას აჭარელი ქალები XX ს. 20-იან წლებამდე იყენებდნენ.

ფორკა კაბის შედარება წინა ორ სახეობასთან ნათელყოფს, რომ აჭარელი ქალის ჩაცმულობამ ამ დროთა ვითარებაში ცვლილება განიცადა, თანდათან დაიხვეწა, გამარტივდა და თარგით დაუახლოვდა ევროპულს. საერთოდ კი აჭარელი ქალის თანამედროვე ტანსაცმელი მისი ადრინდელი შემადგენელი ელემენტების გამარტივების შედეგად ჩამოყალიბდა.

აჭარული კაბის აუცილებელმა აქსესუარმა – მრავალნაკეციანმა ქვედატანმა, გულისპირისა და სახელოების რთულმა თარგმა თანდათან დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და შესაბამისად სახე უცვალა ჩაცმულობის საერთო სტილს.

ქალის სამოსი მოხმარება-დანიშნულების მიხედვით იყო: შინ სახმარი ანუ საცვეთი და საგარეო ანუ სანამუსო. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ ქსოვილის ხარისხით, ფერითა და შემკულობით. თუმცა ორივე ერთნაირ თარგზე იყო გამოჭრილი.

აჭარელი ქალი საქორწილოდ წითელი ფერის კაბას იცვამდა. ეს არ გამორიცხავდა სხვა ფერის კაბის მოხმარებას. სა-

ქართველოს სხვა კუთხეებში კი საქორწილო კაბა თეთრი ფერის იყო.

ამგვარად, XX ს. დასაწყისამდე აჭარელი ქალის ძირითად ტანსაცმელს ქართული ახალუხის ტიპის კაბა წარმოადგენდა. გარედან შემოსულმა დატეხილმა კაბამ იგი ხმარებიდან განდევნა. აჭარელი ქალის ტანსაცმლის განვითარების უკანასკნელ საფეხურზე ევროპული ტიპის კაბამ დაიჭირა გაბატონებული ადგილი.

2. *გარე სამოსელი.* აჭარელი ქალის ზედა ტანის ჩაცმულობაში ერთ-ერთი წამყვანი იყო სიხმა, რომელიც განსაკუთრებული გემოვნებითა და სიფაქიზით, ხელსაქმის შესრულების მაღალი დონით გამოირჩეოდა. იგი ფაბრიკული ქსოვილისაგან (ხავერდი, სატინა, მაუდი, ფარჩა) მზადდებოდა. მის ფერს არჩევდნენ გემოვნებისა და ასაკის მიხედვით. ახალგაზრდები წითელს, მწვანეს და შავ სიხმას ხმარობდნენ, ხოლო ხანში შესული მანდილოსნები კი ხასხასა ნათელ ფერებს ერიდებოდნენ.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აჭარაში სიხმის ორი სახეობა დადსტურდა: გულამოჭრილი და გულდახურული. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს სიხმის პირველ სახეობას გული ღრმად ამოჭრილი ჰქონდა. მისი მორთვა-შემკობისათვის იყენებდნენ სხვადასხვა ფერის ძაფსა და ყაითანს. მეორე სახის სიხმა ნაკერებით იყო გაფორმებული და მას ნაკერიანი სიხმაც ეწოდებოდა.

ორივე სახის სიხმას თავისებური სილამაზე ჰქონდა. თუ გულამოღებულ სიხმაზე ფერადი ძაფებისა და ყაითნების მეტი რაოდენობა იხარჯებოდა, სამაგიეროდ ნაკერიან სიხმას ქსოვილის მეტი რაოდენობა სჭირდებოდა.

ნაკერიანი სიხმის ტიპიურ ნიმუშად მივიჩნიეთ შუახევის რაიონის სოფ. ჭვანაში მიკვლეული მწვანე ხავერდის სიხმა, რომელიც კერვის ტექნიკით რთული შედგენილობისაა.

კერვის სირთულე განსაკუთრებით შეინიშნება სიხმის წინა კალთაზე. მკერდს ქვემოთ ჩადგმულია წვრილი ნაკერებით

შედგენილი საკალთე, რომელიც მუქი ვარდისფერი აბრეშუმის ყაითნითაა შემკული. მკერდს ქვემოთ მოქცეულ წვრილ ნაკერებს კვეთს აგურისფერი აბრეშუმის ქსოვილის 1,5 სმ. სიგანის ზოლი, რომლის ზედაპირზე იისფერი აბრეშუმის ძაფით გამოყვანილია გრეხილი, ანუ როგორც აქ უწოდებენ, ხუწუწუნა ორნამენტი. კალთის აღნიშნული ნაწილი შემკულია ყვითელი და შავი აბრეშუმის მინაოჭებული ყაითნით. სიხმის გულისპირსაც შემკობის თავისებური წესი გააჩნდა. აქაც, სიხმას გულისპირზე დაფანტული აქვს 2 სმ. სიგანის იისფერი ქსოვილის ზოლი. რომელსაც თავის მხრივ გასდევს ყვითელი ყაითნის გრეხილი. ამ ზოლსა და ხშირ ნაკერებს შორის არსებული სივრცე მწიფე შინდისფერი აბრეშუმის მინაოჭებული ყაითნითაა შევსებული. გულისპირის ნაპირები შიგა მხარეს გადაკეცილია და ზედაპირზე საკერავ მანქანაზე ნაკერი ტეხილი ხაზები და ნაძვის ტოტის გამოსახულებანი გაყვება.

სიხმის სახელოს ფორმაც ჩვეულებრივისაგან განსხვავებული იყო. იგი გამოჭრილი იყო ერთი მთლიანი განისაგან ისე, რომ თავსა და ბოლოში თანატოლი ყოფილიყო. საერთოდ მოდაში იყო ფართე სახელოები.

საინტერესოა სახელოთა შემკობის ტექნიკაც. სახელოს მხრიდან მაჯამდე ყვითელი ყაითნით შემკული 1,5 სმ. სიგანის შავი აბრეშუმის ქსოვილის ზოლი გამოუყენებიათ. ამ ზოლს თავის მხრივ გასდევს ყვითელი ვიწრო ყაითანი. მხარსა და საყელოს აერთებს შინდისფერი ყაათანი ხელით ნაკერი იისფერი აბრეშუმის გრეხილით. მათ შორის დარჩენილი თავისუფალი ადგილი შევსებულია საკერავი მანქანით ნაკერი რომბებითა და სამკუთხედებით.

სიხმის სატანე 8 მ. თეთრი ქსოვილითაა დასარჩულებული. სატანე მჭიდროდ იყო შემორგებული ქალის ტანზე, რაც კარგად წარმოაჩენდა სხეულის ნატიფ აღნაგობას. სიხმის შესაბნევი მკერდს ქვემოთ იწყებოდა და წელამდე გრძელდებო-

და. ღილებად კოპჭებს იყენებდნენ. მას ჩაბრასტიც[38] ეწოდება. ჩაბრასტი იმდენად გავრცელებული შესაბნევი ყოფილა, რომ ხალხში ასეთი სახუმარო ლექსიც კი შემორჩენილა: "ჩაბრასტი, რანწკი, რანწკი, გოგოებო, დამწვი, დამწვი" ჩაბრასტი აჭარაში ღილებიანი ჟილეტის აღმნიშვნელადაც დამკვიდრდა. როგორც ჩანს, ეს ტერმინი საქართველოს სხვა კუთხეებშიც იხმარებოდა. მხედველობაშია დ.ბაქრაძის ცნობა, რომლის მიხედვით ჩაბრასტში შემოსილნი გურიის ეკლესიათა ფრესკებზეც ყოფილან წარმოდგენილნი.[39]

ახალგაზრდა ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიხმის შემადგენელი ნაწილების შემკობაში, რაც ნაირნაირი სახეებითა და დახვეწილი ქარგულობით ხასიათდებოდა. ეს კარგად ჩანს სოფ. ღორჯომში ჩაწერილი ერთ-ერთი ხალხური ლექსიდან: "მე რომ სიხმა შევიკერე, გული, პირი, ალსიტანი, მთელმა სულერმა მიყურეთ, არის ზოპრუას დესტანი" შესამკობ მასალად იყენებდნენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ყაითნებს, ფერად ძაფებს და ღილებს. ფერთა შეხამებსაც ყურადღება ექცეოდა. ერთმანეთთან იყო შეხამებული წითელი და შავი, ყვითელი და მწვანე, შავი და მწვანე. სახეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა სიხმაზე გამოყვანილი ორნამენტი, აქ ვხვდებით, როგორც გეომეტრიულ და მცენარეულ, ასევე ზოომორფულ მოტიკებს. სიხმაზე გამოყენებული მცენარეული ორნამენტების ხალხური სახელწოდებებია: სამყურა, ნაძვიტოტა, ზვინა, კუკულები, ვარდი და ა.შ. აქვეა სამეურნეო იარაღების სტილიზებული გამოსახულებანი, კერძოდ ხერხიკბილა, ნამგალი და კავები. გეომეტრიული ორნამენტიდან გვხვდება სამკუთხედები, ოთხკუთხედები, ტეხილი ხაზები. მნიშვნელოვანია მზის

---

[38] ჩაბრასტი სპარსული წარმოშობის სიტყვაა. იგი შეითვისა თურქულმა ენამაც (ნ.გურგენიძე, დასახ.ნაშრომი, გვ.54)

[39] Бакрадзе Д., დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

სიმბოლოსა და ჯვრის შენიღბული გამოსახულებანი.[40] ეს სახეები ისე არიან ურთიერთშერწყმულნი და ზომიერად განფენილნი, რომ საბოლოო ჯამში სიხმას მდიდრულ ელფერს აძლევდა.

ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ გულამოჭრილი სიხმა უმეტესად აჭარის ბარში იყო გავრცელებული, მთიან ზოლში კი გულდახურული. მას უმეტესად ხანშიშესული ქალები ხმარობდნენ. მსგავსი სამოსელი საქართველოს სხვა კუთხეებში არ დასტურდება. მსგავსება ვლინდება მხოლოდ ანატოლიელი გლეხი ქალის სამოსთან, რომელსაც ჩეპკენი ეწოდება.[41] მსგავსება უმეტესად ვლინდება თარგში. აჭარული სიხმა და ანატოლიელი ქალის ჩეპკენი თითქმის ერთნაირ თარგზეა გამოჭრილი. ორთავე სახეობა წელამდე მწვდომია და წინ გახსნილი. სრული დამთხვევა გვაქვს სახელოს გამოყვანის წესშიც, რაც გამოიხატება განიერი სახელოს დანაოჭებაში მხართან და სამაჯესთან. თუმცა მათ შორის განსხვავებაც შეინიშნება. ჩეპკენი გრძელია სიხმასთან შედარებით. მისი კალთები ფართოა და მინაოჭებული სახით თავისუფლად ეშვება ქალის წელზე. სიხმა კი ტანზე მჭიდროდ მორგებულ ჩასაცმელს წარმოადგენდა. აღნიშნული თავისებურების გამო სიხმა ქართული და საერთო კავკასიური ჩაცმულობის განსაკუთრებულ სახეობას ქმნის.

ინტერესს იწვევს აჭარული სიხმას წარმომავლობის საკითხი. შესადარებელი მასალის უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს ამ საკითხის უფრო ფართოდ გაშუქებისათვის. მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ამ ჩასაცმელში ნათლად იგრძნობა ქართული ეროვნული ჩაცმულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები. პირველ რიგში კი წელზე მჭიდროდ მორგების წესი. სიხმის მსგავსება ქართველი ქალის ჩაცმულობასთან გან-

---

[40] ი.სამსონია, აჭარელი ქალის გარე სამოსელი გუბაზეულის ხეობიდან (ჩოხატაურის რაიონი), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, V, თბ., 1977, გვ. 77

[41] Народы Турции. Народы Передней Азии. М., 1957, с. 350.

საკუთრებული სიცხადით მის ქარგულობაში მოჩანს. როგორც ცნობილია, ძველად საქართველოში განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეპყრობოდნენ ტანსაცმლის საგულე ნაწილის ეროვნული ორნამენტების შემკობას. სიხმა მოიცავს ორნამენტთა შემოქმედებითი ნაირგვარობის უმდიდრეს მარაგს. აღსანიშნავია, რომ სიხმის ერთ-ერთ სახეობაზე მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტის გვერდით გვხვდება ირიბი ჯვრის გამოსახულებაც. აჭარელმა ქალებმა სათუთად შემოინახეს ჯვრით გამოსახული ჩასაცმელი და ჩვენს დრომდე მოიტანეს იგი. ჯვარი მიღებულია წყვილი პარალელური ხაზების ირიბად გადაკვეთის შედეგად, რომელთა შორის დარჩენილი სივრცე რომბის გამოსახუდებისაა.

ჯვრის შენიღბულ ფორმებს ხშირად ვხვდებით როგორც აჭარული ტანსაცმლის შემადგენელელ ელემენტებზე (სიხმა, წინდა, ხელთათმანი, თორი), ასევე მატერიალური კულტურის ძეგლებზეც.[42] ჯვრის გამოსახულება აჭარელი ქალის ჩაცმულობაში წარმოადგენდა საერთოდ აჭარული ორნამენტის ერთ-ერთ თავისებურებას, რომელიც მიუთითებს ქართული ტრადიციული ორნამენტის ელემენტის შემონახულობაზე აჭარაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი გვიანდელი მნიშვნელობით ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული და ამდენად ისლამს უპირისპირდება.[43]

ჯვრის გამოსახვა ქართულ ტანსაცმელზე საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება. მაგ., ჯვრის გამოსახულებით უხვადაა შემკული ხევსურული ტანსაცმელი. ვ.ბარდაველიძისა და გ.ჩიტაიას აზრით ჯვარი მაგიურ-აპოთროპული მნიშვნელო-

---

[42] ჯ.ჯარშალომიძე, ორნამენტი ხეზე, ბათ., 1979, გვ. 29.

[43] ალ.რობაქიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობის მოკლე ანგარიში (1958-1969), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, I, თბ, 1978, გვ. 12.

ბითაა გამოყენებული და დაკავშირებული ჩანს ხევსურთა წარმართულ სარწმუნოებასთან.[44]

ამგვარად, სიხმა თავისი ძირითადი თარგით საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებთა ყოფაში არ დასტურდება. მიუხედავად ამისა, მისი გულისპირის მორთვის წესი, მასზე გამოსახული ჯვარი, გარკვეულ მსგავსებას ავლენს ქართული სამოსელის შემკულობასთან. სხვა ნიშნებითაც იგი ემიჯნება ზემოთ აღნიშნული ანატოლიელი ქალის მსგავს ჩაცმულობას.

ჩ ა თ ა კ ა //ჩ ა ქ ი თ ა.[45] ეს ჩასაცმელი სიხმასთან შედარებით მოგვიანებით დამკვიდრდა მაგრამ ისე მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რომ ხმარებიდან თითქმის განდევნა სიხმა. იგი საპატარძლო, ახალგაზრდა გათხოვილი და გაუთხოვარი ქალების ჩაცმულობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ელემენტი იყო, რომელიც თარგით ახლოს დგას ხირხასთან (ხირხაზე ქვემოთ გვექნება საუბარი). სიხმისაგან განსხვავებით ჩათაკა თეძომდე წვდებოდა ქალს მისი მოქარგული ბოლოებით. ჩათაკის დასამზადებლად გამოიყენებოდა ხავერდი, ფარჩა, ატლასი. უპირატესობა ენიჭებოდა მწვანე, წითელი და ყვითელი ფერის ქსოვილებს.

ჩათაკის ერთი ნიმუში მიკვლელი იქნა სოფ. ჭვანაში (შუახევის რ.). იგი შედგება წინა ორი კალთისა და უკანა ერთი განისაგან. უკანა განი ორ ნაწილიანია და ზურგის შუაში ნაკერით უკავშირდება ერთმანეთს. მისთვის დამახასიათებელია პატარა და მაღალი საყელო, რომლის ტარება ხანდახან გადმოკეცილი სახითაც შეიძლებოდა.

ჩათაკისა და სიხმის სახელოს თარგი ერთნაირია. გულისპირზე მარცხენა მხარეს აქვს პატარა ჯიბე. სარჩულად კი გამოყენებულია უბრალო სახიანი ჩითი. გულისპირი შვიდი კოპჭით იკვრებოდა. შეკვრის თავისებური წესი იმაში მდგომარე-

---

[44] ვ.ბარდაველიძე, გ.ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I (ხევსურული), თბ., 1939, გვ. 2.

[45] ჩათაკა თურქული სიტყვაა და ქურთუკს ნიშნავს (Магазаник Д., დასახელებული ნაშრომი).

ობდა, რომ შეკვრის შემდეგაც კაბის შემკული გულისპირი გამოჩენილიყო.

ჩათაკას კერვა ყველას არ შეეძლო, ეს მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ქალის დახელოვნებაზე და თვით საკერავ მასალაზე. ქალი მკერავები ხშირად იღებდნენ ახლობლებისაგან დაკვეთებს, მაგრამ ქარგისათვის საჭირო დრო მათ არ ჰქონდათ და დამკვეთი უმეტესად თვითონ ასრულებდა მას. მისი მსგავსი სამოსი საქართველოს სხვა კუთხეებში არ მოწმდება.

ვერაფერს ვიტყვით ჩათაკას წარმოშობის შესახებ. შეიძლება მხოლოდ სახელწოდება იყოს თურქული, მაგრამ სავარაუდოდ მისი გაჩენა ადგილობრივ ნიადაგზეც შეიძლება მომხდარიყო.

ს ა ლ ტ ა.[46] კაბის ზემოდან სახმარ სათბილო სამოსს წარმოდგენდა, მას მაღალი წოდების ქალები ატარებდნენ, თუმცა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ძველად იგი საყოველთაო ჩასაცმელს წარმოადგენდა. ჩვენს მიერ შესწავლილი სალტა შეკერილია შინდისფერი მაუდის სამი ნაჭრისაგან. თარგით განსხვავებულია სიხმის და ჩათაკისაგან. სარჩულად სადა ჩითი აქვს დადებული. მისთვის დამახასიათებელია გახსნილი გულისპირი შესაბნევების გარეშე. იგი ქარგულობითაც გამორჩეული სამოსია – მოქარგულია მისი წინა და უკანა კალთები, სახელოები. მის ორნამენტაციაში სჭარბობს გეომეტრიული და მცენარეული მოტივები. ორნამენტის მასალად გამოიყენებოდა ვერცხლისმკედის გრეხილი, რომელიც ნემსით მეტად ფაქიზადაა დამაგრებული ქსოვილზე. საყელოს, მხარსა და კალთებს აერთიანებს სპირალური ორნამენტი. ასეთივე სახის ორნამენტი გაყვება აგრეთვე სახელობეს. მკერდსა და კალთას შორის არსებულ სიცარეილეს ავსებს ვერცხლისმკედით გამოყვანილი ერთმანეთში ჩასმული 7 წრეხაზი. წრეები გარშემოწერილია ვერცხლიმკედის ცალმაგი გრეხილით. საერთო კომპოზიციაში, თვალის ერთი გადავლებით, ეს გეომეტრიული წრეე-

---

[46] სალტა – იტალიური სიტყვაა და ქურთუკს ნიშნავს (Магазаник Д., დასახელებული ნაშრომი).

ბი ვარდების გამოსახულებას იძლევიან. აქვეა მოთავსებული შედარებით პატარა ზომის სამყურა ყვავილის სტილიზებული გამოსახულება. საყელოს შემოყვება სპირალური ორნამენტი. კარგადაა ორნამენტირებული სალტას უკანა მხარეც. კალთის შუა ნაწილიდან ბოლომდე ზემოთაღწერილი წესით შედგენილი ერთმანეთში ჩასმული წრეები ისეა შეთანაწყობილი, რომ ქმნიან ტოლფერდა სამკუთხედს, რომლის წვერო ზემოთკენაა მოქცეული, ხოლო ფუძე გასდევს კალთის დაბოლოებას. სამკუთხედის წვეროში მოთავსებულია ელიფსისებური გამოსახულება.

აჭარელი ქალის ჩაცმულობის აღწერილი ელემენტი მნახველის ყურადღებას თავისი სილამაზითა და დახვეწილობით იქცევს. იგრძნობა, რომ ტანსაცმლის ამ ნიმუშს აჭარაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. თუმცა მისი მოხმარების შესახებ ჩვენ ეთნოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება.

სალტას მსგავსი სამოსი ამავე სახელწოდებით ცნობილია მხოლოდ ანატოლიაში, სადაც იგი სადღესასწაულო სამოსად ითვლება. ერთი ცნობით იგი "სალტო მარკოდ" სახელდებული ვენეციური წარმოშობის სამოსია, რომელსაც თავდაპირველად მეზღვაურები იცვამდნენ.[47]

სალტას ძველ საქართველოში მოხმარებულ სამოსთანაც ეძებნება პარალელი. მსგავსი დანიშნულების მოკლე სამოსი აცვიათ X ს. ფავნისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ფრესკაზე (ახალქალაქი) გამოსახულთ. ეს ფრესკის სამოსი გადაფენილსაყელოიანია. სამკუთხედად ღრმად ჩაჭრილი გულისპირით. მოკლე და განიერი სახელოებით.[48] ჩვენი დაკვირვებით ორივე სამოსი ერთმანეთს თარგითაც ემსგავსება. ასევე სრულია ორივე სამოსის ზედატანი ფართოდ გაშლილი სახელოთი.

მსგავსება X ს. ქართული კედლის მხატვრობასთან გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება აღნიშნული სამოსის მხოლოდ სა-

---

[47] Курылев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

[48] ნ.ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.32. სურ. 18-ა

ხელწოდება იყოს შემოსული, თვით სამოსი კი ადგილობრივი წარმოშობის იყოს.

ი ჩ ლ უ ლ ი.[49] კაბის ზემოდან სახმარ სამოსთან დაკავშირებით საინტერესო ჩანს ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული იჩლუღი (კოლ. 11-13), რომელიც შეკერილია წარსულში ძალიან გავრცელებული ფარჩის ქსოვილისაგან, რომელსაც დაყვება ყვითელი და ცისფერი ფართე ზოლები.

იჩლუღის თარგს შეადგენს წელამდე მწვდომი მთლიანი უკანგაუკერავი სატანე, უსაყელო, ჩახსნილი გულისპირითა და მიდგმული სახელოებით. სახელო მაჯიდან შეხსნილია 15 სმ. ნაკერია შავი ძაფით და შემკულია ოქრომკედით ნარევი გრეხილით. სახელო ფარავს ხელის მტევნის ზურგს. იგი შემკულია სირმის გრეხილით. იჩლუღის ზედატანი შეკერილია თეთრი ნარმის, ხოლო სახელოები წითელი ჩითის სარჩულზე. როგორც ცნობილია, აჭარელი ქალი წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვა სამოსს იცვამდა. აღწერილი საზაფხულო სამოსს წარმოადგენდა. ქსოვილის ხარისხისა და შემკულობის მიხედვით იჩლული შეძლებული ქალის ჩასაცმელი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს სხვა კუთხეებში იჩლუღი, როგორც ქალთა სამოსი არ მოწმდება. ლიტერატურის მონაცემებით მისი არსებობა დასტურდება ანატოლიაში და აქაც მას იცნობდნენ "იჩლიკის"// "იშლიკის" სახელწოდებით. ვ.კურილევი აღწერს, რომ იგი იკერებოდა სარჩულზე, გრძელი სახელოებითა და სამაჯეებით. სიგრძით ქამრამდე წვდებოდა. ავტორი იმოწმებს ე.იენერის ცნობას, რომ იჩლუღი არ საჭიროებდა შესაბნევებს და ბოლომდე გახსნილი იყო.[50]

ჩვენ შევეცადეთ აჭარული იჩლუღი შეგვეჯერებინა ვ.კურილევის მიერ მოტანილ მოკლე აღწერილობასთან, რამაც ბევ-

---

[49] იჩლული – თურქული სიტყვაა და შიგჩასაცმელ სამოსს ნიშნავს (Магазаник Д..დასახელებული ნაშრომი).

[50] Курылев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

რი საერთო და სხვაობაც გამოავლინა. მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე სამოსი მოკლე, წელამდე მწვდომ დასარჩულებულ ზედატანს წარმოადგენს მიდგმული სახელოებით. განსხვავება შეიმჩნევა სახელოს თარგში. აჭარული იჩლუღის სახელო სამაჯით კი არ ბოლოვდება, როგორც თურქული (ანატოლიური) იჩლუღისა, არამედ ელორით (ყოშით). თურქულ იჩლუღს არა აქვს შესაბნევები. მაშინ როცა აჭარული იჩლუღი ღილებიანია და ლითონის ღილებით იკვრება. თარგის შესახებ მსჯელობა კი ძნელდება, რადგან ვ.კურილევა ამის შესახებ ცნობას არ გვაწვდის.

სამოსის ამ ორი სახეობის შედარებითი შესწავლა თითქოს წამოჭრის ვარაუდს, რომ აჭარული იჩლუღი თურქული იჩლუღის სახეცვლილი ფორმაა და მან გარკვეული ცვლილებებიც განიცადა. მაგრამ საბოლოო დასკვნისათვის სხვა დამატებითი მასალების მოძიებაც დაგვჭირდება.

ხ ი რ ხ ა. ხირხა სიხმისა და ჩათაკის ზემოდან სახმარ თბილ შესამოსელს წარმოადგენს, რომელიც ცივი კლიმატური პირობების დროს სახმარ სამოსადაა აღიარებული. ძველად იგი შინნაქსოვი შალისაგან იკერებოდა, შემდეგ ამავე მიზნით ფაბრიკული ქსოვილების (სკალატი, ხავერდი) გამოყენება დაუწყიათ. ხირხის თარგი ძირითადად იმეორებს მისი წინამორბედი ჩათაკის თარგს. ჩათაკისაგან მას მხოლოდ სიგრძე და საყელო განასხვავებს. მათი დანარჩენი ნაწილები საერთოა. არსებითი განსხვავება კი შემდეგში მდგომარეობს: ხირხას ქმნის წინა ორი კალთა, მთლიანი ზურგი. მისი სახელოები შედგება საპირესა და სარჩულისაგან, რომელთა შორის მატყლის ან ბამბის თხელი ფენაა მოქცეული. ხირხას საყელო არ გააჩნდა. მას შესაბნევებსაც უკეთებდნენ, მაგრამ შეიძლებოდა მისი გახსნილი სახით ტარებაც.

ჩათაკასავით წელში გამოყვანილი და ჩათაკაზე უფრო გრძელი ხირხა პატარძლის ჩაცმულობის კომპლექტშიც შედიოდა. საპატრაძლო ხირხა ჩვეულებრივ სახმარი ხირხისაგან განსხვავდებოდა ქსოვილის ხარისხით, მისი ფერითა და შემკუ-

ლობით, სანამუსო ხირხაც ფერადი ყაითნებითა და ძაფებით ირთვებოდა. ხირხა აჭარის მთაშიც იყო გავრცელებული და ბარის ზოლშიც. არსებობდა ხირხის მეორე სახეობა, რომელსაც მკლავები არ გააჩნდაყ ხირხის ჭრა-კერვა მისი რთული თარგის გამო ყველას როდი შეეძლო. თითოეულ სოფელში რამდენიმე მკერავი მაინც იყო, რომლებიც არა მარტო თავიანთი ოჯახის საჭიროებისათვის, ნათესავ-მეზობელთათვისაც არ იშურებდნენ შრომას. მთავარი მაინც თარგის გამოჭრა იყო. კერვა კი ბევრს შეეძლო.

ხირხას შესახებ ეთნოგრაფიული და ლიტერატურული მასალები საქართველოში მწირია. მოგვეპოვება მხოლოდ თითოოროლა ცნობა ხირხა არ იხსენიება არც სულხან-საბა ორბელიანთან და არც დ.ჩუბინიშვილთან. ხირხა რომ ზედსაცმელ სამოსს წარმოადგენდა, ამის შესახებ ვკითხულობთ მხოლოდ თეიმურაზ I– ის ლეილ-მაჯნუნიანში: "წამოიყვანა მეჯნუნი ხირღა-ცმულ თავშიშველები".[51] თხზულებაში "ღირღა" განმარტებულია როგორც ტლანქი, უხეში სამოსი, დერვიშთა ტანსაცმელი. როგორც ჩანს, ხირხა, ზამთრის სათბილო, წამოსასხამი ტიპის სამოსი ყოფილა. ივ.ჯავახიშვილის აზრითაც ხირხა "ზამთრის სათბილო სამოსი" იყო.[52]

აჭარაში ხირხა გავრცელებული ჩასაცმელი იყო. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის თ.სახოკია, რომელიც აქ XIX ს. ბოლოს მოგზაურობდა. იგი მიუთითებს აჭარული სამოსის განმასხვავებელ ნიშნებზე ქართულ სამოსთან შედარებით და მოიხსენებს ჩითის ხირხას – დაბამბულს ან უბამბოს, სეზონის მიხედვით განსხვავებულს. ამ სამოსს იგი ადარებს ქართულ ქათიბს.[53] როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ხირხა სეზონის მიხედვით განსხვავებული ყოფილა – საზაფხულოდ იცვამდნენ დაუბამბავს, საზამთროდ კი – დაბამბულს.

---

[51] თეიმურაზ I, ლეილ-მაჯნუნიანი, ჩვენი საუნჯე, ტ 4, თბ., 1960, ტაეპი 87, გვ. 111.

[52] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[53] თ.სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 192.

ხირხა ამ სახელწოდებით საქართველოს ფარგლებს გარეთაც იყო გავრცელებული. მას ატარებდნენ არზრუმიდან სომხეთში გამოსახლებული სომხები.[54] დაბამბულ ხარხას იყენებდნენ ანატოლიელი ქალები და მამაკაცები.[55]

ხირხა, როგორც სამოსის განსაკუთრებული სახეობა აჭარელთა ყოფაში ჩვენამდე ვერ შემორჩა. არც სამუზეუმო კოლექციებშია იგი შემონახული. ამიტომ ამ სამოსის მოხმარებისა და თარგის შესახებ მხოლოდ გადმოცემების მიხედვით ვმსჯელობთ. როგორც ზემოთმოტანილი შესადარებელი მასალებიდან ჩანს, ხირხა ძველ საქართველოში გავრცელებულ სამოსს წარმოადგენდა. მისი მოხმარების ფაქტი კი აჭარის მთამ XIX ს. ბოლომდე შემოგვინახა. ამ სახეობის ტანსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინის მოხსენიება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში მის ადგილობრივ წარმომავლობაზე უნდა მიუთითებდეს.

სარტყელი. ქალის ტანსაცმლის კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სარტყელი. იგი ისე მჭიდროდ შეერწყა კაბის კომპლექსს, რომ მის გარეშე წარმოუდგენელია ქალის ჩაცმულობის სრულყოფა და ასევე მისი სისრულით შესწავლა.

სარტყელი მასალის მიხედვით ორგვარია. შინ ნამზადი შალისა და აბრეშუმის ძაფის სარტყელი და ფაბრიკული აბრეშუმის ქსოვილის სარტყელი, რომელსაც თალაბულუსი ეწოდება. შინნამზადი შალის სარტყელი თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: სადა და ჭრელი. მას წელის დარაჯს ეძახდნენ, რადგან წელს სიცივისაგან იცავდა. შემდეგ კი იგი ზამთარ-ზაფხულ სახმარი ელემენტი გახდა. ერთ-ერთი ასეთი სარტყელი ჩვენ აღვწერეთ ხულოს რ. სოფ. დეკანაშვილებში. სარტყელი შინ ნაქსოვი შალის ხუთი ერთმანეთზე გადაკერილი განითაა შედგენილი.

---

[54] Армяне, Народы Кавказа, 11. ст. 515.

[55] Народы Турции, Народы Передней Азии, М., 1957, с. 348, 349; Курылев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

ხანშიშესულ ქალებს მცირეოდენი ცვლილება შეუტანიათ სარტყელის დამზადების წესებში. სარტყელის იმ ნაწილში, რომელიც წელს ფარავდა, ბამბის ან მატყლის თხელი ფენა მოუთავსებიათ. ასეთ სარტყელს უმეტესად ზამთარში ხმარობდნენ.

ჭრელი სარტყლების დამზადებაც ამავე წესით ხდებოდა, ფერებში შეხამებული იყო წითელი, მწვანე, ყვითელი, ვარდისფერი, აგურისფერი და ა.შ. ასეთი სარტყლები სანამუსო ტანსაცმლის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. აბრეშუმის სარტყელი ამშვენებდა საპატარძლოებსა და პატარძლებს. ახალგაზრდა გაუთხოვარი გოგონები სარტყელს არ ატარებდნენ.

საქართველოში შემორჩენილი ფრესკული მასალების მიხედვით სახიანი ქსოვილისაგან სარტყლების დამზადება XIV ს-დან ივარაუდება.

აჭარელთა ყოფაში შემორჩენილი ქსოვილის სარტყელი თავისი ფორმით განსხვავდება საქართველოს სხვა კუთხეებში დამოწმებული შალის სარტყლებისაგან. აჭარულ სარტყელს, როგორც ზემოთ ითქვა, სამკუთხედის ფორმა აქვს. საქართველოს სხვა კუთხეში ამგვარი სარტყლები არ გვხვდება. გამონაკლისს შეადგენდა სამცხე-ჯავახეთი, სადაც მსგავსი ტიპის სარტყლები იყო ხმარებაში და მას ქალები და მამაკაცები დაქორწინების შემდეგ ატარებდნენ.[56] ასე იყო აჭარაშიც. მსგავსი სარტყლები ყოფილა გავრცელებული ანატოლიაში.[57]

აჭარაში გავრცელებული ქამრები მასალის მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ვერცხლის ან უბრალო ფერადი ლითონის ქამრები და სირმაქსოვილი ყაითნის ქამრები ვერცხლის ბალთით.

ვერცხლის ქამარი ეთნოგრაფიულ ყოფას დღემდე შემორჩა. იგი სტილისტური და დამუშავების თვალსაზრისით თითქმის ერთნაირია. ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია აჟუ-

---

[56] შ.ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1967, გვ. 370.

[57] Курышев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 245.

რული სახე. სანიმუშოდ მოვიტანეთ სოფ. კვიახიძეებში (შუახევის რ.) ჩვენს მიერ მიკვლეული მაღალი ოსტატობითა და დახვეწილი გემოვნებით დამზადებული სარტყლის აღწერილობას. იგი შედგება სწორკუთხა და ოვალური მოყვანილობის დედალ-მამალი ბალთისა და 9 მართკუთხედის ფორმის მოძრავი ფირფიტისაგან. ბალთები და ფირფიტები ერთმანეთზე გადაბმულია ღერძებით, რომლებიც წინა მხრიდან უხილავადაა დამაგრებული დეკორატიული ლითონის სარტყელზე. განსაკუთრებით საინტერესოა ქამრის რთულ კომპოზიციანი ბალთა, რომლის წინა მხარეზე აჟურული ტექნიკით გამოყვანილია მცენარეული და ყვავილოვანი ორნამენტები. ბალთა ფარავს ქამრის შესაკრავ კავსა და ყურს. ბალთის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია კონცენტრული წრეები, რომელთა შუაში ზურმუხტის თვალია ჩასმული. მის ორივე მხარეს კი სიმეტრიულად ბოლოხვიებიანი დოგმის გამოსახულებაა. ასეთი ბალთები გავრცელებული იყო სამცხეშიც.[58] ბალთის დარჩენილი სივრცე შევსებულია გრეხილი, დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი მცენარეული ორნამენტებით. ეფექტის გასაძლიერებლად ჭვირულ ფირფიტასა და საყრდენს შორის მოთავსებულია წითლად შეღებილი ფირფიტები. რომელიც ქამრის შემადგენელ ყველა სეგმენტს გააჩნია. მართკუთხედის ფორმის ფირფიტებიც აჟურული წესითაა შესრულებული და ყველა ერთმანეთის იდენტურია. მართკუთხედის ცენტრში მოთავსებულია ამობურცული ნახევარსფერო, რომელსაც გვირგვინად ადგას ზურმუხტის თვალი. ნახევარსფეროს ქმნის 8 ერთნაირი ელიფსი, რომლის ფუძეში ჩამაგრებულია დეკორატიული ხვეული – დაკეჭნილი სამმაგი მავთულის გრეხილი, რომლის წერტილოვანი თავი მაღლაა ამოწეული. ორნამენტის საერთო სახე ბადისებურია. ქამრის სიგრძე 87 სმ-ია, სიგანე – 3 სმ. ქამარი შედგება დეკორატიულად კარგად დამუშავებული ფირფიტებისაგან. საყურადღებოა ქამრის ენა და ბალთა. ენაზე გა-

---

[58] ლ.სოსელია, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972, გვ. 106.

მოსახულია ექვსქიმიანი ორი ვარსკვლავი. ბალთა ჭვირული ტექნიკითაა შესრულებული და სფეროზე მოთავსებული ექვსქიმიანი ვარსკვლავითაა დამშვენებული. არსებობდა მეორე სახის ვერცხლისბალთიანი ქამარი, რომელიც დამზადებული იყო სირმაქსოვილის ყაიონით. ბალთის ცენტრში ყვავილოვანი გამოსახულების შუაში ჩასმულია ზურმუხტის თვალი. ბალთის ირგვლივ ფოთლების სტილიზებული გამოსახულებანი შემოყვება.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აღნიშნული ტიპის სარტყლები ბათუმსა და ახალციხეში მზადდებოდა. ზოგჯერ შემოჰქონდათ თურქეთიდანაც.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ სარტყლებს წინაპარი გააჩნია ანტიკური ხანიდან. ძვ.წ. V ს. 30-იანი წლებით დათარიღებულ ფიჭვნარის სამაროვანის განათხარ მასალაში გვხვდება ვერცხლის პატარა ბალთა, რომლის ენა დაცული არაა. პროფესორი ა.კახიძე ვარაუდობს, რომ ეს ბალთა შეიძლება ადგილობრივი ნაკეთობა იყოს, რომელიც ბერძენ მოახალშენეებს გამოუყენებიათ.[59]

აჭარაში გავრცელებული ვერცხლის ქამრება სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ მესხურ ვერცხლის ქამრებთან. ასეთი ქამრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ისინი სპეციალურადაა შესწავლილი.[60] ასეთი ქამრები საქართველოს გარდა კავკასიის სხვა კუთხეებშიც იყო გავრცელებული.[61]

---

[59] პროფ. ა.კახიძემ ცნობა ზეპირად მოგვაწოდა, რისთვისაც ეუხდით მადლობას.

[60] ლ.ბედუკიძე, ლ.სოსელია, მ.ჩართოლანი, სარტყლების კატალოგი, თბ., 1967, გვ. 46, 49 (სურ. 25-55).

[61] Шилин Е. Литейное производство Дагестана. Советская этнография, 1947, №1, с. 126.

ფ ე შ ტ ე მ ა ლ ი.[62] ტანსაცმლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი ფეშტემალი იყო, ანუ წინსაფარი რომელსაც წელზე ტანსაცმლის გარედან შემოირტყამდნენ. ფეშტემალი თანდათან ისე შეერწყა კაბის კომპლექსს, რომ მის გარეშე სახლიდან ქალის გასვლა თითქმის სირცხვილად ითვლებოდა. იგი წელიწადის ყველა დროს ქალის ტანსაცმლის განუყრელ ელემენტს წარმოადგენდა.

ფეშტემალი იკერებოდა როგორც შინნაქსოვი შალის ნაზი ქსოვილისაგან, ასევე ფაბრიკული შავი ატლასისაგან. ზემო აჭარაში მას ქალებთან ერთად გოგონებიც ატარებდნენ. წელზე შესაკვრელად უკეთდებოდა შავი, მწვანე, ვარდისფერი და თეთრი ძაფის ნარეისაგან დამზადებული შინნაქსოვი ზონარი, რომელსაც ბაღი ეწოდება.განსაკუთრებული გულმოდგინებით მზადდებოდა სადედოფლო ფეშტემლები, რომელიც სილამაზით გამოირჩეოდა.

ფეშტემალი სხვადასხვა ვარიაციებით გავრცელებული იყო სამცხე-ჯავახეთში,[63] გურიაში,[64] იმერეთში,[65] ფშავში[66] და სხვა კუთხეებში. გურიასა და იმერეთში ქსოვილის ფეშტემალთან ერთად ტყავის ფეშტემალსაც იცვამდნენ. ფშავური ფეშტემალი (მას ფასტაქალს ეძახდნენ) აჭარულ ფეშტემალთან შედარებით ვიწრო იყო და მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით ამკობდნენ. თურქეთში მცხოვრები მკვიდრი და მუჰაჯირი ქართველი მოსახლეობაც ტრადიციულად მისდევდა ფეშტემლის დამზადებასა და მოხმარებას.[67]

---

[62] ფეშტემალი-თურქულში სპარსულიდანაა შესული და წინსაფარს ნიშნავს (Магазаник Д.,დასახ. ნაშრომი); შდრ. ნ.გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[63] ლ.ბარათაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 134.

[64] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობისათვის, ტ.111, ნაწ.1, თბ., 1983, გვ. 256.

[65] იქვე, გვ. 208.

[66] ც.ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი..., გვ. 79, 80.

[67] შ.ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, 1, ბათ., 1993, გვ. 202.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ფეშტემალი ანატოლიაშიც ყოფილა გავრცელებული და აქ ძირითადად სამუშაოზე სახმარ წინსაფარს წარმოადგენდა, რომელსაც იყენებდნენ წვრილმანი საგნების გადასატანად და იგი პირსახოცისა და ხელსახოცის ფუნქციასაც ასრულებდა. მას ველზე სადილობის დროს კი სუფრადაც იყენებდნენ.[68] ვარაუდობენ, რომ თურქეთში ფეშტემალი ხმელთაშუაზღვისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან უნდა იყოს ნასესხები, რომელთანაც თურქებს საუკუნეთა მანძილზე ახლო მეზობლობა და ურთიერთობა აკავშირებდა.[69]

აჭარული ფეშტემალი ჩამოთვლილ ხალხებში გავრცელებული ფეშტემლისაგან სიგრძითა და სიფართოვით განსხვავდებოდა. იგი კაბის მთელ ქვედა ტანს ფარავდა.

განხილული მონაცემებით ცხადი ხდება, რომ აჭარულ ტანსაცმელში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია კაბის ზემოდან ჩასაცმელს. გამოვლინდა მათი ადგილობრივი წარმომავლობაც და ნასესხები ფორმებიც.

დასარულ შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა სათანადო ასახვა ჰპოვა ჩაცმულობაში, რაც შინნამზადი ქსოვილების იაფი ფაბრიკული ქსოვილებით შეცვლაში გამოიხატა. ამ ფაქტმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა ფერისა და თარგის ცვლილებაში. ევროპულმა ტანსაცმელმა ძველებურ ჩაცმულობას და მათ შორის ტანზედა ჩასაცმელსაც თანდათან შეურყია საფუძველი და განდევნა ხმარებიდან. ჩაცმულობის ახალმა ევროპულმა და რუსულმა ელემენტებმა არნახული სისწრაფით მოიკიდა ფეხი საერთოდ საქართველოში და კერძოდ აჭარაში.

3. ს ა მ კ ა უ ლ ი. აჭარელი ქალის სამკაულის შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება, არც უცხოელ მოგზაურთა ნაშრომებში გვაქვს ამ მხრივ რაიმე ხელშესახები მასალა.

---

[68] Курылев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

[69] Народы Зарубежной Европы, т.I, М., 1964, с. 337, 416, 441, 545; Курылев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

აჭარელი ქალის სამკაულის ასეთი "კონსპირაცია" განაპირობა წარსულში თვით აჭარელი ქალის საზოგადოებრივი თვალსაზრისით კარჩაკეტილმა ცხოვრებამ. ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ქალის სამკაული ჩადრის ქვეშ მოექცა და იგი დაინტერესებული მკვლევარისათვის მისაწვდომი არ იყო. დღევანდელ პირობებში ერთადერთი წყარო აჭარული სამკაულის შესასწავლად საველე ეთნოგრაფიული მასალაა როგორც დღემდე აქა-იქ შემორჩენილი ნივთები, ისე მთხრობელთა ზეპირი გადმოცემების სახით. ამას ემატება სამუზეუმო კოლექციები. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში აჭარის სოფლის მოსახლეობაში ვრცელდებოდა ძირითადად ახალციხეში, ნაწილობრივ კი ქალაქ ბათუმში დამზადებული სამკაული. სოფლად ძვირფასი სამკაულების დამზადება არ დასტურდება.

აჭარელი ქალის სამკაული მრავალსახოვნებით ხასიათდება და იგი გემოვნების ადგილობრივ მოთხოვნებს პასუხობდა. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აჭარელი ქალი უმეტესად ვერცხლის სამკაულებს ეტანებოდა, მაგრამ მათ გვერდით ოქრო-სპილენძისაგან და მძივ-მონეტებისაგან გაკეთებულ სამკაულსაც ხმარობდა. სამკაულს ატარებდნენ როგორც სადღესასწაულოდ (ქორწილი, შუამთობის შრომითი დღესასწაული), ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, აჭარელი ქალის ყოველდღიურ თავსაბურავს შინ და გარეთ ლეჩაქი წარმოადგენდა და იგი ოქრო-ვერცხლის მონეტებითა და მძივებით იყო მორთულ-მოკაზმული. ქალი ხელიდან არ იცილებდა მინის მძივებსა და მარჯნის სამაჯურს. შემკულობის გარკვეულ ნაწილს მორთვა-მოკაზმვის შემდეგ იკეთებდნენ, ზოგიერთი მათგანი კი ჩასაცმელ-დასახურავის განუყრელ ნაწილად გვეელინება.

მიუხედავად ზოგიერთი უცხოური გავლენისა, სამკაულმა აჭარაში შემოინახა ადგილობრივი თავისებურებანი. სამკაულში, მათი ტარების წესებში ზოგჯერ ამოიკითხება ქალის სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, ასაკობრივი განსხვა-

ვება. უკანასკნელ წლებში სამკაულის ეს ნიშნები, უფროს თაობაში თუ იყო შემორჩენილი. ახალგაზრდობა უმეტესად მოდური ტიპის სამოსელისა და შემკულობისაკენ მიილტვის.

როგორც აღინიშნა, სამკაული და საერთოდ საიუველირო ნაკეთობანი აჭარაში ძირითადად შემოჰქონდათ ახალციხიდან, თურქეთის სხვადასხვა რაიონებიდან, რის შედეგადაც შეინიშნება ნასესხები ფორმები. დადგენილია, რომ საოქრომჭედლო სახელოსნოები, ბათუმისა და ახალციხის გარდა, არსებობდა ხერთვისში, აწყურსა და ახალქალაქში. ახალციხე კი მთავარ ცენტრად ითვლებოდა საქართველოში თბილისის შემდეგ. ახალციხური ვერცხლის ფილიგრანული ნივთების მრავალფეროვნებასა და მაღალ ხარისხზე არაერთ მკვლევარს გაუმახვილებია ყურადღება.[70]

ლ.ზაგურსკი წერდა: ახალციხელი ხელოსნები ამზადებდნენ ფუფუნების საგნებსაც შეძლებულთათვის და სხვა ქალაქებში გასატანად. ის ცნობილი ხდება ოქროჭედით, ნაქარგით, დამბაჩის შემკული ტარებით და ფილიგრანული ვერცხლის ნივთებით. ეს უკანასკნელი მოგვაგონებს ბიზანტიის ბრწყინვალების ხანას, რამდენი სიფაქიზე, სინატიფე და მოხდენილობაა მის შემკულობაში.[71]

აჭარლები ახალციხეში სხვადასხვა დანიშნულების ქალისა და მამაკაცის სამკაულებს იძენდნენ. ყვინჩები (ოქრომჭედლები) აქ თითბერისაგან აკეთებდნენ საგლეხო ჩაფრასტებს, ჯიღჯიღებს, ანჯუსტებს, ბეჭდებს, ქალის ქამრებს და სხვა.[72]

აჭარაში გავრცელებული სამკაულების შესწავლით ირკვევა, რომ სამკაულის მასალად გამოყენებულია ფირუზი,

---

[70] ლ.სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[71] Радде Г. Предварительный отчет о путешествии д-ра Г.Радде по Кавказу летом 1865 г. ЗКОИРГО, кн. 8, с.7; Гонадзе И. Заметки о состоянии промышленности в Ахалцихской уезде Тифлисской губернии, Материалы для описания местностей и племен Кавказа, вып. 1. Тиф., 1881, с. 76.

[72] Загурский Л. Поездка в Ахалцихской уезд 1872 г, ЗКОИРГО, кн. 8, 1873, с. 24.

ლალი, მარჯანი, ფერადი მინა. ფერებიდან ჭარბობდა ცისფერი, წითელი, მწვანე. უფრო ხშირად არის გამოყენებული ფერადი მინის მძივები და ინკრუსტრირებული თვლები.

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ სამკაულს ძველთაგანვე ორგვარი დანიშნულება ჰქონდა – მხატვრულ-ესთეტიკური და ნიშნადი. ნიშნადი ბუნება სამკაულისა გაცილებით რთულია და მრავალსახიანი, მაგრამ უფრო კონსერვატულიც.[73]

ზემო აჭარაში სხვადასხვა ძვირფას ქვებს ძველთაგანვე მიაწერდნენ მიზნობრივ და მაგიურ მნიშვნელობას. ამა თუ იმ ფერის ქვის ტარება განპირობებული იყო არამარტო ესთეტიკური თვალსაზრისით, არამედ ავადმყოფისა და ავი თვალისაგან დაცვის ფუნქციითაც. თვლიდნენ, რომ ქარვა. მარჯანი, ფირუზი სასარგებლო გავლენას ახდენდა ადამიანზე. ამ ქვების მაგიური მნიშვნელობის შესახებ საგანგებოდ მიუთითებდა ა.სემიონოვი.[74]

მთხრობელთა გადმოცემით, ზემო აჭარაში სხვადასხვა ფერის ქვების გამოყენებას, უკანასკნელ წლებში მაინც, ესთეტიკური მხარე განაპირობებდა. როგორც ჩანს, სამკაულებს დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოეცალა თავისი პირველადი ფუნქცია და გაიზარდა ესთეტიკური მხარე, თვით ნივთები კი გადაიქცნენ ხალხური შემოქმედების ნიმუშად მხოლოდ ზოგიერთმა შეინარჩუნა თავისი პირველადი მნიშვნელობა, მაგალითად, ჰამაილმა,[75] რომელსაც ავი თვალისაგან დაცვის მიზნით უკეთებდნენ უმეტესად ბავშვებს.

---

[73] ი.გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, თბ. 1981, გვ. 7-8.

[74] Семенов А. Из области воззрений мусульман Средней Азии и значение некоторых благородных камней и минералов, Мир Ислама, т. I, 1912, с. 3.

[75] ჰამაილი ავი თვალისაგან თავდასაცავ ამულეტს ეწოდება. იგი მზადდებოდა სამკუთხა ან ოთხკუთხა წითელი ფერის ფარჩის ქსოვილისაგან და შემკული იყო სხვადასხვა ფერის ძაფებით, მძივებითა და ოქროსფერი კლიტებით.

აჭარელი ქალის სამკაული როგორც დანიშნულების, ასევე მოხმარების წესის მიხედვით იყოფა: თავის, ყელის, გულის, ხელისა და წელის სამკაულად.

ზემო აჭარაში ექსპედიციების დროს ჩვენს მიერ მიკვლეული და შესწავლილია ყელსაბამი ჯიღჯიღა, ბეჭედი, საყურე, ძინის მძივებისა და მარჯნის სამაჯური, ქარვის მძივი, კორდომი (გულსაკიდი), მონეტების ყელსაბამი, ვერცხლის, სირმაქსოვილი ყაითნის ქამარი, ქამრის ბალთა, ვერცხლის ძეწკვი.[76]

მონეტები თავსამკაულის ერთ-ერთ გავრცელებულ ნაირსახეობას წარმოადგენდა, მიმაგრებული იყო ლეჩაქის ან ფენის იმ ნაწილზე, რომელიც შუბლზეა გადმოშვებული. მიღებული იყო სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის მძივებით შემკობა პატარძლის საქორწილო თავსაბურავის იმ ნაწილისა, რომელიც შუბლს ეფინებოდა. ამისათვის ჯერ ოთხკუთხოვან ქსოვილზე აკერებდნენ სხვადასხვა ფერის მძივებს და შემდეგ ამაგრებდნენ მას თავსაფარზე.

თავსამკაულის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა საყბური. საყბურად იყენებდნენ ქარვისა და სხვადასხვა ფერის წვრილი მძივების გრეხილს. მძივებს აასხამდნენ ძეწკვზე ან მსხვილ ძაფზე, შემდეგ რამდენიმე ასხმას ერთმანეთზე გადაგრეხდნენ და საყბურის ბოლოებს ფენის ნაპირებზე მიამაგრებდნენ, პატარძალი საყბურს 30 წლამდე ატარებდა. ნაირფერი წვრილი მძივებითა და ლითონის პატარა ფირფიტებით იმკობოდა ლეჩაქის წინა ნაწილი.

საყბური ძველ საქართველოში იხმარებოდა საყბეურის სახელწოდებით. მაგ., ანას, ქსნის ერისთავის ასულის, მზითვის წიგნში ნათქვამია: "გამოგვიტანებია პატიოსანი გაიდელი მისის საყბეურითა."[77] ანუკა ბატონიშვილის 1712 წლის მზითვის წიგნში საყბეურის აღნაგობაც არის მოცემული. მასში ნათქვა-

---

[76] ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა მოძიებულია ხულოს რაიონის სოფ. ღორჯომში.

[77] იე.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 148, 149.

მია: "გამდელი ერთი... კარგითა და პატიოსანის მარგალიტის საყბეურითა".[78]

ქალის სამკაულთა შორის ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ელემენტია სამკაული საყურე, ანუ როგორც ძველად ეწოდებოდა, საყური. საბას განმარტებით, საყური ყურის სამკაულია.[79] ივანე ჯავახიშვილი წერდა: საყური სპარსულია," გუშვარს უდრის, რომელიც ამასთანავე დიდს ობოლს მაგრალიტსაც ნიშნავს. ძველ ებრაულ მწერლობაში გვხვდება: "ჰრქუა მათ გედეონ:"...მე მომეცინ კაცად კაცადმან თქუენმან საყური" რამეთუ საყურნი ოქროსანი ესხეს მათ, რამეთუ ისმაიტელ იყუნეს, და ჰრქუეს მათ... მიქცეთ. და განიპყრა გედეონ სამოსელნი თვსი და შთაუგდებდა კაცად-კაცადი მუნ საყურსა ოქროისასა" საყურე მზითვის წიგნებშიცაა მოხსენებული. მაგალითად, პატიოსანი საყურე ბადახშანის ლალისა მისის ორის მარგალიტითა, მისის ორის ნიბურის ფირუზითა, მისის პატიოსანის ჯინჯილითა, ორმოცისა ფრანგი-ფარსანგის იაგუნდითა, მისი ფირუზქარითა, ოთახის კავითა, მისის ოთხის ნიშაბურის ფირუზითა".[80]

ზემო აჭარაში საყურეების მრავალი ნიმუში გამოვლინდა. ექვსი-შვიდი წლის ასაკიდან გოგონებს ყურებს გაუხვრეტდნენ და საყურეებს დაკიდებდნენ. ქალის საყურე მასიური, ხოლო ახალგაზრდა, გაუთხოვარი გოგონების საყურე შედარებით პატარა ზომისა და სადა იყო.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით საყურეები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად: 1. საყურეები, რომლებსაც აქვს დაღარული ელიფსის ფორმა. ისინი დამზადებულია საკმაოდ მსხვილი ვერცხლის მავთულისაგან. ზედა ნაწილი ასრულებდა შესაბნევის ფუნქციას, ხოლო ქვედა ნაწილი ზედას უკავშირდებოდა წვრილი მავთულით; 2. საყურეები ძეწკვის საკიდებით. მის ძირითად ნაწილს შეადგენს შესაბნევი. ქვედა ნაწილზე

---

[78] იქვე, გვ. 149.

[79] სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ IV, თბ., 1966.

[80] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

მირჩილულია სხვადასხვა ფორმის საგნების გამოსახულებანი. შიგა მხარეზე მას გააჩნია პატარა რგოლები ძეწკვისათვის. ძეწკვზე მაგრდებოდა საშუალო ზომის ფირფიტები (სამკუთხა ან რომბისებური საგნები); 3. ვერცხლის რგოლსაკიდიანი საყურე.

საყურე ქალის სამკაულის კომპლექსის ყველაზე არსებითი ელემენტი იყო. რომელსაც განსაკუთრებული მოწონება ჰქონდა ქალწულობის პერიოდში, თუმცა მას გათხოვილი ქალებიც ატარებდნენ. ამჟამად ყოფიდან გამოვიდა ტრადიციული ვერცხლის საყურეები და მისი ადგილი შესაბამისმა ფაბრიკულმა ნაწარმმა დაიჭირა.

აჭარელი ქალის შემკულობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გულსამკაულს. წარსულში ფართოდ გავრცელებულ სამკაულს, რომელსაც ქალიშვილებიცა და გათხოვილებიც სმარობდნენ, ჯიღჯიღა წარმოადგენდა. ყელსაბამი ჯიღჯიღა ამავე დანიშნულებით ფართოდ გავრცელებული იყო მესხეთშიც. სულხან - საბა ორბელიანის განმარტებით ჯიღა დიდებულთ თავსარჭობია.[81] ნ.ჩუბინიშვილი მას განსხვავებულად განმარტავს: "ჯიღა ხორი, მარგალიტით მოოჭვილი ფრთა დასარჭობი თავზედა და სხვათა თავსახურავთა ზედა".[82]

ჯიღჯიღა ვერცხლის ან უბრალო ლითონისაგან ნამზადი გულსამკაულია. იგი, როგორც წესი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ვიწრო და მოკლე მილაკებისაგან შედგება. თითოეულ მილზე მირჩილული პატარა რგოლები ძეწკვის საკიდებით უეროდება მოგრძო ბურცულებს, ჯიღჯიღას ცენტრალური ნაწილი ოთხკუთხა, კარგად ორნამენტირებული ფირფიტით არის დამშვენებული. ფირფიტა შემკულია ერთი წითელი და ოთხი ფირუზისფერი ინკუსტრირებული თვლებით. ფირფიტაზე დაკენჭილი მავთულით გამოყვანილია ყვავილისა და ფოთლების გამოსახულება. ცენტრალური ფირფიტის ორივე მხარეს ასხმული ყოფილა ვერცხლის ფირფიტების წყება თანაბა-

---

[81] სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 480.

[82] ნ.ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 477.

რი რაოდენობით. ეს ფირფიტები, თავის მხრივ, ორი ნაწილისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო პატარა რგოლით. მოხმარების დროს ფირფიტის ბოლო ნაწილი თავისუფლად მოძრაობდა. ცენტრალურ ფირფიტაზე პატარა რგოლით ჩამოკიდებული იყო მსხლის ფორმის ფირფიტა, რომელზედაც დაკენჭილი მავთულით გამოყვანილია ოთხყურა ყვავილის გამოსახულება. ჯიღჯიღას დასრულებულ სახეს აძლევს სამი მოდიდო მსხლისებური ფორმის ფირფიტა, რომელიც შემკულია სარდიონის თვლებითა და დაკენჭილი მავთულით შედგენილი მცენარეული ორნამენტით. თავის მხრივ, ფირფიტაზე რგოლებით მიმაგრებულია დაკბილული ვარდულები.

ჩვეულებრივ, ჯიღჯიღა ყელის სამკაულია, მაგრამ ხშირად იგი მკერდის დამამშვენებელ სამკაულადაც გვევლინება, ჯიღჯიღა ძვირფას სამკაულად ითვლებოდა და ხულოს რაიონში ჩაწერილი ცნობით მისი ღირებულება ერთი ძროხის საფასურს უდრიდა.[83]

ყელის სამკაულთაგან ასევე ფართოდ იყო გავრცელებული მარჯნის, ფირუზისა და ქარვის მძივები, აგრეთვე მძივებად ასხმული თურქული მონეტები. წვრილ ზონარზე ასხმული მძივები ქალს რამდენიმე წყებად ჰქონდა ყელზე შემოხვეული. მონეტები უმეტესად შემოტანილია (მონეტებს ორივე მხრიდან არაბული წარწერა აქვს). რაც უფრო შეძლებული ოჯახიდან იყო ქალი გამოსული, მას სამკაულად შედარებით დიდი რაოდენობის მონეტები ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, მონეტების რიცხვი სამკაულზე ცამეტზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ძეწკვზე მონეტებს სიდიდის მიხედვით აასხამდნენ, შუაში მოზრდილ მონეტას ჰკიდებდნენ,შემდეგ, თანდათანობით მომცრო ზომისას.

მონეტ-სამკაულები, აჭარის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოწმდება. მესხეთში მას "ბოლბანდს" უწოდებდ-

---

[83] ი.სამსონია, ქალის სამკაული აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა, II, ბათ., გვ. 80.

ნენ. ასეთი სამკაულების ნიმუშები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ძვირფასი ლითონების ფონდში. საკიდები ფილიგრანული წესითაა შესრულებული, დამზადებულია თითბრისაგან, მეორე კი მოოქროვილია და შემკულია ოსმალური თხელი ფიფანურებით და ფერადი მინის ქვებით.[84]

მონეტები, როგორც სამკაული, წარმოადგენდა გათხოვილი ქალის შემკულობის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს. მსგავსი ფაქტები სხვა ხალხებშიც (ნოღაელები,[85] ყარაკალპაკები,[86] თურქმენები და სხვ.) გვხვდება, სადაც ეს ტრადიცია დღემდე შემორჩა.

ზემო აჭარის მოსახლეობაში განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობდა ქარვის მძივები. მსხვილ ქარვას ეძახდნენ "კეიილ ქარვას" როგორც მოხუცი მთხრობელები გვიამბობენ, ძველად ქარვას ხმარობდნენ არა მარტო როგორც სამკაულს, არამედ მას სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდა. ქარვას ყიდულობდნენ ბათუმში ან მოხეტიალე ვაჭრებისაგან, რომლებიც მას, როგორც საცვლელ თუ სავაჭრო საგანს, სოფლად დაატარებდნენ. ქარვის მძივებს ქალები ძლიერ უფრთხილდებოდნენ, რადგან იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ვერცხლის მასიური ძეწკვი საქორწინო სამკაულის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ძეწკვზე წამოცმული იყო ვერცხლის პატარა, კარგად ორნამენტირებული სეგმენტი სახოხიალა, რომელიც თავისუფლად მოძრაობდა მასზე ორივე მიმართულებით. ძეწკვს ორ მეტრამდე სიგრძე ჰქონდა. მისი შეძენა მხოლოდ შეძლებულ კაცს შეეძლო. ცხადია, ამავე მიზეზის გამო, იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა. რადგან არსებული წესის თანახმად, პატარძლის ჩაცმულობა

---

[84] ლ. სოხელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[85] Гаджиева С. Материальная культура ногайцев в 19-начале 20 вв. М., 1962, с. 481.

[86] Народы Средней Азии и Казахстана, т. 11, М., 1963, с.97; Василева Г. Преобразование быта и этнические процессы в Северном Туркменистане. М., 1969, с. 225-227.

და შემკულობა საქმროს ოჯახის საზრუნავს შეადგენდა, ამიტომ საამისოდ წინასწარვე იყვნენ მომზადებული და ჯერ კიდევ ნიშნობაზე მიჰქონდათ ქორწილის დღისათვის საჭირო სამოსელი და სამკაული.

საგულე სამკაულთაგან ზემო აჭარაში აღმოჩნდა სამკაულის ორიგინალური სახეობა ვერცხლის კორდომი. მისი მატარებელი ქალის სურვილის გათვალისწინებით, თუ სხვა მიზეზით კორდომი სხვადასხვა ზომისა მზადდებოდა. მას მხოლოდ გათხოვილი ქალი ატარებდა. ამდენად, სამკაულის ეს სახეობა საინტერესოა, როგორც ქალის ერთი სოციალური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის მანიშნებელი. კორდომი მაგრდებოდა სამოსელზე მკერდს ზემოთ, მარჯვნივ. იგი ვერცხლის საკმაოდ მასიური სეგმენტია, შედგება ორი ნაწილისაგან, რომლის ბოლოებზე ძეწკვის ყულფ-საკიდებით ბურთულები ან სპირალებია მიმაგრებული. კორდომის ზედაპირი ორივე მხრიდან კარგადაა ორნამენტირებული და დაფარულია შავი სევადით გამოყვანილი სტილიზებული მცენარეული სახეებით. კორდომს მეტწილად სანამუსო სამოსელზე იკეთებდნენ დღესასწაულებისა და ქორწილის დროს.

საინტერესოა, რომ სამკაულის ამ სახეობას "წინაპარი" ეძებნება ე.წ. "გონიოს განძთან", რომელიც არქეოლოგების აზრით, II-IV ს.ს. განეკუთვნება. ასეთი საკიდები ფართოდ ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.[87] ჩანს, რომ მას საუკუნეთა მანძილზე დიდი ცვლილება არ განუცდია.

ლითონისაგან ნამზადი მსგავსი დანიშნულების საგულე სამკაულები სხვა ხალხების ყოფაშიც მოწმდება. ასეთი გულსამკაულის რამდენიმე სახეობა მოწმდება, მაგალითად, ნოღაელებში.[88]

---

[87] Золото древней Колхиды. Вокрк света, 1975, №4, с. 50-53; ო.ლორთქიფანიძე, თ.მიქელაძე, დ.ხახუტაიშვილი, გონიოს განძი, თბ., 1980, გვ. 20-21.

[88] Гаджиева С., დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

ხელის სამკაულთაგან ზემო აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ნაირგვარი ბეჭდები და სამაჯურები, რომლებიც უმთავრესად ვერცხლისა და სპილენძისაგან მზადდებოდა. ოქროს ბეჭდებსა და სამაჯურებს მშრომელი მოსახლეობა იშვიათად ატარებდა. გავრცელებული იყო თვლიანი ვერცხლისა და უთვლო, სადა, რგოლისებური ბეჭედი, რომელთა ზემო ნაწილი ოთხკუთხა ან ოვალური ფორმით არის წარმოდგენილი. მასზე ამოკვეთილი იყო გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტი, ზოგჯერ კი არაბული წარწერები. ბეჭდებზე ხშირად პატრონის ინიციალიც იყო ამოკვეთილი. ბეჭედებზე ხშირად პატრონის ინიციალიც იყო ამოკვეთილი. ბეჭედს ყველა ასაკის ქალები ატარებდნენ. ჩვეულების ძალით, ბეჭდებს იკეთებდნენ ყველა თიოზე, გარდა ნეკისა და ცერა თითისა. სადღესასწაულო და საქორწინო ცერემონიალის დროს ქალები იკეთებდნენ რამდენიმე ბეჭედს. საეროდ, კი ბეჭედი აჭარელი ქალის დღენიადაგ სახმარი სამკაული იყო. ბეჭედი აუცილებელი ელემენტი იყო სარძლოს დანიშვნის პროცესში, როდესაც ერთი ოქროს ბეჭედი აუცილებლად უნდა დაეტოვებინა საქმროს ოჯახის წარმომადგენელს საპატარძლოსათვის.

ბეჭედი, როგორც სამკაულის ერთ-ერთი ორიგინალური და ფართოდ გავრცელებული სახეობა, ყველა ხალხში მოწმდება. იგი მოხსენებულია ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც: "წარიხადა მფ=ნ ბეჭედი ხელისაგან და რ=ქა: ამით დაჰბეჭდეთ სახლსა მისსა" "დასდვეს პირსა მის ჯურღმულისასა, და. ბეჭდა მეფემან ბეჭდითა თვისითა და ბეჭდითა მთავართა თესთაითა" მეფემ თავისი ხელის ბეჭედი "მისცა ჰამანსა და =რქა: მიწერე ყ=ლსა ქალაქსა და სოფლებსა და დაჰბეჭდე ბეჭდითა ამით სამეუფოითა და არავინ არს, რომელმან გარემოაქციოს ბეჭედი ეგე."[89] ბეჭედი მოხსენიებულია "ვეფხისტყაოსანშიც"

ხელის სამკაულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სამაჯურს. ჩვენი მასალების მიხედვით, ისინი შეიძლება დაჯ-

---

[89] ივ.ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 150, 151.

გუფდეს რამდენიმე ტიპად: სადად დამზადებული ვერცხლის მთლიანი რგოლი მომრგვალებული ბოლოებით და ძეწკვის საკიდით. მეორე ტიპი სამაჯურებისა, პირველთან შედარებით, მასიურია და მაჯაზე მჭიდროდ მორგებული. მისი ბოლოები არ იკეტება.

დიდი მოწონებით სარგებლობდა საგანგებო გრეხილზე აცმული ფერადი მძივების ნაერთი, როგორც სამაჯურის განსაკუთრებული სახეობა. ასეთი სამაჯურიც ყველა ასაკის ქალის ნიადაგ სატარებელი სამკაული იყო. ჩვეულებრივ, სამაჯური წყვილი უნდა ყოფილიყო, გამონაკლის შემთხვევაში ცალსაც ატარებდნენ. სამაჯურები, ბეჭედთან ერთად, სამკაულთა მთლიან ანსამბლს შეადგენდა.

სადღესასწაულო ტანსაცმელთან ერთად აჭარელი ქალი ატარებდა სხვადასხვანაირ ვერცხლისა და ლითონის ქამარს, რომელსაც საქმროს ოჯახი ყიდულობდა და უგზავნიდა პატარძალს. ვაჟის მშობლები ცდილობდნენ შესაძლებლობისამებრ ძვირფასი ნიშანი მიეტანათ სარძლოსათვის, რომ თავი არ შეერცხვინათ ახლად შეძენილი ნათესავებისა და ახლობლების წინაშე. ძვირფასი ნიშანი კი აუცილებლად მოიცავდა ვერცხლის ქამარს. შეძლებული ოჯახი წინასწარ იჭერდა თადარიგს და იმარაგებდა თანხას ვერცხლის ქამრისა და საერთოდ სამკაულების შესაძენად. ხშირად ვერცხლის ქამარში ძროხის საზღაურსაც აძლევდნენ. უფრო გავრცელებული იყო და დიდი დაფასება ჰქონდა მასიური სეგმენტებისაგან შედგენილ ვერცხლის ფართო ქამრებს ვერცხლისავე ბალთით. ქამრებშიც ნათლად ვლინდებოდა ქალის სოციალური მდგომარეობა. მდიდარი ქალის შემკულობის აუცილებელი ატრიბუტი ვერცხლის ქამარი იყო, ღარიბი კი ფერადი ლითონის ან თასმაზე ასხმული ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილი ქსოვილის ქამარს ან სირმაქსოვილი ყაითნის ქამარს ატარებდა.

ზემო აჭარაში გავრცელებული ქამრები, მასალისა და შესრულების ტექნიკის მიხედვით, სამ ჯგუფად იყოფა: ა. ვერცხლის ან ფერადი ლითონის, ბ. სირმაქსოვილი ყაითნის

ქამარი ვერცხლის ბალთით და გ. თასმაზე ასხმული ვერცხლის მოსევადებული ფირფიტებიანი ქამარი.

ვერცხლის ქამრები ეთნოგრაფიულ ყოფას დღემდე შემორჩა. ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია გრეხილი და ცვარვა, რაც საერთოდ ქართული ოქრომჭედლობის ხერხებია. ვერცხლის ფილიგრანის ოსტატები მაღალი გემოვნებითა და დახვეწილი ოსტატობით ამზადებდნენ ქალის ქამრებს. პირველი ტიპის ქამარი შედგება სწორკუთხა და ოვალური მოყვანილობის დედალ-მამალი ბალთისა და მართკუთხედის ფორმის მოძრავი სეგმენტებისაგან. ბალთები და სეგმენტები ერთმანეთზე გადაბმულია ღერაკებგაყრილი სახსრებით, რომლებიც წინა მხრიდან უხილავია და ჩამაგრებულია დეკორატიული ლითონის საყრდენზე. ქამრის ბალთაზე რთული კომპოზიციაა გამოსახული. მასზე აჟურული ტექნიკით გამოყვანილია მცენარეული ორნამენტი. ბალთა ფარავს ქამრის შესაკრავ კავსა და ყურს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. ბალთის შუა ნაწილში მოთავსებულია კონცენტრული წრეები, რომელთა შუაში ზურმუხტის, ფირუზის, ან მარჯნის თვალია ჩასმული. მის ორივე მხარეს კი სიმეტრიულად განლაგებულია ორნამენტის უძველესი სახე – ბოლოხვიებიანი დოგმის გამოსახულებისა და მოგრძო ბალთებზე ხვიის მოხაზულობით. მთელი სივრცე დაფარულია ხვიებისაგან შედგენილი ბადით. ბალთებზე მსგავსი ბოლოხვიებიანი დოგმის გამოსახულება ფართოდ ყოფილა გავრცელებული მესხეთში.[90]

ბალთის დარჩენილი ნაწილი შევსებულია გრეხილი, დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი მცენარეული ორნამენტებით. მეტი ფერადოვნებისათვის ჭვირულ ფირფიტასა და საყრდენს შორის მოთავსებულია წითლად შეღებილი ფირფიტები, რომელიც დამახასიათებელია ქამრის შემადგენელი ყველა სეგმენტისათვის. მართკუთხა ფირფიტებიც აჟურული წესითაა შესრულებული და ყველა ერთმანეთის იდენტურია. მართკუთხედის შუაში მოთავსებულია ამობურცული ნახევარსფერო,

---

[90] ლ.ხოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

რომელსაც გვირგვინად აზის ისეთივე თვალი, რაც ბალთაზეა დამაგრებული. ნახევარსფეროს ქმნის რამდენიმე ერთნაირი ელიფსი, რომლის ფუძეში ჩამაგრებულია დეკორატიული ხვეულა – დაკენჭილი სამმაგი მავთულის გრეხილი, რომლის წერტილოვანი თავი ამოწეულია. ორნამენტის საერთო სახე ბადისებრია. ყველა მათგანს შემოუყვება ერთნაირი დეკორატიული ჩარჩო, რომელიც აგრეთვე დაკეჭნილი მავთულისაგანაა შექმნილი. ისინი სპეციალურად არის შესწავლილი.[91]

ჭვირული ტექნიკით შესრულებული ქალის ქამრებიც არა მარტო საქართველოსათვის არის დამახასიათებელი, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბითაა გავრცელებული.[92]

არქეოლოგიურ მასალებს თუ მოვიშველიებთ, დავინახავთ, რომ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ ვერცხლის ქამრებს "წინაპრები" გააჩნიათ ანტიკური ხანიდან. ძვ.წ. V ს. 30-იანი წლებით დათარიღებული ფიჭვნარის სამაროვნის განათხარ მასალაში გვხვდება ვერცხლის პატარა ბალთა, რომლის ენა დაცული არაა. ა.კახიძე ვარაუდობს, რომ ეს ბალთა შეიძლება ადგილობრივ ნაკეთობა იყოს, რომელიც ბერძენ მოახალშენეებს გამოუყენებიათ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფიჭვნარის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი ერთ-ერთი ბალთა, რომელიც საინტერესოა იმით, რომ იგი წარმოადგენს ფრთებგაშლილი მტრედის სკულპტურულ გამოსახულებას.[93]

სხვა სამკაულის შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის არქეოლოგიური მასალები, იქნება ეს აჭარის ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი ტანსაცმლის დასამაგრებელი თუ შესამკობელი საშუალებები – ქამრის ბალთები, ღილები, მძივები, საკინძეები. სამაჯურები, ბეჭდები, თუ ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. კოლხური და ადრეელინისტური ხა-

---

[91] ლ. ბედუკიძე, ლ.სოსელია, მ.ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46, 49, სურ. 25-55 და 3-30.

[92] Шилинг Е. Литейное производство Дагестана. СЭ, 1947, №1, с. 126.

[93] Кахидзе А. Восточное Причерноморье в античную эпоху. Бат., 1981, с. 53.

ნის სამაროვანზე დიდი რაოდენობით ნაპოვნი მინის მძივები. მათი მრავალფეროვნება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი ტანსაცმლის შესამკობ მასალად იყო გამოყენებული. აქვე ტანსაცმლის შესამკობად უნდა ყოფილიყო გამოყენებული ოქროს კილიტები და ვერცხლის საკინძი. აქვე აღმოჩნდა ოქროს რგოლსაკიდები, ოქროს მძივები, ვერცხლის სამაჯურები, მძივსაკიდები, ბრინჯაოსა და გიშრის მძივები და ა.შ.[94]

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ვერცხლის მასიური ქამარი. რომელიც დედალ-მამალი ბალთისა და თხუთმეტი მართკუთხა სეგმენტისაგან შედგება. სეგმენტები ერთმანეთს უკავშირდება ღერაკებიანი სახსრებით. ბალთა ზემოაღწერილი ბალთის იდენტურია. სეგმენტებზე კი ამოტვიფრულია ელიფსები, რომელთაც ირგვლივ შემოყვება წერტილოვანი წრეები. ელიფსები დაფარულია შავი სევადით გადმოცემული მცენარეული ორნამენტებით. ზოგიერთ მათგანზე კი მოცემულია ორ ნახევარმთვარეში ჩასმული ყვავილის გამოსახულება. სეგმენტების კუთხეებში ვერცხლის მოდიდო წერტილებია ამობურცული.

ვერცხლის ქამრებს ოქრომჭედლები ტრადიციული სევადით ამკობდნენ. სევადით ამოავსებდნენ ვერცხლის ნივთებზე ამოკვეთილ ორნამენტს. სევადი კეთილშობილი ლითონის შემკობის ნამდვილად ადგილობრივი, ქართული და კავკასიური ხერხია, რომლის ისტორიაც საქართველოში სულ ცოტა ორიათას წელს ითვლის.[95]

მთხრობლები მიუთითებენ, რომ აღნიშნული ტიპის სარტყლები, ახალციხის გარდა, ბათუმშიც მზადდებოდა.

საქალებო გრეხილური ქამრები, ახალციხურის სახელით, გავრცელებული იყო მთელ სამხრეთ საქართველოში, აგრეთვე

---

[94] ა.კახიძე. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, გვ. 60-78; მისივე, Восточное Причерноморье в античную эпоху, с. 48-54; სამკაულთა შესახებ დაწვრილებით იხ: Кахидзе А. Основые результаты археологического исследования Пичвнарского могильника 4 века до н.э.

[95] ი.გაგოშიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ასეთი ქამრების დიდი კოლექცია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

აჭარული ვერცხლის ქამრები სრულ მსგავსებას ამჟღავნებს მესხურ ვერცხლის ქამრებთან. ასევე, მათ პარალელი ეძებნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

ამგვარად, არქეოლოგიური მასალა ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამოსელის შემკობასა და სამკაულს აჭარაში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. ამავე დროს აჭარული სამკაული დამოუკიდებლად და კარჩაკეტილად როდი ვითარდებოდა. იგი ხარბად იღებდა და ითავისებდა მეზობელი ხალხების მიღწევებს ამ დარგში, მაგრამ მას ადგილობრივ იერსახეს აძლევდა. ძველქართული ნიმუშების გვერდით ზემო აჭარაში გავრცელებული იყო არქართული სამკაულიც (მონეტებიანი ყელისა და შუბლის სამკაული, ფილიგრანული საკიდები ნახევარმთვარის გამოსახულებით), რაც შესაძლოა ოსმალთა ბატონობის პერიოდს უკავშირდება, აჭარაში ფიქსირებული სამკაულები მნიშვნელოვნად ამდიდრებს საერთოდ ქართული სამკაულის შესწავლის ისტორიას.

თავი III
მამაკაცის ტანსაცმელი

აჭარელი მამაკაცის მთისა და ბარის ზონის ტანსაცმელი ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. თუ ბარის ზონაში გავრცელებული იყო ჩაქურა, ყაბალახი და "აზიაცკები" ზემო აჭარაში მისი ადგილი საოჯახო წესით ნამზად ჩოხა-შალს და წუღა-ქალამნებს ეჭირა.ბარის სუბტროპიკული ჰავის გავლენით აქაური მოსახლეობა შედარებით მსუბუქად იცვამდა, მთის ზონის მოსახლეობა კი თბილად.

მამაკაცის ტანსაცმელში მკვეთრად იყო გამოხატული წოდებრივი ნიშანიც. სოციალურად აღზევებული ფენის წარმომადგენელთა ტანსაცმელი ძვირფასი მაუდისაგან იკერებოდა და ვერცხლის ქამარ-ხანჯალით იმკობოდა.

ჩაქურა წელს ზემოთ ჩასაცმელი იყო და ფაქტიურად ჩოხის ზედატანს წარმოადგენდა. სწორედ ამ ნიშნის გამო ითვლებოდა იგი მოხერხებულ, გეოგრაფიულ პირობებთან შეხამებულ ჩასაცმელად.

მთხრობელთა მინიშნებით, სამოსის ამ სახეობის სახელწოდება დაკავშირებულია ჩაქვთან, სადაც პირველად დაუწყიათ ჩაქურას კერვა, აქედან კი გავრცელდა მთელ აჭარაში, ლაზეთში და გურიაში. შესაძლებელია მისი პირვანდელი სახელწოდება ჩაქვურა ყოფილიყო და შემდეგ მან სახეცვლილება განიცადა და იგი ჩაქურად დამკვიდრდა. თუმცა ამის დამადასტურებელი სხვა ცნობა არ გაგვაჩნია.

ჩაქურას კომპლექსში, გარდა საკუთრივ ჩოხისა, შედიოდა ზუბუნი (მეტწილად ღია ფერისა) – ორჯიბიანი ახალუხის ტიპის სამოსი, შარვალი, თალაბულუსის სარტყელი (კუბოკრული), ზანკლები (პაჭიჭი), წინდები და ტყავის ჭვინტიანი ფეხმაცმელი ლაფჩინი. დანაოჭებული შარვლის შესაკვრელად "ხონჯარს" იყენებდნენ.

ჩაქურა მეტად მოხდენილ ჩასაცმელს წარმოადგენდა. მას დიდი პატივით ატარებდნენ შეძლებული პირებიც.

ჩაქურას რამდენიმე ნიმუში დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. თითქმის ყველა მათგანი დამზადებულია ფაბრიკული მაუდისაგან და შემკულია სირმაქსოვილი ყაითნებით. აქვს სამასრეებიც. ტანსაცმლის მასალა და შემკულობის ხარისხი მიგვანიშნებს, რომ იგი იყო რიგითი მამაკაცის ტიპიური სამოსელი. საერთოდ კი მამაკაცის ტანსაცმელი ქალის სამოსელთან შედარებით ერთფეროვნებით გამოირჩეოდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მთიელი მამაკაცის ძველებური ჩაცმულობის მთლიანი კომპლექტი, რომელიც მიკვლეულია 1970 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ სოფელ საციხურში (ღორჯომის ხეობა, ხულოს რაიონი).

ტანსაცმლის კომპლექსში შედის: ჩოხა, შალი (შარვალი), ზუბუნი, წუღა, ქალამანი, ზანკალი, ყაბალახი. იგი ეკუთვნის 96 წლის ზექერია ფერათის ძე მარკოიძეს, ჩოხა-შალი მოქსოვილია მისი მეუღლის მიერ 90 წლის წინათ, ხოლო შეკერილია დაბა ხულოში.

ჩ ო ხ ა შავი ფერისაა, გულისპირი წინ გახსნილია და იკვრება სამი მეტრის სიგრძის შინ ნაქსოვი ხვანჯრით ან ყაითნით. მას წელზე ორჯერ შემოიხვევდნენ და შეიკრავდნენ. გულის ორივე მხარეს დაკერებულია ჯიბეები სამასრეებით. ჩოხას ზურგზე და მკლავებზე სიმაგრისათვის დაკერებული აქვს მეორე პირი, რომელზედაც შემოვლებულია ყაითანი. შავი ფერის ჩოხას არშიად ხშირად მწვანე ფერის ყაითანს უკეთებდნენ -– "შავ ფერს მწვანე ყაითანი უხდებოდა"

ფერთა შეხამებას დიდი ყურადღება ექცეოდა. შეძლებულ პირთა ჩოხა უფრო მეტად იყო შემკული ყელთან, მაჯებთან, სამასრეებთან. აღწერილ ჩოხას სახელო მიდგმული აქვს მხრიდან ქვემოთ 10 სმ-ის დაშორებით. სახელოს სიგრძე მოკლეა ისე, რომ ზუბუნის სახელო გამოჩნდეს. ჩოხა-შალი შეკერილია თარგის გარეშე. ზომების აღება თვით ტანზე მიზომების წესით ხდებოდა. იგი ორმაგად ნაქსოვია.

ჩოხა სარჩულიანიც იკერებოდა და უსარჩულოც. შეძლებულ პირთა ჩოხა ძვირფასი საპირეთი და სარჩულით – თარგი

ყველა შემთხვევაში ერთი იყო. ჩოხა უმეტესად ოჯახში იკერებოდა. მის გამოჭრა – კერვას სოფლად რამდენიმე პირი მაინც იყო დაუფლებული. ხულოს ცენტრში არსებობდა სამკერვალოც, სადაც ძირითადად ბერძნები მუშაობდნენ.

ჩოხისათვის ჯერ ზურგი გამოიჭრებოდა სწორი განებით, შემდეგ გვერდები და სახელოები. ჩოხა იკერებოდა "კედი ძაფით"[1] იგი ტანზე მჭიდროდ მორგებული უნდა ყოფილიყო. ჩოხის ასეთი თარგი უფრო თვალსაჩინოს ხდიდა მამაკაცთა ახოვანებას. ვიწრო წელსა და განიერ მხარს.

ჩოხას განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებდა ფერადი სირმებით მოყაითნული სამასრეები, რომლებშიც ხის ან სპილოს ძვლის მასრები იყო ჩაწყობილი.

ე.სტუდენეცკაიას აზრით სამასრეები წარმოიშვა XIX ს. დასაწყისში. მანამდე ატარებდნენ წელზე ან მხარზე გადაკიდებულ ფალასკას. XIX ს. ბოლოდან კი ხუთსასროლიანი შაშხანის გამოგონებასთან დაკავშირებით სამასრეებმა დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა და იგი შემორჩა როგორც მორთულობის ელემენტი.[2]

კ.ჩოლოყაშვილი სწორად შენიშნავს, რომ "ქართულ ეროვნულ ჩაცმულობაზე შრომისა და ბრძოლის დაღია დაჩნეულიო".[3]

თურქეთში მცხოვრები ქართველებიც და ლაზებიც წლების განმავლობაში ინახავდნენ ძველ ნაციონალურ კოსტუმს, რომელიც მსგავსია ჩვენ მიერ აღწერილი კოსტუმისა. ისინი ატარებდნენ მუქი შალის ქსოვილისაგან დამზადებულ შარვლებს, რომლებიც ფეხზე მჭიდროდ შემოკრული იყო, იმავე ქსოვილისაგან შეკერილ ვიწრო ზედა ჩასაცმელს, რომელიც შემკული

---

[1] "კედი ძაფი" სელის ან კანაფის ნართს ეწოდება.
Студенецкая Е. Одежда. Культура и быт народов Северного Кавказа (1917-1967) М.,1968, с. 153

[3] კ.ჩოლოყაშვილი. ქართველი მამაკაცის სამოსისა და საჭურვლის ზოგიერთი ელემენტის მსგავსება-ურთიერთკავშირის შესახებ, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე. ტ. XXIV-ბ, თბ., 1968, გვ. 303.

იყო სამასრეების ორი ჯგუფით, ფერადი აბრეშუმის ქამარს, თავზე კი ყაბალახს იხურავდნენ, რომლის ბოლოები ირგვლივ შემოხვეული და კვანძად განასკვული იყო.[4]

ტერმინი "ჩოხა" ქართულში IX-X ს-დან ჩნდება. როგორც ივ.ჯავახიშვილი ფიქრობდა უფრო სპარსულიდან უნდა იყოს შემოსული, ვიდრე თურქულიდან.[5] ამასთანავე ჩოხას აქვს სამი გაგება: იგი წარმოგვიდგება როგორც ხალხური ზედა სამოსის ერთ-ერთი სახე, მონოზონთა შესამოსელი და შალის ერთ-ერთი ქსოვილის სახეობა.[6]

ასეთივეა ჩოხა-შალის ხალხური ახსნა. მოთხრობელთა გადმოცემით ჩოხა-შალი ეწოდება როგორც ჩასაცმელს, ასევე ქსოვილს.[7] მატყლის ქსოვილის აღმნიშვნელი სიტყვა ჩოხა-შალი შემდეგ ამ ქსოვილისაგან დამზადებულ ჩასაცმელს შეერქვა.

ჩოხა რომ ჩასაცმელსაც ერქვა და ქსოვილსაც, ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიც. მასში ჩოხა განმარტებულია, როგორც მატყლის სამოსელი, ხოლო საჩოხე "შალია მსხვილი, გინა წმინდა, საკაბეთ მონაზონთა და გლეხთა ჩასაცმელი", ხოლო თვით სიტყვა "შალი" განმარტებულია, როგორც მატყლის ნაქსოვი.[8]

შარვალი უკან ძალზე დანაოჭებულია, მასზე ათი ადლი ქსოვილია დახარჯული. ექვსი ადლი მარტო უკანა დანაოჭებულ ნაწილზე მოდის. შარვალი შედგება ორი ტოტისა და ირიბად აჭრილი ორი ნაწილისაგან, რომელიც შარვლის ტოტებში შიგა მხრიდანაა შედგმული. შემდეგ აღებულია ხუთი ერთნაირი ზომის (მართკუთხედის ფორმის) ნაჭერი, რომლებიც ერთმანეთზეა დაკერებული. უბის წინა მხარის სისრულისათვის კი

---

[4] Народы Передней Азии. Народы мира, М., 1957, с. 375.

[5] ივ.ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, გვ. 9.

[6] ი.ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[7] ი.სამსონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[8] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928, გვ. 289.

სამი ერთნაირი სიშორის ნაჭერია აღებული და შეერთებულია უკანა უბესთან. "უკანა 5 განი წინა 3 განთანაა" შეერთებული და შეერთების ადგილას ნაოჭია ასხმული ანუ "დაყათულია" (დაკეცილი). გამზადებულ უბეს შეუდგამდნენ შარვლის ტოტებს. უბის წინა მხარე უკანასთან შედარებით ნაკლებად დაკეცილია. შარვალს ჯიბეები არ აქვს, ჯიბის ადგილები ჩახსნილია და ირგვლივ მას მისივე ქსოვილის მეორე პირი აქვს დაკერებული გაცვეთისაგან დაცვის მიზნით. შარვალს მუხლთან სარაჯები აქვს დაკერებული. ყველა ნაკერი მისთვის ფერის "ყაითნითაა მოყაითნული" და შეკერილია შალისავე ძაფით. ასეთ შარვლებს ღორჯომში ზოგჯერ "დუმიან შარვალს" და მუზიკალს ეძახდნენ.

დუმიანი შარვლები ცნობილია მესხეთ-ჯავახეთშიც, მაგრამ აქაური დუმიანი შარვალი სხვა შარვლებისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ შარვლის უკანა უბეზე გრძლად დაყოლებული ჰქონდა ათი ხელის დადება დაკეცილი შალის ნაჭრები, რაც შარვლის უკანა ნაწილს ცხვრის დუმის მოყვანილობას აძლევდა. ამიტომ ეძახდნენ ამ სახის შარვალს დუმიანს.[9]

შარვალს აქვს "ჭრელი ხვანჯარი" საერთოდ ხვანჯარი შარვლის ფერისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. უფრო მიღებული ჭრელი ანუ სახიანი ნაქსოვი იყო.

აბრეშუმის ხვანჯარი მზითვის აუცილებელ კომპონენტს შეადგენდა ამისათვის თ.სახოკიას მიუქცევია ყურადღება. იგი წერს, რომ "გათხოვებამდე ქალი მზითევში უგზავნის თავის ხელით მოქსოვილ აბრეშუმის ხვანჯარს თუ შესაძლებელია აბრეშუმისავე პერანგს, მის ამხანაგს და ქისას".[10]

აღწერილი სახის შარვალი საერთოდ ხვანჯრით იკვრებოდა. შარვლის ბოლო გადაკეცის გარეშე ყაითანმოვლებულია. ჩოხა-შალი ხელით შეკერილია, შეღებილია შეკერვამდე.

---

[9] ლ.ბარამიძეშვილი, მასალები მე-19 საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, თბ., 1966.

[10] თ.სახოკია, მოგზაურობანი, გვ. 183.

განიერი ფართო უბიანი შარვლები XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. პირველ ათეულ წლებში გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც (კახეთში),[11] მაგრამ მათგან განსხვავებით საკუთრივ აჭარული ჩაქურა მეტად თავისებური თარგისაა და მსგავსი სხვა კუთხის ყოფაში არ მოწმდება. მისი უბე ძლიერ განიერია, ტოტები კი ვიწრო. უბესთან წელამდე ჩადგმული აქვს მართკუთხედის ფორმის ნაჭერი, რომელიც უბეს აძლევს სისრულეს. უბის ქვემო ნაწილი ოვალურია. აჭარული ჩაქურა მსგავსია გურული ჩაქურისა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ გურული ჩაქურა სწორია და ნაკლებ სრული.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ჩანს შარვლის აღმნიშვნელი ტერმინი შალი. ამ ტერმინით აღინიშნება მატყლის ქსოვილი ქართულ და რუსულ ენებზე. შალი იხმარება სხვა ხალხებშიც ქსოვილის გარკვეული სახის აღსანიშავად. ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ირანში მცხოვრები ქურთებიც შარვალს შალს ეძახიან.[12] ხოლო წინა აზიის ზოგიერთ ხალხში, დასავლეთ ხაზარებში შალი უხეში მაუდისაგან დამზადებული ზედა ჩასაცმელია.[13]

ზუბუნი – ჩოხის შიგნით ჩასაცმელი ზედატანია, სარჩულიანი, წელამდე მწვდომი, გულის ქვემოთ ორი ჯიბით. ზუბუნის საყელო და საგულის ნაწილი ჩოხაში მოჩანს. ამიტომ ეს ნაწილი ძვირფასი, აბრეშუმის ქსოვილისაგან იკვრებოდა. ერთ ადლ აბრეშუმში ხუთუ ზუბუნის საგულე გამოდიოდა. მას ჰქონდა აგრეთვე სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ძაფით დაქარგული მრგვალი საყელო, რომელსაც მეორენაირად "იახას"[14] ეძახიან. სამაჯურებიანი სახელო, ჩოხის სახელოსთან შედარებით გრძელია. ზუბუნი წინ გახსნილია და ადგილობრივ დამზა-

---

[11] გ.ჩაჩაშვილი, ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტუმი მე-19 საუკუნისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-ა, თბ., 1957, გვ. 383.

[12] Аристова Т. Опыт сравнительного изучения материальной культуры курдов. СЭ, 1970, №4, с. 50.

[13] Народы Передней Азии, Народы мира, 1957, с. 116.

[14] იახა (уака) თურქული ენიდან შემოსული ჩანს და ნიშნავს "საყელოს", "გადმოკეცილ საყელოს" (Магазанник Д., დასახ. ნაშრომი).

ღებული ხის ან ნაყიდი ღილებით იკვრება. საზუბუნე ქსოვილად აღრე შინ ნაქსოვ შალს, შემდეგ კი შავ სატინას ან ყარამანდულას ხმარობდნენ. სასიძო უმეტესად "მანთინის ზუბუნს" იცვამდა. ზუბუნი სხვადასხვა იყო ზამთარ-ზაფხულის მიხედვით. საზამთრო ზუბუნი დაბამბული იყო, ხოლო საზაფხულო – უსახელო და დაუბამბავი. ზუბუნი თურქეთში მცხოვრები ქართველების ჩაცმულობაშიც შედიოდა.[15]

ზუბუნმა განვითარების პროცესში ევოლუცია განიცადა. პირველად იგი საგულეს სახით გვევლინება. საგულე მხოლოდ საყელოს წარმოადგენდა და უკან ბაიღებით იკვრებოდა. თანდათანობით განვითარების შედეგად იელეგი მივიღეთ. იგი ზუბუნის წინასაფეხური ჩანს და თარგის მიხედვითაც ზუბუნის მსგავსია, მხოლოდ იელეგი სახელოების გარეშე იკერებოდა. თანდათან იელეგს სახელოები მიედგა, უკან, წელის არეში ნაოჭები გაუკეთდა და ზუბუნად იქცა. მისი გულისპირი შეიმკო აბრეშუმის საგულეთი ან ნაირფერი აბრეშუმის ძაფებით გამოყვანილი მცენარეული თუ გეომეტრიული ორნამეტებით.

დამახასიათებელია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ირანში მცხოვრები ქურთებიც ზედა ჩასაცმელს ელეგს ეძახიან.[16]

ი.ციციშვილის აზრით ქართული ზუბუნი და უკრაინული "ზიპუნ"-ი არაბული სიტყვის ჯუბის სახესხვაობაა[17] და ნიშნავს ზედა გრძელი კაბის მსგავს ჩასაცმელს.[18]

ნიშანდობლიეა ის, რომ სომხეთის დასავლეთ პროვინციებში, კერძოდ ვანის ტბის აუზში, ზუბუნი (зипун) ქალის კაბას[19] ეწოდება.

---

[15] შ.ფუტკარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

[16] Аристова Т., დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

[17] ი.ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[18] Магазанник Д., დასახ, ნაშრომი, გვ. 105.

[19] Лисициан С. Очерки Этнографии дорсволуционной Армении. Кавказский Этнографический сборник, М., 1955, №1, с. 229.

ტერმინების იელეგ და ზუბუნ კვლევა ცალკე ენათმეცნიერული კვლევის საგანს შეადგენს და მას აქ არ შევეხებით.

თავსაბურავიდან ჩოხა-შალის აუცილებელ ატრიბუტს ყაბალახი წარმოადგენდა. ყაბალახს მატყლისაგან ქსოვდნენ. ერთ ყაბალახს 3-5 ადლი ქსოვილი სჭირდებოდა. მისი კიდურები შემკული იყო სხვადასხვა ფერის ყაითნით, ოქრომკედით, სირმით, ბოლოებზე ფუსკულებს (ფუნჯებს) უკეთებდნენ. ხშირად ყაბალახი ფეიქრული ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს წარმოადგენდა. საყაბალახე ქსოვილი იქსოვებოდა ორმაგი და ერთმაგიც. ორმაგი ძვირადღირებული იყო. უპირატესობა ენიჭებოდა შავსა და წითელ ფერს. დიდი მოწონება ჰქონდა ოსმალური სკალატისაგან შეკერილ ყაბალახს. ამ სახის ქსოვილი თურქეთიდან შემოჰქონდათ.

ყაბალახის მოხვევას თავისი წესი აქვს და საკმაოდ რთულიც თავზე ჩამოიცვამდნენ ყაბალახის იმ ნაწილს, რომელიც გაკერილი იყო და კუთხეს ქმნიდა, ხოლო ყაბალახის მარცხენა ყურს მარჯვნივ უკან შემოტარებით მარცხენა მხარემდე შემოიხვევდნენ. მარცხენა ყურის შემოხვევაც იმავე წესით წარმოებს, ოღონდ საწინაამღდეგო მიმართულებით. გვერდზე შემხვედრი ყაბალახის ორივე ყური გაინასკვება.

თავი IV
თავსაბურავი

აჭარელი ქალის ჩაცმულობას დასრულებულ სახეს აძლევს რთული და მრავალნაწილიანი თავსაბურავი, რომელიც ჩაცმულობის მეტად მნიშვნელოვანი და არსებითი ელემენტია.

აჭარელი თავის დაბურვას თმების დავარცხნითა და ნაწნავების გაკეთებით იწყებდა. ნაწნავთა სიმრავლე კი დამოკიდებული იყო თმების სიხშირეზე. უფრო მიღებული იყო ოთხი ან ექვსი ნაწნავის ტარება. ხანშიშესული მანდილოსანი ორ ნაწნავს იკეთებდა. გასათხოვარი და გათხოვილი ქალი ერთმანეთისაგან ნაწნავთა სიმრავლით განირჩეოდა. ახალგაზრდა გასათხოვარი ქალი რამდენიმე ნაწნავს ატარებდა, ხოლო გათხოვილი – ორს. ქალს გათხოვებიდან 1-2 თვის მანძილზე შეეძლო ოთხი ან ექვსი ნაწნავის ტარება, შემდეგ ორ ნაწნავს იკეთებდა და ასე სიკვდილამდე უნდა ეტარებინა. სრულწლოვანი გასათხოვარი და გათხოვილი ქალები ნაწნავში ზოგჯერ ჭრელ შინნაქსოვ თორსა და ძეწკვზე ასხმულ მონეტებს ჩაიტანდა. მონეტების რაოდენობა ქალის შეძლებულ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. გასათხოვარ ქალს მონეტების რიცხვის სიმცირე აშკარად ეტყობოდა, მაშინ როცა გათხოვილი ქალი ქმრის მიერ ნიშნობის დროს მოტანილი მონეტებით შეივსებდა ნაწნავებს.

ცნობილია, რომ ქალის ჩაცმულობიდან ვარცხნილობა და თავსაბურავი ყველაზე მეტი კონსერვატულობით ხასიათდება. ამ მხრივ თმის ვარცხნილობის აჭარაში დადასტურებული წესი, რაც გრძელი ნაწნავებისა და წინ კულულების დაყენებაში მდგომარეობდა, ემსგავსება ძველად საქართველოში არსებულ თმის დაყენების წესებს. თუმცა, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით აჭარელი ქალის ეს ქართული ვარცხნილობა უცხო თვალისათვის მიუწვდომელი იყო. ნ.ჩოფიკაშვილი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა VI-XIV ს.ს. ქართული კოსტუმი, ვარცხნილობის წესებსაც შეეხო. იგი ანალიზს უკეთებს ფრესკებზე გამოსახულ თმის დაყენების წესს ძველად

საქართველოში და აღნიშნავს, რომ ქალები VII-XI ს.ს. ფრესკებზე თავდაბურულნი ჩანან. ამიტომ მათი ვარცხნილობის შესწავლა ძნელდება. XI-XIV ს.ს. ფრესკული მასალის ანალიზისას კი იგი თმის ვარცხნილობის სამ წესს გამოყოფს: პირველია სახის ორივე მხარეს მოკლე რკალებად ჩახვეული თმები (რკონისა და მღვიმის ფრესკები), მეორე-კავები (ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი), და მესამე – ჩვეულებრივი ნაწნავები (ჯრუჭის სახარების მინიატურა, რკონი).[1]

აჭარელი ქალის ვარცხნილობა, ამ მხრივ, ძველად საქართველოში არსებულ ვარცხნილობის პირველი და მესამე წესის ანალოგიურია.

ნაწნავი საერთოდ ქართველი ქალის ვარცხნილობის მთავარი ელემენტი იყო. მაგ., ორ ნაწნავს იკეთებდა კახელი ქალი და მხრებზე გადაიყრიდა. თმის ნაწილს დაგრეხილი სახით წინ ჩამოიშვებდა.[2] თმის მსგავსი ვარცხნილობა კახეთის გარდა ქართლშიც არსებობდა. XIX-XX ს.ს. დასაწყისში ნ.გვათუას ცნობით თმის შუაზე გასაყოფი ჩხირიც არსებობდა, რომელსაც თმის საყოფი ჩხირი ეწოდებოდა.[3]

აჭარელი ქალის თმის ვარცხნილობის, კერძოდ სახის ორივე მხარეს კულულების დაყენების მსგავსი წესი არსებობდა თუშეთშიც,[4] ხევსურეთში, ფშავში,[5] აფხაზეთში კი ნაწნავთა რაოდენობა ერთიდან სამამდე აღწევდა, რომლებიც ხან ზურგზე იყო გადაშვებული, ხან კი თავის ირგვლივ შემოხვეული. გრძელი თმები აფხაზეთში სილამაზის მანიშნებელი ყოფილა და გრძელნაწნავიანი ქალებიც განსაკუთრებული პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობდნენ .[6]

---

[1] ნ.ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.
[2] დ.ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, გვ. 212.
[3] ნ.გვათუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.
[4] ც.ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი..., გვ. 136.
[5] იქვე. გვ. 138, 168.
[6] Аджинджал И., დასახ. ნაშრომი, გვ. 373.

ამგვარად, როგორც განხილული მასალიდან ჩანს, თითქმის მთელ საქართველოში თმის ვარცხნილობის ერთნაირი წესი არსებობდა. ამ წესს კავკასიის სხვა ხალხებიც, კერძოდ, აზერბაიჯანელი[7] და სომეხი[8] ქალებიც იცნობდნენ.

ლ ე ჩ ა ქ ი. ძველად ათი წლის ასაკიდან გოგონას თავს დაახურავდნენ ლეჩაქს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში იგი განუყრელად ატარებდა მას. თავბურვა ლეჩაქით იწყებოდა, რომელიც ქალის ერთი ოჯახური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის გამომხატველ ელემენტად იყო მიჩნეული. გოგონას გათხოვებამდე შეეძლო პატარა თავსაფრით ანუ თავჩითით სიარული, მაგრამ დანიშნულ ან გათხოვილ ქალს ამის უფლება უკვე აღარ ჰქონდა. მასალის მიხედვით ლეჩაქი ორი სახისა არსებობდა: მარმაშისა და დოლბანდისა. მოსახლეობის მწარმოებლური ფენები უმეტესად დოლბანდს ხმარობდნენ. ლეჩაქის აღიარებული ფერი იყო თეთრი და მას გამოჭრის თავისი წესი ჰქონდა, რომელიც თითქმის ყველა ქალს შეეძლო. ლეჩაქი ძირითადად სამკუთხა და ოთხკუთხა ფორმის მზადდებოდა. თავისებური იყო ლეჩაქის მოხვევის წესიც. ის ისე უნდა დაეხურათ, რომ მისი ერთი ყური ნიკაპთან შეკეცილი, მეორე კი უკან გადაშვებულიყო, მესამე ყურით ყელთან შემოიხვევდნენ და შიგნით შეკეცვით იმაგრებდნენ. უკან გადაშვებული ყური ლეჩაქში ფეშტემლის ბაღში მაგრდებოდა. ლეჩაქი შემკული იყო ლითონის ფირფიტებით და აბრეშუმის ძაფით. XIX ს. 30-იანი წლების მონაცემებით აჭარაში თეთრი ლეჩაქის გარდა სახეებიანი, ანუ პეპლებიანი ლეჩაქიც ყოფილა ხმარებაში.[9]

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით "ლეჩაქი კუბასტი, დედათ თავსაბურავი, ხოლო კუბასტი – ლეჩაქია"[10] მაგრამ ივანე ჯავახიშვილმა საბასეული განმარტება მცდარად ჩათვა-

---

[7] Азербайджанцы, Народы Кавказа, II, с. 124.

[8] Армяне, Народы Кавказа, II, с. 516.

[9] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ.III, ნაწ.I, გვ. 260.

[10] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I.

ლა და დასძინა: საბას განმარტების თანახმად ლეჩაქი ძველისძველ თავსაბურავად უნდა მიგვეჩნია, რადგან კუბასტი V ს. წერილობით ძეგლში ("შუშუანიკის წამება") იაკობ ხუცესს აქვს მოხსენიებული. ამდენად კუბასტი ლეჩაქი კი არ არის, არამედ კვართია. ამავე დროს ივ.ჯავახიშვილის აზრით ლეჩაქი უძველეს ძეგლებში ჩანს, იგი XVII ს. ძეგლებშიც გვხვდება. თუმცა, აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის გამო, ეს ტერმინი ძველისძველი უნდა იყოს.[11]

ლეჩაქი ვახუშტის დროიმნდელ საქართველოშიც იხმარება. ისტორიკოსი წერდა: "ქალწულთა... ქუდი ანუ ლეჩაქი, არამედ ქმროსანთა კავსა ზედა ღაწვს აძესთ თმა შეწნული, მსხვილი, იმიერ და ამიერ, და ყბას ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურენ, და ჰბურავთ მასზედ ლეჩაქი".[12]

აჭარაში ლეჩაქის მოხმარების ფაქტს აღწერენ XIX ს. II ნახევრის მოგზაური-მკვლევარები ზ.ჭიჭინაძე და თ.სახოკია. ზ.ჭიჭინაძე მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის. იგი წერდა, რომ ოსმალთა პერიოდში ლეჩაქის მაგიერ შემოიღეს ფესი ნიშნად მა.მადიანობისა. თუმცა, აჭარელმა ქალებმა იუარეს ფესის ტარება. ჩანს, ლეჩაქი აჭარელთა ძველებურ ჩაცმულობასთან იმდენად შესისხორცებული ელემენტი იყო, რომ ისლამის რეჟიმმა ვერ შესძლო მისი განდევნა ხმარებიდან. თ.სახოკია ლეჩაქის დახურვის წესსაც აღწერს, მაგრამ არაფერს ამბობს მისი ფერისა და დახურვის შესახებ.[13] მიუხედავად აღნიშნული ძუნწი ცნობებისა, თ.სახოკიასა და ზ.ჭიჭინაძის ცნობათა მნიშვნელობა მაინც დიდია, რადგან სხვა წყარო, რომელშიც ლეჩაქის აჭარაში მოხმარების ფაქტი იყოს აღნუსხული, არ მოგვეპოვება. ლეჩაქი მთელ საქართველოში ერთნაირად გავრცელებულ თავსაბურავს წარმოადგენდა.

---

[11] ივ.ჯავახიშვილი, მასალები..., გვ. 134.
[12] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.
[13] თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 193.

აჭარის მსგავსად, მესხეთ-ჯავახეთშიც ლეჩაქს მხოლოდ გათხოვილი ქალი ატარებდა. მას სამკუთხა თავსაფრის ფორმა ჰქონდა. მესხურ ლეჩაქს ლ.ბარათაშვილი ძველ ქართულ თავსაბურავად მიიჩნევს.[14] აჭარული ლეჩაქის მსგავსია ქართლ-კახეთში გავრცელებული ლეჩაქის ფორმა.[15] კახეთში ლეჩაქს სხვადასხვა სახის ორნამენტით ამკობდნენ.[16]

ლეჩაქს ხმარობდნენ საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობაც, კერძოდ თბილისელი სომეხი ქალები.[17]

ამგვარად, ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურული მონაცემების შედარებით დგინდება, რომ აჭარული ლეჩაქი ძველი ქართული თავსაბურავია, რომელიც აჭარის მთამ დღემდე შემოგვინახა.

თავსაკრავი. ლეჩაქის თავზე თორის, იგივე თავსაჭირით იმაგრებდნენ. შუახევის რაიონში მოპოვებული მასალების მიხედვით მას ზოგჯერ თავსაკის უწოდებდნენ. თორის სრულყოფილი ნიმუშის აღწერილობა მოგვაქვს ხულოს რაიონის სოფ. ჭკანის მასალების მიხედვით.[18] თორი მუყაოსაგნაა დამზადებული. 3 სმ. სიგანის მუყაოს გამოჭრიდნენ თავის ზომის მიხედვით და ბოლოებს ძაფით შეკრავდნენ. შემდეგ, ზემოდან მას ძვირფას ქსოვილს გადააკრავდნენ. უპირატესობა ეძლეოდა ნათელ კაშკაშა ფერებს. გადასაკრავ მასალად უმეტესად იყენებდნენ ძვირფას ქსოვილებს: ფარჩას, ხავერდს, ატლასს. ხოლო შესამკობად სხვადასხვა ფერის პატარა ზომის მძივებს. თავსაჭირზე სწორხაზოვნად განლაგებულია მძივებისაგან შედგენილი მზის გამოსახულებანი, რომელსაც ხალხურად ბრდღვიალა ეწოდება. აღნიშნულ თავსაჭირზე მზის ათი გამოსახუ-

---

[14] ლ.ბარათაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[15] ნ.გვათუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 27-29.

[16] ლ.ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, გვ. 211, 212.

[17] Армяне. Народы Кавказа, 11, с. 518.

[18] ი.ჯაბსონია, აჭარელი ქალის თავსაბურავი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, IV, ობ., 1976; მისივე. Аджарский женский костюм. Очерки этнографии Аджарии, Тб., 1982, с. 238.

ლებაა დაქარგული: თეთრი, წითელი, ოქროსფერი, ყვითელი და ა.შ. მათ შორის ჭარბადაა წარმოადგენილი მზის წითელი გამოსახულებანი, მზეთა შორის დარჩენილი სივრცე შევსებულია სამ-სამი ციციქალასაგან შედგენილი სამკუთხედებით, თორის მხოლოდ წინა და გვერდითი მხარეა შემკული, უკანა კი – სადაა.

მუყაოს ნახსენებ თავსაკრავთან ერთად ყოფაში ვხვდებით აგრეთვე ქსოვილის თავსაკრავებსაც, რომელთა დამზადების ტექნიკა უფრო მარტივია, ვიდრე თორისა. თორი ქსოვილის გაორმაგებული ან გასამმაგებულ ნაჭერისაგან მზადდებოდა და მისივე ფერის ძაფის ზიგზაგური ნაკერით ამკობდნენ.

ლეჩაქის სამაგრად ბადისებურ ნაქსოვ თავსაჭირსაც იყენებდნენ უკან გადაშვებული ორი ტოტით. მოსაქსოვად ხის სპეციალურ ხელსაწყოს, რომელსაც კინთი ეწოდებოდა.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით თავსაკრავი (თავსაკრი) თავის შემოსახვევი წვრილი ქსოვილია.[19] თავსაკრავი, როგორც ქალის თავსაბურავის აუცილებელი ელემენტი, არა ერთ ავტორს აქვს მოხსენიებული. დავით ფანასკერტელ-ციციშვილი ქალის თავსაბურავის აღწერისას ლეჩაქ-თავსაკრავს ერთმანეთთან ურთიერთკავშირში მოიხსენიებს.[20] იოანე ბატონიშვილი ქართველი გლეხი ქალის სამოსის დახასიათებისას, უყურადღებოდ არ ტოვებს თავსაბურავის შემადგენელ ელემენტებს და მათ ერთობლიობაში თავსაკრავსაც ასახელებს.[21]

როგორც ცნობილია, თავსაკრავი საქართველოში XVII ს. გვხვდება. კერძოდ, იგი იხსენიება ქსნის ერისთავის ასულის ანას მზითვის წიგნში (XVII ს. მიწურული).[22]

---

[19] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.

[20] ფანასკერტელ-ციციშვილი, მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა, გაზ. "იბერია", 1891, გვ.122

[21] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ.11, თბ., 1948, გვ. 224.

[22] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

როგორც ცნობილია, თავსაკრავი თავსაბურავის ძველი დროიდან მომდინარე ელემენტია. იგი არა მარტო აჭარაში, არამედ სხვადასხვა ფორმით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დასტურდება. მაგალითად, კახეთში თავსაკრავი ვიწრო და გრძელი ზომის გვერდებგადაკეცილ ნაჭერს წარმოადგენდა. თავსაკრავს ქალი ზოგჯერ ჩიხტის დადგმის შემდეგ ირტყამდა, ხშირად კი ჩიხტზე ამაგრებდა. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო შავი, ლურჯი, შინდისფერი ხავერდისაგან შეკერილი თავსაკრავები. გარდა ამისა, აქ კილიტიანი თავსაკრავებიც ყოფილა ხმარებაში. კილიტა ოქროსფერი ლითონის პატარა მრგვალ ფირფიტას წარმოადგენდა, რომელსაც შუაში ნახვრეტი ქონდა, რითაც იგი ძაფზე აიგებოდა და თავსაკრავზე მაგრდებოდა. კილიტის ანალოგიური ფირფიტებით იმკობოდა აჭარული თორიც. მხოლოდ აქ იგი ვერცხლისფერი ლითონისაა და სახელად ციციქალაა მიღებული.[23]

აჭარული თავსაკრავის ზემოთგანხილულ ნიმუშს – თორს კი საინტერესო ანალოგია ეძებნება კასტელის ალბომიდანაც. კონკრეტულად, თორის მსგავსი თავსაბურავი ახურავს 84-ე სურათზე გამოხატულ მეგრელ ქალს გვარად ჩორჩისიას.[24]

როგორც შესადარებელი მასალიდან ჩანს, თავსაკრავი სხვადასხვა ვარიანტებით მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ თავსაბურავის ელემენტს წაროადგენდა. აჭარული თავსაკრავი, თავსაბურავის სხვა ელემენტების მსგავსად, ზოგადქართული ტრადიციების ადგილობრივ მოდიფიკაციას წარმოადგენს.

ფესი თეფელუღი. იგი ლეჩაქის შიგნით სახმარ ნახევარსფეროს ფორმის ქუდს წარმოადგენდა. მას გათხოვილი ქალები ატარებდნენ (ახალგაზრდა გაუთხოვარი გოგონები ფესს არ ხმარობდნენ). ფესი შალის ძაფისაგან მზადდებოდა, რომლის აღწერილობა მოტანილია შუახევის რაიონის სოფ.

---

[23] ლ.ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210, 211; ნ.გვაოუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, 26.

[24] კრისტოფორე დე კასტელი, დასახ. ნაშრომი, სურ. 84.

ჭვანის მასალების მიხედვით. ფესი ნაქსოვია ღია აგურისფერი შალის ნართისაგან, წინდის ნაქსოვ ჩხირზე. ქსოვა წვეროდან დაუწყიათ (წვეროს სიგრძე 3 სმ, სიგანე 1 სმ) და თანდათან გაუზრდიათ თვლების რაოდენობა. ფესის ორივე მხარეს, გვერდებზე, ღილებით მიმაგრებულია საყბურად სახელდებული შავი მძივების ძაფზე ასხმული ოთხი გრეხილი, რომელიც ყბაზე ჰქონდა შემოხვეული. მთხრობელთა გადმოცემით. ფესი აჭარელი ქალის არც თუ ისე გავრცელებული თავსაბურავი ყოფილა. ფესს შიგნით ზოგჯერ პატარა ბალიშის ფორმის ბამბის ან მატყლის ფენას დაუდებდნენ, რომელიც ფესს ჩაზნექისაგან იცავდა და სიმაღლესაც მატებდა. იცოდნენ ფესის მონეტებით მორთვაც, რომელთა რაოდენობაც 5-დან 13-მდე აღწევდა. განსაკუთრებული გულმოდგინებით რთავდნენ მაუდის ფესს, რომელიც მზა სახით შემოჰქონდათ აჭარაში. ერთ-ერთი ასეთი ფესი თეფელუღით ინახებოდა ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (კოლ. 11-13\13), რომელიც მაღალი წოდების ქალის თავსაბურავს წარმოადგენს. წითელი ფერის მაუდისაგან დამზადებულ ფესს ნახევარსფეროს ფორმა აქვს. ფესი მდიდრულადაა შემკული. მის წინა მხარეს ამშვენებს ლითონის 22 ფირფიტა, რომელთა ერთი ბოლო გახვრეტილია და მიმაგრებულია ფესზე. ლითონის ყველა ფირფიტაზე გამოსახულია მცენარეული ორნამენტი, რომლის შუაგულში მოთავსებულია ხუთქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებიანი ფირფიტია.[25]

თავსაბურავის ამ ელემენტის შესახებ არსებული ლიტერატურული მონაცემები შუქს ჰფენს მის გავრცელებასა და ხმარებას აჭარაში, თუმცა ეს მონაცემები ძალზე მცირეა. დ.ბაქრაძე კმაყოფილდება ფესის, როგორც მამაკაცის თავსაბურავის მოხსენიებით.[26] მაგრამ გაუგებარია, საზოგადოების რომელი ფენის თავსაბურავს წარმოადგენდა იგი. უფრო მნიშვნე-

---

[25] ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახ.მუზეუმის საინვენტარო წიგნში ის გატარებულია, როგორც მოოქროვილი ვერცხლის საგანი.

[26] დ.ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

ლოვანი ცნობა ამ მხრივ მოეპოვება ა.ფრენკელს. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ამ კუთხის მკვიდრნი (მხედველობაში ჰყავს მამაკაცები) ატარებენ ნაციონალურ ტანსაცმელს, გარდა თავსაბურავისა (ფესი), რომელზედაც ქსოვილია შემოხვეული. ა.ფრენკელი აქვე შენიშნავს, რომ საერთოდ სომხები ევროპულ ტანსაცმელს იცვამენ, მაგრამ ფესსაც ატარებენო.[27] აქედან ცხადია, რომ ფესი უცხო თავსაბურავი იყო. იგი აჭარაში წარმოადგენდა უპირატესად მამაკაცის მიერ ხმარებულ თავსაბურავს. ა.ფრენკელი ქობლეთელი ქალის ჩაცმულობის აღწერისას თავსაბურავის კომპლექსში ასახელებს წითელ ფესსაც.[28]

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ზ.ჭიჭინაძის აზრი. მკვლევარი დაბეჯითებივ ამტკიცებს, რომ ფესი თურქეთის გავლენის შედეგად არის მიღებული. იგი დაწერილებით აღწერს, რომ 1810 – 1820 წლებში ოსმალებს სურდათ აჭარელ ქალებში შემოეტანათ სხვადასხვანაირი ტანსაცმელი, მაგრამ მათი განზრახვა სრულყოფილად ვერ განხორციელდა. ეს გავლენა მხოლოდ ტანსაცმლის ზოგიერთ ელემენტზე გავრცელდა. ერთხანს ქალები ფესის ტარებასაც შეაჩვიეს. მტკიცე წინააღმდეგობის მიუხედავად ფესი დროებით მაინც შევიდა აჭარელ ქალთა თავსაბურავის კომპლექსში. მაგრამ ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. მ.ჭიჭინაძე მიუთითებს, რომ დაახლოებით XIX ს. 60-იანი წლებისათვის სულ მიატოვეს ქალებმა ჩადრქვეშ ფესის ტარება.[29]

ყოველივე ზემოთქმულს ავსებს და სრულყოფილს ხდის ივ.ჯავახიშვილის განმარტება. ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავს. რომ თეფელუღი ისევეა ნაწარმოები, როგორც მამაკაცის თავსაბურავის სახელი ბაშლუღი. თეფელუღი "თეფე"-სა და "ლუღ"-ისაგან შედგება. უკანასკნელი ფორმანტია, თეფე კი თურქული tepe უნდა იყოს, რომელიც მწვერვალს, ბორცვს,

---

[27] Френкель А., დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[28] იქვე.

[29] ზ.ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

თავსა და ამას გარდა, სპარსელ ქალთა ერთნაირს თავსაბურავსაც ნიშნავსო.[30]

ფესი რომ ქართული თავსაბურავი არაა და იგი თურქულიდან შემოვიდა, ნ.მარის ცნობიდანაც ჩანს. იგი ფესის გავრცელებას თურქეთის ოფიციალურ გავლენას მიაწერს.[31]

აჭარლების მეზობლად მცხოვრებთა ჩაცმულობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულმა ლიტერატურული მონაცემების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ფესი კარგად ცნობილი თავსაბურავი ყოფილა ლაზებშიც. ნ.მარი აქ ხმარებულ თავსაბურავის ზემოთდასახელებულ ელემენტს შემდეგნაირად განმარტავს: "ქალის თავსაბურავი, დაბალი ფესი, ირგვლივ ოქროს მონეტებით შემკული".[32]

ფესი და თეფელიხი\\- თეფელიქი ურუმი ქალწულის თავსაბურავის კომპლექტშიც შედიოდა. ურუმებში გავრცელებული ფესი წითელი ფერის მაუდისაგან იკერებოდა და ხშირად ოქრო-ვერცხლის სხვადასხვა სახის და ფერის მძივებითაც იმკობოდა.[33] ფესის ეს აღწერილობა სავსებით იმეორებს ჩვენს მიერ შესწავლილი ფესის დამახასიათებელ ნიშნებს.

სამხრეთ კავკასიაში ფესი გავრცელებულ თავსაბურავს წარმოადგენდა სომეხი ქალის ჩაცმულობაშიც. ადრე მას პტაკ ერქვა, შემდეგ კი ფესს უწოდებდნენ.

როგორც ცნობილია, ფესის სახელწოდება უკავშირდება ქ.ფესს (მაროკო), სადაც ფართოდ იყო გავრცელებული ფესის წარმოება. ფესი წარმოადგენდა მამაკაცის თავსაბურავს, რომელსაც წაკვეთილი კონუსის ფორმა ჰქონდა. თავდაპირველად იგი გავრცელებული ყოფილა მაროკოში, ალჟირში, ეგვიპტეში, თურქეთსა და წინა აზიის ქვეყნებში. შემდეგ შესულა ალბანეთისა და საბერძნეთის ზოგიერთ რაიონში. ფესი იხმარებოდა

---

[30] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145, 146.

[31] Марр Н. Из поездки в турецкой Лазистан. СПБ.,1910, с. 630.

[32] Марр Н. Грамматика чанского языка с хрестоматиею и словарем, СПБ., 1910.

[33] ლ.ბოჭორიშვილი, წალკელი ქალის თავსაბურავი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956, გვ. 141.

ჩალმის ქვეშ და როგორც დამოუკიდებელი თავსაბურავი წითელი ფესი 1826-1925 წლებში თურქეთში წარმოადგენდა მოხელეებისა და ჯარისკაცების თავსაბურავს.[34]

როგორც ვ.კურილევი გვაცნობს, ფესი 1832 წელს სულთანმა მაჰმედ II-მ გამოაცხადა თურქულ ნაციონალურ თავსაბურავად.[35]

ამგვარად, როგორც ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურული მონაცემების შედარებამ გვიჩვენა, ფესი როგორც ფავსაბურავის ელემენტი და შესატყვისი ტერმინი შემოტანილია თურქეთიდან. მაგრამ ამ თავსაბურავს აჭარის მოსახლეობაში გავრცელების ფართო არეალი არ ჰქონდა. ფესმა ვერ შესძლო ხმარებიდან გაედევნა ქართული თავსაბურავი ლეჩაქი და ყაბალახი, რომელიც ადრინდელი ცხოველმყოფელობით განაგრძობდა აჭარაში არსებობას ფესის გვერდით.

დუვალი და ვალა. ორივე ქალის საქორწილო თავსაბურავია. დუვაღი მუყაოსაგან კეთდებოდა. მას კონუსისებური ფორმა ჰქონდა და ზევიდან ძვირფასი ქსოვილი იყო გადაკრული. დუვაღს ხოჯა კერავდა წითელი ფერის ქსოვილისაგან და წაყვანის წინ დედოფალს გადააფარებდნენ თავზე. დუვაღს ზემოდან ვალას წამოიხურავდნენ. ვალა ფაბრიკული წესით დამზადებული ოთხკუთხედი ფორმის წითელი თავსაფარია. ხმარების დროს იგი ირიბად აიკეცებოდა. ირგვლივ მას თავისივე ფერის არშია უკეთდებოდა.

დედოფალს დუვაღის მოხსნა არ შეეძლო მაყრებისა და სტუმრების ვახშმის დასრულებამდე.

საინტერესოა დუვაღთან დაკავშირებული ხალხში გავრცელებული ერთი ჩვეულება: სასიძოს სახლში პატარძლის ძმა, ან ახლო ნათესავი ვაჟი ქალს მოხსნიდა დუვაღს და გაიქნევდა ქალიშვილების ჯგუფისაკენ. ხალხის რწმენით, ვისაც მოხვდებოდა გაქნეული საქორწილო თავსაბურავი, ის გახდებოდა ამ

---

[34] Большая Советская Энциклопедия, т. 44, с. 648.
[35] Курылев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

ვაჟის საცოლე. საპატარძლო დუვაღის მოხსნა უცხო ვაჟს არ შეეძლო.

აჭარული ჩაცმულობის შესახებ არსებულ იმ მცირე მონაცემებში, რაც ჩვენ ხელთა გვაქვს, დუვაღი და ვალა არსად არ იხსენიება. ამ მხრივ საინტერესოა ჯ.ნოღაიდელის ცნობა დუვაღის, როგორც საქორწილო თავსაბურავისა და მასთან დუვაღის დამზადების შესახებ.[36] შ.ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ "დუვაღი – ძველი სადედოფლო მოსასხამია. საქმროს ოჯახში დედოფალს დუაღს ყამით ახდის ძმა, ბიძაშვილი ან სხვა მახლობელი პირი".[37]

ნ.გურგენიძე აჭარაში გავრცელებულ წამოსასხამის სახელს – დუაღს, თურქული წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს.[38]

საქართველოს სხვა კუთხეებში არსებულ საქორწილო თავსაბურავებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ მსგავსი თავსაბურავი საქართველოში, გარდა ლაზეთისა, არსად არ იყო გავრცელებული. ლაზეთშიც დუაღი კარგად ცნობილი საქორწილო თავსაბურავი ყოფილა. ნ.მარის ცნობით, პატარძლის ახლო ნათესავი და დედამთილი საქორწილო ცერემონიალის დროს დუვაღსმეფე-დედოფლის თავზე ხელით იჭერდა და ფეხით მიმავალ ახალშეუღლებულებს უკან მიყვებოდა.[39] ლაზეთში ხმარებული დუვაღი ჯოხებისაგან მზადდებოდა, რომელზეც აბრეშუმის საფარველს გადააფარებდნენ. დამზადების ტექნიკით იგი განსხვავდება აჭარაში ხმარებული დუვაღისაგან. როგორც ზემოთ ითქვა, აჭარაში არსებული დუვაღი მუყაოსაგან მზადდებოდა. გარდა ამისა, სხვაობა შეინიშნებოდა მოხმარების წესშიც. აჭარაში დუვაღი თავზე ეხურა პატარძალს, ხოლო ლაზეთში იგი ახლადაქორწინებულთა თავზე ხელით ეჭირა პატარძლის ახლო ნათესავს ან დედამთილს.

---

[36] ჯ.ნოღაიდელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 20, 21.

[37] შ.ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ., 1957, გვ. 115.

[38] ნ.გურგენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.43.

[39] Марр Н., დასახ. ნაშრომი, დუვაღი I ა.

დუვაღი და ვალა წალკელ ურუმებშიც გვირგვინის ქვეშ მყოფი პატარძლის საქორწინო ცერემონიალთან დაკავშირებული ელემენტებია. იგი მოხმარების წესით განსხვავებული ჩანს ჩვენს მიერ აღწერილი საქორწილო თავსაბურავისაგან. არსებობს მხოლოდ სახელწოდებათა სრული დამთხვევა და აგრეთვე ორივე თავსაბურავი ქორწილის დროს ხმარებულ ელემენტს წარმოადგენდა. ურუმებში პატარძალი სამი დღის განმავლობაში ვალა-დუვაღით იბურავდა თავს, სამი დღის შემდეგ კი დუვაღი ჩარით იცვლებოდა. ყოველდღიური საჭიროებისათვის განკუთვნილ ჩარს დღესასწაულსა და უქმე დღეებში კვლავ დუვაღი ენაცვლებოდა.[40]

ამგვარად, დუვაღისა და ვალას გენეზისის საკითხზე ძნელდება რაიმე პასუხის გაცემა, რადგან ჩვენთვის ხელმისაწვდომ არსებულ წყაროებში დევაღი და ვალლა ქართულ თავსაბურავად არ მოიხსენება. ისინი უცხო ეთნიკური გარემოდან შემოჭრილი ელემენტებია, რომელიც აჭარელთა ყოფაში დამკვიდრდა. როგორც დავინახეთ, თავსაბურავის ესა თუ ის ელემენტი აჭარაში ქალის სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებდა. ეს განსაკუთრებით გათხოვილი ქალის თავსაბურავში ვლინდება. გათხოვილი ქალის თავდაუხურავად გავლა დიდ სირცხვილად ითვლებოდა და თითქმის შეუძლებელიც იყო. აჭარაში დამოწმებული ეს წესი უნდა უკავშირდებოდეს ძველ საქართველოში არსებული თმის დაფარვის წესს, რომელიც V ს. მოდის. ასე მაგ., ვარსქენ პიტიახშის მიერ შუშუანიკის დასჯის აღწერიდან ჩანს, რომ ქალის თავდაუხურავი სიარული დიდ სირცხვილად და შეურაცხყოფად ითვლებოდა. ვარსქენის ბრძანებით შუშუანიკი ციხემდე თავდაუხურავი მიიყვანეს "ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი" მიუხედავად დიდი სიბრალულისა ვერავინ გაბედა მისთვის თავს დაბურვა.[41]

---

[40] ლ.ბოჭორიშვილი, წალკელი ქალის თავსაბურავი, გვ. 133.

[41] იაკობ ცურტაველი, წამებაი წმინდისა შუშუანიკისი დედოფლისაი, ჩვენი საუნჯე, 1960, გვ. 20.

მომდევნო საუკუნეების რელიეფებსა და ფრესკებზე ქალები თავდაბურული არიან წარმოდგენილნი. მხედველობაში გვაქვს კერძოდ ბანას, უდეს, კუმურდოს, ვალეს რელიეფებზე გამოსახული მანდილოსნები თავსაბურავებით.

ზემოთ ჩამოთვლილ რელიეფებსა და ფრესკებზე გამოსახულ მანდილოსნებს თმები კუბასტით მთლიანად აქვთ დაფარული. თმის დაფარვა ჯრუჭის სახარების მინიატურაზეც გვხვდება.[42]

თმების თავსაფრით მთლიანად დაფარვის წესი მოქმედებდა ძველ აღმოსავლეთშიც, რომლის დარღვევაც ისჯებოდა. საკუთრივ, შუა ასირიის კანონებიდან საინტერესოა ერთი პუნქტი: - "იქნებიან ეს კაცის ცოლები, თუ ...ქალები... ქუჩაში გამოსვლისას თავღია არ უნდა იყვნენ. კაცის ქალიშვილებს... უნდა ჰქონდეთ მოხვეული ან ლეჩაქი, ან ტანისამოსი, თავის ქალბატონთან მიმავალი ხასა ქუჩაში თავდახურული უნდა იყოს" [43]

უძველესი წერილობითი წყაროები და მომდევნო დროის ფრესკული ხელოვნების ნიმუშები იმაზე მიუთითებენ, რომ თმების დაფარვა ქალის მიერ საქართველოში ძველთაგან არსებული წესი იყო. მაშასადამე, აჭარაში დამოწმებული წესი, რომელიც აჭარელ ქალს უკრძალავდა თმების ღიად ტარებას, ასევე ერთ-ერთი ძველქართული ტრადიციის შემონახულობაზე მიუთითებს.

ჩ ა დ რ ი. ჩაცმულობის ეს ელემენტი ოსმალთა ბატონობის დროს გავრცელებული წამოსასხამის ფორმაა. ამ სახელწოდების გვერდით ზოგჯერ გვხვდება ჩარჩაბი[44] და ეჩრამა. ჩადრი დანიშნული და გათხოვილი ქალის ჩაცმულობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენდა. ახალგაზრდა გაუთხოვარი გოგონები ჩადრს არ ატარებდნენ. ჩადრთან ერთად ქალები სა-

---

[42] ნ.ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135, 136.

[43] ი.დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960. შუა ასირიის კანონები, 40, გვ. 87, 88.

[44] ჩარჩაბი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და მუსულმან ქალთა თავსაბურავს, ზეწარს ნიშნავს (Магазаник Д., დასახ. ნაშრომი).

ხის დასაფარავად იყენებდნენ ფეჩს, რომელიც აგრეთვე მოიხსენიება ტერმინებით ჩათხი და ჩარი.[45]

ჩადრისათვის ფაბრიკული ქსოვილების გარდა შინნამზადი შალისა და აბრეშუმის ქსოვილებიც გამოიყენებოდა მასზე ათი მეტრი ქსოვილი იხარჯებოდა, შინნაქსოვი ვიწროგანიანი ქსოვილი კი მეტიც სჭირდებოდა – თითქმის 24 მეტრამდე. იგი იკერებოდა ხელით. ჩადრი ტანზე სრულად უნდა ყოფილიყო მორგებული. ჩადრისთვის ორ ფართო განს ერთმანეთზე მიაკერებდნენ და მთელ სიგრძეზე გაკერავდნენ წინ და უკან. წინა მხარეს იგი წელს ზემოთ მთლიანად გახსნილი იყო, ქვევით კი კაბის ფორმა ჰქონდა. ზოგჯერ კიდევ წინ ბოლომდე ჩახსნილს ტოვებდნენ. ჩადრი თეთრი, შავი და ლურჯი ფერის იყო.

ჩადრის ფორმის მსგავსი სამოსელის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოგვეპოვება ქართულ წერილობით წყაროებში. საბას განმარტებით "აჯილა ქალთ მოსაფარებელი ზეწარია"[46] ზეწარი წამოსასხამის მნიშვნელობით გვხვდება "ვისრამიანში" სახელდობრ, რამინის მიერ ვისისთან გაზავნილი მოციქული "მალვით ქალაქს შევიდა, მერე დიაცურად ზეწარი ჩაიცვა და ვისსა წინაშე ეგრე მივიდა" ან კიდევ, "სამნივე ზეწრით ვითა დედანი, პირდაბურვილნი წავიდეს"[47] ამასთან დაკავშირებით ივ.ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ "ვისრამიანის" ქართველ ავტორს ზეწარი სპარსული ჩადირ ანუ ჩადრის შესატყვისად აქვს ყველგან ნახმარიო.[48]

ივ.ჯავახიშვილი განასხვავებს ქართველ დედოფალთა ტანსაცმელს ბიზანტიურისაგან და საგანგებოდა აღნიშნავს, რომ ქაროულ თავსაბურავში საერთოდ ჩადრი არ იყო წარმოდ-

---

[45] ჩარი სახის დასაფარავი პირბადეა.

[46] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.

[47] ვისრამიანი, ალ.ბარამიძის, პ.ინგოროყვას და კ.კეკელიძის რედ., თბ., 1933, გვ. 109, 312.

[48] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

გენილი. გამონაკლისად იგი ასახელებს ქეთევან დედოფლის ერთადერთ სურათს, რომელიც XVII ს. განეკუთვნება.[49]

ნ.ჩოფიკაშვილი VII-XIV სს. რელიეფებსა და ფრესკებზე წარმოდგენილ ქალთა თავსაბურავის აღწერისას წამოსასხამის ამ ტიპთან აკავშირებს ქვაბისხევისა და მხერის მანდილოსანთა თავსაბურავებს.[50]

XIX-XX სს. მიჯნაზე აჭარაში წამოსასხამების მოხმარების ფაქტი გასული საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებითაც დასტურდება. ა.ფრენკელის დაკვირვებით ქალის ჩაცმულობა მთავრდებოდა ჩადრით ანუ ჩარჩაბით. მასვე მოცემული აქვს ჩარჩაბის დასამზადებელი მასალისა და ადგილის განსაზღვრაც. ჩარჩაბი მსუბუქი, გამჭირვალე ქსოვილისაგან იკერებოდა. მზადდებოდა ბათუმსა და ართვინის შემოგარენში.[51] დ.ბაქრაძის ცნობით უცხო მამაკაცთან შეხვედრის დროს როგორც ქალები. ასევე გოგონები იხვევდნენ ჩადრს და ზურგს აქცევდნენ ყველა შემხვედრს. მისივე მონაცემით ქალები თეთრი შალის ქსოვილისაგან დამზადებულ ჩადრს იყენებდნენ.[52]

მეტად ძუნწი ცნობა აღნიშნულ საკითხზე მოცემულია ზ.ჭიჭინაძესთან. იგი მიუთითებს აჭარელ ქალთა ხელსაქმით დიდ დაინტერესებაზე და აღნიშნავს, რომ ისინი თვითონ კერავდნენ თავიანთთვის ლურჯსა და თეთრ ჩადრებს.[53]

ჩადრის არსებობა აჭარელ ქალთა ჩაცმულობაში შეუნიშნავი არ დარჩენია თ.სახოკიასაც. იგი წერდა: "სიარულის თუ მუშაობის დროს, შინ თუ გარეთ სულ ერთთავად ატარებდნენ ამ ჩადრს, რომ მამათა სქესის წარმომადგენელთ, განსაკუთრებით უცხოელებს და გიაურებს (ქრისტიანებს) თავი არ დაანახონ".[54] როგორც ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს თ.სახოკიას ეს

---

[49] იქვე, გვ. 40.

[50] ნ.ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137, 138.

[51] Френкель А., დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[52] Бакрадзе Д., დასახ. ნაშრომი, გვ. 57, 67.

[53] ზ.ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

[54] თ.სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 192, 193.

ცნობა არაზუსტია, რადგან ჩადრი მხოლოდ სახის გარეთ ხმარებული მოსასხამი იყო და არა შინსახმარი. საოჯახო საქმეების შესრულება ჩადრქვეშ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

აჭარაში ჩადრი შემოსული უნდა იყოს თურქეთიდან ისლამის იძულებით გავრცელებასთან დაკავშირებით.

ჩადრი მავნე გავლენას ახდენდა ქალის ჯანმრთელობაზე, რადგან მოსასხამში შეფუთული ქალი მოკლებული იყო სუფთა ჰაერსა და მზის სხივებს, რის შედეგადაც შეიმჩნეოდა საერთო სიფერმკთალე და კანის დაავადებანი. ესთეტიკური თვალსაზრისითაც ჩადრში შეფუთული ქალი არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ჩადრი საქართველოს სხვა კუთხეებში არსად არ მოწმდება, გარდა მესხეთ-ჯავახეთისა. აქ ეჰრამად წოდებულ ჩადრის სახესხვაობას მეტწილად შეძლებულთა ქალები ატარებდნენ. მას ქსოვდნენ ახალციხეში სომხები და ებრაელი ხელოსნები.[55]

ამრიგად, აჭარელი ქალის თავსაბურავი მის შემადგენელ ელემენტთა სიმრავლით ხასიათდებოდა. ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურული მონაცემების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ XIX ს. ბოლოსა და XX სს. დასაწყისში ქალის თავსაბურავის კომპლექსში შემდეგი ელემენტები შედიოდა: ლეჩაქი, თავსაკრავი ანუ თავსაჭირა, ფორი, ფესი თეფელუღით, დუვაღი და ვალა, ჩადრი ანუ ჩარჩაბი.

თავდაუბურავი ქალის გავლა აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, სირცხვილად ითვლებოდა. თავის დაბურვისათვის საჭირო თმის დალაგების წესის მხრივაც აჭარელი ქალი არ განსხვავდებოდა საქართველოს სხვაა კუთხეების ქალისაგან. ვარცხნილობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა გრძელი ნაწნავები, რომელთა რიცხვი ორიდან ექვსამდე აღწევდა. ნაწნავთა სიმრავლე განასხვავებდა გასათხოვარსა და გაუთხოვარ ქალს. გათხოვილი ქალი ნაწნავთა მრავალრიცხოვნებას აღარ მისდევდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ორ

---

[55] ლ.ბარაითაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

ნაწნავს ატარებდა. განსხვავებით საქართველოს სხვა რაიონებისაგან. აჭარაში კულულებს მხოლოდ გასათხოვარი და ახლად გათხოვილი ქალები ატარებდნენ.

თავსაბურავის ისეთი ძირითადი ელემენტი, როგორიცაა ლეჩაქი აჭარელ ქალთა მეტად საპატიო და ორგანულ ელემენტად ითვლებოდა. ლეჩაქი ქალის სოციალური მდგომარეობის მანიშნებელ ფაქტორად იყო მიჩნეული. მას მხოლოდ გათხოვილი ქალები ატარებდნენ.

ახალგაზრდა ქალები ლეჩაქს საგანგებოდ ალამაზებდნენ მძივებითა და ლითონის თხელი ფირფიტებით-ჯიმფრულათი. როგორც ჩანს, აჭარელი ქალის ლეჩაქი, თავისი ფორმითა და მოხვევის წესით, ძველი ქართული ლეჩაქის ანალოგიურია, რომლის ტრადიცია აჭარის მთამ ბოლო დრომდე შემოინახა.

აჭარელი ქალის თავსაბურავის კიდევ ერთი დამახასიათებელი ელემენტია ლეჩაქის თავზე დასამაგრებელი თავსაკრავი, რომლის სამი სახეობა იქნა გამოვლენილი ფორმისა და მასალის მხრივ: მუყაოსაგან რკალისებური ფორმის ძვირფას ნაჭერგადაკრული თორი, გაორმაგებული ქსოვილისაგან შეკერილი თავსკრავი და ბადისებრი ნაქსოვი თავსაჭირა. თავსაბურავში შემავალი ეს ელემენტი განსაკუთრებული გულმოდგინებითა და სახეთა სიუხვით იმკობოდა. მასზე ჭარბად ჩნდება სხვადასხვაფერის მძივებით ამოქარგული მზის გამოსახულება ბრდღვიალას სახელწოდებით. ამავე რიგის თავსაკრავი ტიპიური სახით დამოწმებულია კახეთში, თუშეთში, სვანეთში და საქართველოს სხვა კუთხეებში.

გარკვეულ პერიოდში აჭარაში თურქული გავლენის შედეგად შემოიჭრა თავსაბურავის ცალკეული ელემენტები, რასაც შესაბამისად თან მოჰყვა თურქული ტერმინოლოგიის შემოჭრაც, მაგრამ ბევრმა მათგანმა ფეხი ვერ მოიკიდა ამ კუთხის მცხოვრებთა ყოფაში. ასე მოუვიდა მაგალითად ფესს, რომელიც აჭარელმა ქალებმა კატეგორიულად უარყვეს. მიუხედავად იმისა. რომ ზოგიერთი ამ ელემენტიდან გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც დამკვიდრდა ხმარებაში, მათ ვერ შესძლეს

თავსაბურავის ადგილობრივი ელემენტების განდევნა, რომლებიც არსებობდნენ ახლის გვერდით.

უცხოურ გავლენას მიეწერება აგრეთვე აჭარელი ქალის საქორწილო თავსაბურავის ისეთი ელემენტები, როგორიცაა დუვაღი და ვალა. მსგავსი თავსაბურავის ხმარება საქართველოს სხვა კუთხეებში არ დასტურდება. დუვაღი წაკვეთილი კონუსის ფორმის მუყაოსაგან ნამზადი თავსაბურავი იყო, რომლის ზემოდან ოთხკუთხედის ფორმის აბრეშუმის თავსაფარს – ვალას გადაიფარებდნენ.

მოსასხამის ტიპის სამოსელთაგან გამოყენებული იყო ჩადრი ანუ ჩარჩაბი. მას მხოლოდ დანიშნული და გათხოვილი ქალი ატარებდა. ჩადრი მთლიანად ფარავდა ქალის სხეულსა და სახეს, გავრცელებული იყო თეთრი და შავი ფერის ჩადრი. ლიტერატურული მონაცემებით არსებობდა ლურჯი ფერის ჩადრიც. ჩადრთან ერთად სხეულის დამფარავ საშუალებათა კომპლექსს ქმნიდა ბადისებრი ნაქსოვი ჩათხი იგივე ჩარი თუ ფეჩე. რომელიც აჭარაში უცხო ეთნოგრაფიული გარემოდან შემოვიდა და გავრცელდა.

თავსაბურავის კომპლექსის შესწავლით დასტურდება, რომ აჭარელი ქალის თავსაბურავმა, ბუნებრივია, განიცადა უცხო გავლენა, მაგრამ ქართული თავსაბურავი მაინც ვერ განდევნა ხმარებიდან და გარკვეული პერიოდის მანძილზე მის გვერდით არსებობდა.

თავი V
ფეხსამოსი და ფეხსაცმელი

ფეხსამოსის შემადგენლობაში შემავალი ელემენტებიდან აჭრაში ბოლო დრომდე ყოფას შემორჩა როგორც შინ ნაქსოვი წინდა, პაიჭი, კარაჭინი, ასევე ტყავისა და ხის ქერქისაგან ასევე შინაური წესით დამზადებული ქალამანი, წულა, ფოთინი, ჩილატანი, ნაწილი. აჭარის ბარის ზონაში კი ჩექმა და "აზიაცკი" წინდა აჭარელი ქალის ყოველდღიურ ფეხსამოსს წარმოადგენდა. იგი თბილი, ფეხზე მორგებული და აჭარის მთიან რაიონებში ციცი კლიმატური პირობების დროს ჯანმრთელობისათვის ძალზე ხელსაყრელი ფეხსამოსია. აჭარულ ოჯახში წინდის ქსოვას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ოჯახის უფროსი ქალი, რომელიც განაგებდა ოჯახის ქალთა ყოველგვარ საქმიანობას ცალკე გამოყოფდა იმ პირებსაც, რომლებსაც უნდა ექსოვათ წინდები. შინ თუ გარეთ,მთასა თუ ბარში ქალი წინდის ქსოვით იყო გართული.

გასათხოვარ ქალს სამზითვოდ თავისი ხელით ნაქსოვი ათი-თხუთმეტი წყვილი წინდა მაინც უნდა გაჰყოლოდა და სამზითვო ნივთებში ერთერთ მთავარ ადგილს იჭერდა. ქალის მხარეს წინასწარ ცნობილი სასიძოს ახლო ნათესავების რიცხვის მიხედვით შეეძლო საჩუქრად განკუთვნილი წინდის რაოდენობის განსაზღვრა. დასაჩუქრება პატარძლის დადეს მოვალეობას შეადგენდა.

წინდისათვის ორი ხარისხის მატყლს იყენებდნენ საგარეო და საქორწილო საუკეთესო ხარისხის წინდებს გრძელი და ნაზი მატყლისაგან ქსოვდნენ, ხოლო ყოველდღიურად სახმარი წინდების დასამზადებლად დაბალი ხარისხის ანაგულა მატყლს ხმარობდნენ.

სეზონის მიხედვით სახმარი წინდები განსხვავებული იყო. საზაფხულო წინდა სუფთა ნართისაგან იქსოვება. საზამთრო კი ხოშორი (უხეში) ნართისაგან.

ცნობილი იყო უსახო ანუ სადა წინდა და ჭრელი წინდა. სადა თეთრი და შავი ფერის იყო და წინდების ძველ სახეობას ეკუთვნის.

ჭრელ ანუ ორნამენტირებულ წინდებში ასევე ქალის ხელთათმანებში სჭარბობდა ჯვრის გამოსახულებანი.

მოქსოვილ წინდას ცხელ წყალში მოთელავდნენ და სპეციალურ ყალიბზე წამოაცვამდნენ, რომლის დანიშნულება იყო წინდისათვის ლამაზი ფორმის მიცემა.

ჭრელი წინდები წინასწარ სხვადასხვაფრად შეღებილი შერეული ნართისაგან იქსოვებოდა. ჭრელი ზოგჯერ თვით ქსოვის პროცესში უკეთდებოდა, ზოგჯერ კი ქსოვის დამთავრების შემდეგ. ოჯახის გარეთ სახმარი წინდები უმეტესად ორნამენტირებული იყო, გარდა ტერფისა, რომელიც სადად იქსოვებოდა. საყოველთაოდ სახმარი წინდები ან მთლიანად სადა იქსოვებოდა, ან ორნამენტი მარტო ყელზე უკეთდებოდა. ქალის წინდები განსხვავდებოდა მამაკაცის წინდებისაგან ყელის ზომითა და სახეების სიმარტივით. საქალო წინდები დაბალყელიანი და ნაკლებჭრელი იყო მამაკაცის წინდებთან შედარებით.

განასხვავებდნენ ჭრელი წინდის შემდეგ სახეებს: ბურმალი, წკენტია, ხალისახე, ფირფიტასახე, სამთითა, ოთხთითა და სხვა. ტერმინების ძირითადი ნაწილი ქართული წარმომავლობისაა.

ბურმალი ყველაზე ძვირფას წინდად ითვლებოდა. მის მოქსოვას ორი დღით მეტი სჭირდებოდა ჩვეულებრივ წინდასთან შედარებით. ასეთი წინდა სასიძოსადმი გაგზავნილი საჩუქრის აუცილებელ შემადგენელ ელემენტად ითვლებოდა. ერთი წყვილი წინდის მოქსოვაზე ერთი ხერტალი ანუ ოცი ფთილა ნართი იხარჯებოდა. ზემოთაღწერილი წესით ნაქსოვ წინდას ზემოდან დააქსოვდნენ სხვადასხვაგვარად შეღებილი შალის ძაფების გრეხილს. ბურმალი გრძელი წინდაა, მაგრამ ეს ჭრელები მას ქსოვის პროცესში კი არ უკეთდებოდა,არამედ ქსოვის დამთავრების შემდეგ. ამგვარი წინდა გამოირჩეოდა

თავისი სილამაზითა და ხარისხით. იგი ისე მჭიდრო ნაქსოვი იყო, რომ წყალს არ ატარებდა, ამიტომაც დიდი მოწონებით სარგებლობდა. ხალისახე წინდაზე, ხალიჩებზე ანუ ხალზე გამოყვანილი ორნამენტები იყო გადმოტანილი რამაც თვით წინდის სახელწოდება. ქსოვის პროცესში ახდენდნენ სხვადასხვა ფერის ძაფების შენაცვლებას გემოვნების მიხედვით. ასეთი წინდის ნიმუშად განვიხილავთ შუახევის რაინის სოფელ ჭვანაში მიკვლეულ წინდას. იგი მთლიანად ორნამენტირებულია, გარდა ტერფისა და ქუსლისა. სახეების გამოყვანა იწყება თათის ქსოვის დამთავრების შემდეგ. ფერებიდან გამოყენებულია შავი, წითელი, ყვითელი, ცისფერი. ორნამენტი გეომეტრიულია იგი შეადგენს წყვილ-წყვილად განლაგებული, პარალელურ სწორ ხაზებში ჩასმული ხუწუწა, თუ თავმოხვეული ზიგზაგისებრ გამოსახულებს. მეორე, შედარებით ფართე პარალელურ ზოლ'ში ჩასმულია ჭადრაკული განლაგებით შექმნილი ჯვრის გამოსახულებანი, რომლის ცენტრში წარმოდგენილ ოთხკუთხედში წვეროებით ერთმანეთზე მიყრდნობილი ორი პატარა სამკუთხედია მოთავსებული. წინდის წვერთანაც ჩაქსოვილია რომბისებური ორნამენტი შიგ ჩასმული ფერის პატარა რომბის გამოსახულებით. ამგვარად, აღნიშნულ წინდაზე გამოყვანილ გეომეტრიულ ორნამენტში ჭარბობს რომბისებური, სამკუთხედისებური და ზიგზაგისებური ორნამენტები. ზოგ შემთხვევაში წინდას სახელი ერქმეოდა ფერთა რაოდენობის მიხედვით. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ერთმანეთისაგან განასხვავებს ფერხსამოსსა და ფერხსაცმელს. ფერხსამოსი განმარტებულია როგორც წინდა, პაიჭი, კარაჭინი, წუღა, ფეთმაგი და მისთანანი. ფერხსაცმელი კი როგორც წუღა, ჩუსტი. ქალამანი, სანდალი და მისთანანი.[1]

ივ.ჯავახიშვილის საბას ზემოთაღნიშნულ განსაზღვრებებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ "ფეხსამოსი ქსოვილისაგან გაკეთებულ წვივ-ფეხის საფარველის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ყოფილა, ხოლო ფერხსაცმელი კი ტყავისა, ანდა

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.

სკლატისაგან შემზადებული ფეხსამოსზე,ანუ უმისოდ ჩასაცმელის ზოგადივე ტერმინი ყოფილა".[2] ამგვარად, როგორც ვხედავთ, საბასა და ივ.ჯავახიშვილის ფეხსამოსის ელემენტები ორ ჯგუფად აქვთ დანაწილებული: ნაქსოვი და ტყავის ფეხსაცმელი.

საბასეულ განსაზღვრებაში ნაქსოვი ფეხსამოსი შემადგენელ ელემენტებში დასახელებულია წინდა. წინდის განმარტებას ნ.ჩუბინაშვილიც იძლევა: "წინდა შიგნით ფეხსაცმელი თითებიდან ვიდრე კოჭებამდე ბამბის ანუ ღაზლისაგან ნაქსოვი".[3]

ნაქსოვ ფეხსამოსს ძველთაგანვე ჰქონდა გამოყენება საქართველოში. ეს ჩანს საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალებით.[4] ჩხირებით ქსოვის ტექნიკა საქართველოში ძვ.წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარშია ცნობილი.[5]

წინდების ქსოვის ხელოვნება საქართველოში თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ჭრელი წინდის სახეებს – თევზიფხა, ციცისკუდი, მარწყვისფოთოლი, ნუშისგული, ოთხფერდა, მასკლავები, კუჭიანი, ხალიჩური, ხერხისპირი, კვანჭილები, ბატისთვალა, ჩიტისთვალა,[6] კატიფეხა, მნიშვნელოვნად ავსებს აჭრაში დამოწმებული ჭრელი წინდის სახეებიც (ბურმალი, წკენტია, ხალისახე, სამთითა, ორთითა და ა.შ). ეს სახელწოდებები დღესაც არის შემონახული თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში.[7]

---

[2] ივ.ჯავახიშვილი, დასახ.ნაშრომი, გვ. 153.

[3] ნ.ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

[4] ც.ყარაულაშვილი, ნაქსოვი ფეხსაცმელი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 264, 265.

[5] ც.ყარაულაშვილი, ხალხური ქსოვის წესები კახეთში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 26-ე-ბ, გვ.273

[6] ც.ყარაულაშვილი, იგივე ნაშრომი.

[7] შ.ფუტკარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 202, 214, 286.

აჭარული ჭრელი წინდები ფერთა შეთანაწყობით, ქსოვის ტექნიკითა და სახეთა განლაგებით პარალელს პოულობს საქ-ვეყნოდ ცნობილ თუშურ წინდებთან. თუშეთში ძველებურ წინ-დას ჯარანაიან // სასტუმრო წინდას ეძახდნენ. სასტუმრო წინ-დის შემკულობაში გამოიყენებოდა მრავალი ორნამენტი: ჯა-რანაი, კვანძილაი, ნაფოტაი თალი, მელიკუდა და სხვა.

აჭარული ყოველდღიურად სახმარი შავი და თეთრი ფერის წინდების მსგავსად თუშეთშიც შავი ფერის წინდის მოხმარე-ბის ფაქტიც დასტურდება. გარდა ამისა. აჭრაში დამოწმებუ-ლი წინდის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები: წვერი, ტერ-ფი, კოჭი, ყელი სავსებით იმეორებს თუშური წინდის ნაწი-ლების სახელწოდებებს. ჭრელი წინდების საქსოვად აჭარაში გამოყენებული იყო ფერთა სიმრავლე: შავი, წითელი. ყვითელი, მწვანე და ა.შ. თუშური წინდების შემკულობაშიც ძირითადად ასეთივე ფერებია გამოყენებული.[8] თუშურ ჩითებსა და წინდებს ახასიათებდა ნაჭრელის სირთულე და ბრტყელი გეომეტრიული ფიგურიანი ზოლები. წინდის ფონი ყოველთვის შავი იყო და ზედ რამდენიმე ფერით შეხამებული სახეები გამოყავდათ[9]. ჭრელი წინდები სქართველოს სხვა კუთხეებშიც იხმარებოად. დაბალ და მაღალყელიან ჭრელ წინდებს ხმარობდნენ როგორც თუში ქალები[10] ასევე კახელი ქალები[11] მატყლისა და აბ-რეშუმის ძაფისაგან ქსოვდნენ სახიან და უსახო წინდებს სამც-ხე - ჯავახეთშიც.

აზერბაიჯანელი ქალებიც მცენარეულ საღებავებში შეღებილი შალისა და იშვიათად აბრეშუმის ნართისაგან დამ-ზადებულ წინდებს ხმარობდნენ. ჭრელი წინდა – ჯორაბი ორ-ნამენტირებული იყო აქ გავრცელებულ ხალიჩებზე გამოყენე-

---

[8] ც.ბეზარაშვილი. ქალის სამოსელი..., გვ. 161. 162.

[9] ს.მიკალაძია, თუშეთი, ტფ., 1933, გვ. 81.

[10] ც.ბეზარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

[11] იქვე.

ბული ორნამენტების მიმსგავსებით.[12] ორნამენტირებული წინ-დები კავკასიის სხვა ხალხებშიც მზადდებოდა.

ამგვარად, აჭარაში დადგენილი წინდის ქსოვის წესები და ფეხსამოსად მისი მოხმარება, რომელიც საოჯახო წარმოების ხასიათს ატარებდა ახლო კავშირს ავლენს დანარჩენ კავკა-სიურ მასალასთან, რასაც კავკასიის ხალხთა მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

წინდასთან ერთად პაიჭსაც ფართოდ იყენებდნენ აჭარაში. პაიჭი უტერფო წინდას წარმოადგენდა. მასაც მატყლისაგან ქსოვდნენ. ქსოვა კოჭიდან იწყებოდა და მუხლამდე აღწევდა. ქსოვის დროს ითვალსიწინებდენ წვივის ზომასაც. საქალო პაიჭი ცალმაგად იქსოვებოდა. რადგან წინდის ზემოდან მისი მოხმარება ზედმეტ სითბოს აღარ საჭიროებდა. აჭარაში შალის პაიჭები სადა. ერთფერი იქსოვებოდა. სჭარბობდა შავი ფერის პაიჭები. რომლებიც იღებებოდა მცენარეულ საღებავში. ქალის პაიჭი, მამაკაცის ამავე ტიპის ფეხსამოსთან-ზანკალთან შედა-რებით, მარტივად იქსოვებოდა. ზანკალი ქსოვის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ფერის ძაფის გრეხილით უნდა მორთული-ყო. პაიჭი ჭუჭნია მზადებოდა, რის გამოც იგი ფეხზე მჭიდროდ მორგებული იყო. თავ-ბოლოზე თასმებიც უკეთდებოდა წვივზე დამაგრების მიზნით.

პაიჭისა და წინდის ერთდროული ხმარება შემდეგნაირად ხდებოდა: პაიჭს წინდის ზემოდან იცვამდნენ და შიგ შარვლის ტოტებს ჩაატანდნენ. ზაფხულობით პაიჭს წინდის გარეშე ატა-რებდნენ. პაიჭების დამზადებაზე აჭრაში საინტერესო ცნობე-ბია დაცული "შინამრეწველობის მასალებში".[13]

ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს, რომ პაიჭის დამ-ზადება და მოხმარება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში

---

[12] Азербайджанцы, Народы Кавказа, II, с. 123.

[13] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიი-სათვის, ტ. III, ნაწ.I, გვ. 263.

წარმოებდა (ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, ხევსურეთი და ა.შ.) პაიჭი ყველგან ნართისაგან იქსოვებოდა.[14]

ქსოვის წესებითა და ფერადოვნებით აჭარული პაიჭები ანალოგიურია კახეთსა და ქართლში გავრცელებული პაიჭებისა. აქაც ქალის პაიჭები სადა და ერთფერი იქსოვებოდა.[15]

ქსოვის წესებითა და ფერით განსხვავებულია ხევსურული საქალო პაიჭი. იგი ფერადი მატყლის ნართისაგან მზადდებოდა, რომელიც შემკული იყო გეომეტრიული ორნამენტებით.[16]

კარაჭინი // კვარაჭინა // თათები (ჭვანის ხეობის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ზამთარ-ზაფხულ ჩასაცმელი იყო). კარაჭინი წინდის საქსოვ ჩხირებზე იქსოვებოდა შალის უხეში ნართისაგან. საზამთრო კარაჭინისაგან განსხვავებით საზაფხულოს აბრეშუმისა და ბამბის ძაფისაგან ქსოვდნენ ქსოვა წვეროდან იწყებოდა. ქსოვის დამთავრებისას პირს გადაუქნიდნენ და კარაჭინიც მზად იყო.

წინდის მსგავსად კარაჭინიც ცხელ წყალში ითელებოდა. მოხრობელთა ნაამბობით, კარაჭინს ძირად ტყავსაც უკეთებდნენ. მასაც წინდის ზემოდან იცმევდნენ.

კარაჭინი როგორც წინდის ზემოდან ჩასაცმელი, აჭარის გარდა საქართველოს ბევრ კუთხეში იყო გავრცელებული. საბას განმარტებით "კარაჭინი ნაქსოვი ფეხსაცმელია, რომელსა სპარსნი ჩორაბს უხმობენ"[17] კარაჭინი გურიაში წინდასთან შედარებით ადრე ყოფილა ხმარებაში. ქსოვდნენ შალის უხეში ძაფისაგან და ფერადი ძაფებით აჭრელებდნენ.[18]

აჭარული კრანჭინის ფორმის მსგავს ნაქსოვ ფეხსამოსს კახეთში თათმანი ერქვა.[19] ნაქსოვი ფეხსაცმელი ჩითას სახელ-

---

[14] ც.ყარაულაშვილი, ხალხური ქსოვის წესები კახეთში, გვ. 262.
[15] იქვე. გვ. 262.
[16] იქვე. გვ. 263.
[17] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული.
[18] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ.III. ნაწ.I. გვ. 263.
[19] ც.ყარაულაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

წოდებით გვხვდება თუშეთში, რომელიც წინდის ფორმისაა.[20] ამავე ტიპის ნაქსოვ ფეხსამოსს ხევსურეთში თათი ერქვა. იგი ფერადი მატყლის ნართით იქსოვებოდა, რომელსაც საძირედ ხბოს ტყავი ჰქონდა. ამიტომაც მას გამოკერებულ თათს ან ძირამოკერებულ თათს ეძახდნენ.[21]

მსგავსი წესით ნაქსოვი ფეხსაცმელი დაღესტანშიც იყო გავრცელებული, რომლის ნიმუშები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში. დაღესტნური ნაქსოვი ფეხსაცმელები ქართულისაგან განსხვავდება გრძელი ჭვინტით და მაღალი ყელით.[22]

ყოველივე ზემოთქმული საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარული კარაჭინი საქართველოში გავრცელებული ნაქსოვი ფეხსაცმლების ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს.

ქართულ წერილობით წყაროებში ქალამანი X-XI ს.ს. მოიხსენიება. ამ სახელწოდებით გვხვდება იგი გრიგოლ ხუცესმონაზონის საისტორიო თხზულებასა და ნიკორწმინდის XI ს. სიგელში.[23]

ქალამანი როგორც მამაკაცის, ასევე ქალის გავრცელებულ ფეხსამოსს წარმოადგენდა აჭარაში. ისინი ფორმით ერთნაირი იყო და იკერებოდა ყველა ოჯახში საქონლის ტყავისაგან. საუკეთესო საქალამნე მასალად მიჩნეული იყო ხარისა და ძროხის ტყავი. საქონლის წლოვანება 4-5 წელზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. შედარებით იშვიათად იყენებდნენ კამეჩის, ხბოს და ცხენის ტყავს.

ქალამნის კერვას წინ უსწრებდა ტყავის დამუშავება.იგი პრიმიტიული წესით წარმოებდა: ნედლ ტყავს იატაკზე დადებდნენ და ადრე გახმობის მიზნით ჯოხებით გაჭიმავდნენ ჯერ სიგრძეზე, შემდეგ სიგანეზე. ამგვარ მდგომარეობაში ტყავს სახლის კედელზე ჩამოკიდებდნენ და გახმობამდე ტო-

---

[20] იქვე, გვ. 264, 265.
[21] იქვე, გვ. 266.
[22] იქვე, გვ. 266.
[23] ივ.ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154, 155

ვებდნენ, რასაც არანაკლებ 15-20 დღე სჭირდებოდა. გამხმარ ტყავს ჯერ სიგრძეზე დაჭრიდნენ ზოლებდა ანუ ნაჭრებად და შემდეგ ფეხის ზომაზე. შემდეგ ბეწვისაგან წმენდნენ და შეკერვის წინ წყალში დაალბობდნენ. დამბალ ტყავს მრგვალ ჯოხზე ახვევდნენ და ხელით გალეწავდნენ. ასეთი ხერხით ტყავი რბილდებოდა და სახმარად მოქნილი ხდებოდა.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მთა აჭარაში ორგვარი სახის ქალამანი იკერებოდა: კოლოტური და მესხური. კოლოტური ქალამნები XIX ს.ს. დასასრულს შემოსულა ხმარებაში და საკმაოდ მტკიცედ მოიკიდა ფეხი. მესხურა ქალამანი კი ამის შემდეგ თითქმის აღარ იკერებოდა. მთხრობელთა გადმოცემით მესხურა ქალამანი სამცხეში მცხოვრები მესხებიდან შემოსულა.

მესხურა და კოლოტური ქალამნის კერვის ტექნიკა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.ორივე ქალამნის პირის ამოსხმა მისივე ტყავის თასმით წარმოებდა. განსხვავება იმაში მდგომარეობად, რომ მესხურა ქალამნის პირი თავისივე თასმით გრეხილად იკერებოდა, კოლოტური ქალამნის პირი კი ნაოჭებისებურად და ფეხზეც კარგად იყო მორგებული.

საქალამნე ტყავის შინაური წესით დამუშავებასთან ერთად ხდებოდა დამუშავებული ტყავის შესყიდვა გურიაში. ზემო აჭარის მთხრობელები ტყავის ძირითად მიმწოდებლად ასახელებდნენ ოზურგეთის რაიონის სოფლებს – მთისპირსა და ვაკიჯვარს. ერთი საშუალედო სიდიდის ძროხის ტყავისაგან 12 საქალამნე ტყავი გამოდიოდა. ტყავს ყიდულობდნენ ფულით ან ნატურით (რძის პროდუქტები) გაცვლის წესით.

ანალოგიური წესით ხდებოდა საქალმნე ტყავის დამუშავება და კერვა გურიაში. ეს წესი თავისში მოიცავს შემდეგ თანმიმდევრულ პროცესებს – ტყავის გახმობას, გაკეპვას, გაფხეკას, დალბობას, დახვრეტას, მოკეპვას.[24]

---

[24] მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ III. ნაწ. I, გვ. 253, 254.

იმერეთში დამოწმებული ქალამანი შეკერვის წესით განსხვავებული ჩანს აჭარულისაგან იმით, რომ იმერულ ქალამანს წინ ცხვირზე ნაკერი არ ჰქონდა.[25] კოლოტურა ქალამანს რაჭაში ღებური ქალამანი ერქვა.[26]

სხვა ფეხსამოსთაგან აჭარაში წუღაც იხმარებოდა. XIX - XX სს. მიჯნაზე ადგილობრივ ხელოსნებთან ერთად წუღებს კერავდნენ ბერძენი და არზრუმიდან გადმოსახლებული სომეხი მედაბღეები. ადგილობრივი მოსახლეობა წუღებს დაკვეთით აკერინებდა. იშვიათ შემთხვევაში ლეკურ წუღასაც იცვამდნენ. საქალო ლეკური წუღა ფორმით ემსგავსებოდა საკაცოს, რომელსაც წინა ყურები და თასმა ახასიათებს. საწუღე ტყავს კარგი დამუშავება სჭირდებოდა. რაც ყველას არ ეხერხებოდა.

სოფლის საუკეთესო ხელოსნებს ხშირად ტყავი დასამუშავებლად მიჰქონდათ ბათუმში, ქობულეთსა და ოზურგეთში. თუმცა, ზოგჯერ ტყავი ადგილზეც გამოჰყავდათ. წუღის საძირედ იყენებდნენ ხარის, ძროხის, კამეჩისა და ცხენის ტყავს, ხოლო საპირედ ცხვრის, თხისა და ხბოს ტყავს. შეკერვამდე ტყავს ღებავდნენ თრიმლის შავი ფერის საღებავში. თრიმლი ადგილზე მოიპოვებოდა და იგი გასაყიდადაც გაჰქონდათ ართვინში, სადაც მასზე დიდი მოთხოვნილება იყო. აჭარელი ქალები ადგილზე ნამზად წუღებთან ერთად ბათუმსა და ოზურგეთში შეკერილ წუღებასც იძენდნენ.

წუღა საქართველოში გავრცელებულ ფეხსამოსს წარმოადგენდა, რაც დასტურდება საბას ზემოთმოტანილი განმარტებიდან. ფეხსამოსის ელემენტთა ერთობაში საბას წუღაც აქვს მოხსენებული. რაც საინტერესო ფაქტია. ივ.ჯავახიშვილი საბას ამ განმარტებათა ანალიზის დროს გამოყოფდა ერთმანეთისაგან ქსოვილისა და ტყავისაგან დამზადებულ ფეხსამოსს. იგი აღნიშნავდა, რომ წუღა საბას ორივე განმარტების შემად-

---

[25] იქვე. გვ. 253, 254.

[26] ალ.რობაქიძე, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, I, თბ.,1941, გვ. 31.

გენლობაში აქვს შეტანილი. ან შეცდომით, ან იმიტომ, რომ წუ-ღა შეიძლება ყოფილიყო ქსოვილისა და ტყავისაგან ნამზადი.

XIX - XX სს. მიჯნაზე წუღა არა მარტო აჭარის, არამედ საქართველოს სხვა კუთხეების მახასიათებელიცაა. გურიაში წუღა ადგილზე მზადდებოდა.

აჭარული ქალის ჩაცმულობის ეს ელემენტები - ქალამანი და წუღა როგორც მასალის, ასევე დამზადების ტექნიკისა და ფორმის მიხედვით მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეებისათ-ვის დამახასიათებელი ელემენტებისა. ქალამანი უფრო მთიან აჭარაში იყო გავრცელებული, ხოლო წუღა – ბარში.

წარჩინებული წოდების ქალები ატარებდნენ განსხვავე-ბულ ფეხსაცმელს - ფოთინას,[27] რომეცლიც ყვითელი ტყავისა-გან იკერებოდა.

მამაკაცის ფეხსამოსის შემადგენელი ელემენტებია: წინ-და, ზანკალი, ქალამანი, წუღა. ამ მხრივ განსხვავება შეინიშ-ნება მთისა და ბარის ზონას შორის.ბარში ჭარბობდა ადგილზე ნამზადი ჩექმა და "აზიაცკი", რომელიც მკვლევართა აზრით, ტიპიურ "აზიურ ხელობად" არის მიჩნეული. ეს ნიშანდობლი-ვად ჩანს ბათუმის მაგალითზეც.[28] ეთნოგრაფიული მასალებით XIX-XX სს. მიჯნაზე ხარაზობა ბათუმში ძირითადად შემოტანი-ლი ნედლეულის ბაზაზე ვითარდებოდა. საუკეთესო "ვარშავის ტყავი" თბილისში იყიდებოდა. ეს ძვირადღირებული, მაღალი ხარისხის ტყავი იყო და მოსახლეობის შეძლებულ ფენებში დიდი მოწონებით საგრებლობდა.

ბათუმის სახარაზო სახელოსნოებში იკერებოდა ქალისა და მამაკაცის ფეხსამოსის სხვადასხვა სახეობა: ქალამანი, წუღა (ღია, დახურული, ყურიანი, გურული) და ა.შ.

ხარაზები თავიანთ ნაწარმს ამზადებდნენ დაკვეთით და სა-ბაზრო. ბათუმის ბაზარი, რომლის მახლობლად განლაგებუ-

---

[27] ფოთინი - ფრანგული სიტყვაა. იგი შესულია თურქულში და ნიშნავს ყვ-ლიან ფეხსაცმელს. ნაღას (Магазаник Д., დასახ. ნაშრომი).

[28] Ковалевский П. Кавказ. т.1. Народы Кавказа. СПБ., 1914, с.219, 260, 261.

ლი იყო სახელოსნოები, წარმოადგენდა საქონლის სარეალიზაციო ცენტრს. ხდებოდა სოფლის პროდუქტების გაცვლა ქალაქის ხელოსნურ ნაწარმზე. ბათუმში დამზადებული საქონელი ქალაქშივე იყიდებოდა. დასავლეთ საქართველოს ვაჭრები ბათუმში იძენდნენ ხელოსნურ ნაწარმს. ხარაზული ნაწამის შესაძენად ბათუმში მოდიოდნენ ვაჭრები გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან.

განსაკუთრებულ აღნიშნვას იმსახურებს ხის მასალისაგან დამზადებული შედარებით ნაკლებად გავრცელებული სახეები ჩილატანი და ნანილი. ჩილატანის დაწვნა შემდეგში წესით ხდებოდა: ხეს ჩამოაცლიდნენ გარეთა შავ ქერქს. თეთრ ნაწილს კანაფივით ჩამოხდიდნენ. მიღებულ ზოლებს დაგრეხდნენ და საქსელავის საშუალებით ერთმანეთზე გადაახლართავდნენ. წვნას ქუსლიდან იწყებდნენ. ჩილატანისახმარად გრილი იყო და მხოლოდ ზაფხულის ცხელ დღეებში გამოიყენებოდა. წვიმასა და თოვლში მისი ტარება შეუძლებელი იყო.

შედარებით ნაკლები გამოყენება ჰქონდა ნანილს. მას ხმარობდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები. ნანილის ძირი თხმელის ხისგან მზადდებოდა. საპირედ საქონლის ტყავს იყენებდნენ.

ჩილატანი და ნაწილი არც საბასა და არც გ.ჩუბინაშვილს არ აქვთ მოხსენიებული. რაც ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებშია მათ შესახებ რაიმე ნათქვამი. ჩილატანის მსგავსი ფეხსამოსი საქართველოს სხვა კუთხეებში არ მოწმდება. ხის ქერქისაგან დაწნული ფეხსაცმელი გავრცელებული ყოფილა სლავებში, ბალტიისპირა ქვეყნებში, ფინეთში, შვეციის სანაპირო რაიონებში.[29]

ნაწილი ამავე სახელწოდებით საკმაოდ პოპულარული ფეხსაცმელი ყოფილა თურქეთში, რომელსაც საზოგადოების დაბალი ფენა, მშრომელი მოსახლეობა ატარებდა. იგი ძირი-

---

[29] Русские Историко-этнографический атлас, под ред. Александрова В. Козлова В. Кушнера П. Рабиновича М. М., 1967, с. 251.

ოადში სახლში სატარებელი ფეხსამოსი იყო. თუმცა, ზოგჯერ, ქუჩაშიც იცვამდნენ.[30]

შესაბამისი მასალების უქონლობის გამო ვერაფერს ვიტყვით აჭარაში ნაკლებ გავრცელებული ფეხსამოსის ამ ორი სახეობის სადაურობის შესახებ.

ამრიგად, შეგვიძლია შემდეგი ვთქვათ, რომ აჭარელი ქალის ყოველდღიურ ფეხსამოსს წარმოადლგენდა წინდა, რომელიც შალის ძაფისაგან იქსოვებოდა საქსოვი რკინის ჩხირების მეშვეობით. აჭარაში არსებობდა წინდის ორი სახეობა – სადა და ჭრელი. ჭრელი წინდა მცენარული საღებავებში წინასწარ შეღებილი სხვადასხვა ფერის შალის ნართით იქსოვებოდა. ჭრელი წინდა ზოგჯერ ქსოვის პროცესში კეთდებოდა. ზოგჯერ კი ქსოვის დამთავრების შემდეგ და ჭრელი ძაფების გრეხილებს ზემოდან დააკერებდნენ. აჭარაში გამოვლენილი ჭრელი წინდის სახეობებს განეკუთვნება – ბურმალი, წკენტია, ხალისახე, სამთითა, ოთხთითა. ისინი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული ჭრელი წინდის სახეობების თავისებურ ვარიანტებს წარმოადგენე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ სახის ქართული ფეხსამოსი ისტორიის შესწავლაში.

წინდის დამზადება აჭარაში საოჯახო წარმოების ხასიათს ატარებდა და სქართველოში ძველთაგან მომდინარე ტრადიციებს აგრძელებდა.

წინდასთან ერთად აჭარელი ქალი პაიჭსაც ატარებდა. პაიჭი იმეორებს წინდის ყელის ფორმას, რომელსაც ბოლო ნაწილზე მიბმული თასმა ამაგრებს ტერფზე. პაიჭი წინდის ზემოდან სახმარი ფეხსამოსია, რომლის შიგნითაც შარვლის ტოტებს ჩაიკეცავდნენ.

ჩაცმულობის ეს ელემენტიც პოულობს ანალოგებს საქართველოს სხვა კუთხეებში.

ნაქსოვი ფეხსამოსი კარაჭინა // კვარაჭინა მხოლოდ შინ სახმარი ჩასაცმელი იყო. აჭარული კარაჭინი ნაქსოვი ფეხსა-

---

[30] Курылев В., დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

მოსის ერთ-ერთ საინტერესო და ორიგინალურ სახეობას წამ-
რაოდგენს.

აჭარაში ფართოდ იყო გავრცელებული ფეხსამოსის სხვა ისეთი სახეობანი, როგორიცაა ქალამანი. იგი ორი სახისა იყო – მესხურა და შედარებით გვიან შემოსული უფრო რთული კოლოტური, რომელმაც მესხურა თითქმის სრულიად განდევნა ხმარებიდან. ქალამნის ორ სახეობათა შორის განსხვავებას ქმნის დამზადების ტექნიკა.

განსაკუთრებულ მსგავსებას აჭარული ქალამანი გურულ ქალამანთან ამჟღავნებს. სხვა სახის ფეხსამოსიდან აჭარაში გავრცელებული იყო ე.წ. ლეკური წუღა, რომელიც ჩვეულებრივისაგან წინა ყურებით გამოირჩეოდა და რომელსაც ადგილობრივ ხელოსნებთან ერთად ბერძენი და სომეხი მედაბღეები კერავდნენ. მისთვის საჭირო ტყავი დასამუშავებლად ბათუმში, ქობულეთსა და მახარაძეში მიჰქონდათ.

ფეხსამოსის ზემოთ აღნიშნული ორი სახეობიდან ქალამანი უფრო აჭარის მთიანეთში იყო გავრცელებული, ხოლო წუღა – ბარში.

შედარებით ნაკლები გამოყენება ჰქონდა ხის ქერქისაგან ნაქსოვ ჩილატანსა და ხისძირიან ნანილს. რომელთაც ანალოგია საქართველოს სხვა კუთხეებში არ მოეძებნებოდა.

ამგვარად, აჭარული ჩაცმულობიდან ფეხსამოსსა და თავსაბურავში ყველაზე დიდხანს შემორჩა ძველი ქართული ჩაცმულობის ტრადიციული ელემენტები.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი ახალი საველე ეთნოგრაფიული მასალებისა და ამ რიგის შესადარებელი მონაცემებისა და ლიტერატურულ წყაროებში დაცული ცნობების შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ აჭარული ჩაცმულობა წარმოადგენდა საერთდ ქართული ჩაცმულობის მეტად საინტერესო და ორიგინალურ სახეობას. ქალის სამოსის ელემენტები იყო: ზუბუნ-ფარაგა, დატეხილი და ფორკა კაბა, სიხმა, ჩათაკა, იჩლული, სალტა, ხირხა, სარტყელი, ფეშტემალი, ლეჩაქი, თავსაკრავი, ფესი თეფელულით, ჩადრი, დუვალი და ვალლა. მამაკაცის სამოსის შემადგენელი ელემენტებია: ჩაქურა, ჩოხაწალი, ზუბუნი, ცხვრის ბეწვის ქურთუკი, წინდა, პაიჭი, კარაჭინი, ქალმანი, ნანილი, ჩილატანი, ჩექმა და აზიაცკი" ზუბუნ-ფარაგა, ხირხა, ლეჩაქი, თავსაკრავი, ქალამანი, წინდა, ჩაქურა – ჩოხა საერთოდ ქართული ჩაცმულობისათვის დამახასიათებელი ის ძირძველი ელემენტებია, რომლებსაც აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის შესაფერი ცვლილებანი შეიძინეს. ამასთან ერთად, ტანსაცმლის შესაკერი მასალის ნედლეულის, მისი დამზადების ტექნიკის, შელებვის, გამოჭრისა და შეკერვის წესები მსგავსია საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული წესებისა.

აჭარულ ჩაცმულობაში არის ისეთი ელემენტებიც, რომლებმაც, მართალია, უცხოური გავლენა განიცადეს, მაგრამ ქართული იერი მაინც შეინარჩუნეს. ასეთია, მაგ., სიხმა, რომელიც აჭრილობის მხრივ არ არის ქართული, მაგრამ ქარგულობაში ინახავს წმინდა ქართულ ორნამეტებს შესატყვისი ადგილობრივი ტერმინოლოგიით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯვრის გამოსახულების ადგილი ტანსაცმლის ქარგულობაში, რომელიც, მიუხედავად თავისი კავშირისა ქრისტიანულ რელიგიასთან, აჭარაში სამსაუკუნოვანი ისლამის რეჟიმის პირობებში, ვერ იქნა განდევნილი ხმარებისაგან.

არსებობს აშკარად უცხოური გავლენებიც. რაც ყველაზე მკაფიოდ მოჩანს თავსაბურავის ზოგიერთ ელემენტსა და წამოსასხამზე (ფესი. თეფელუღი, დუვაღი და ვალლა, ჩადრი), ჩოხა-შალის ძლიერ დანაოჭებული შარვალი. ეს უცხო ელემენტები მხოლოდ გარკვეული პერიოდის მანძილზე იყო ხმარებაში და არსებით გავლენას აჭარულ ჩაცმულობაზე ვერ ახდენდა.

ჩაცმულობა აჭარაში ისევე ასახავს წოდებრივ იერარქიას. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში. წოდებრივი განსხვავება პირველ რიგში მკვეთრადაა გამოხატული ჩაცმულობის მასალასა და შემკულობაში. თუმცა თარგი ყველა შემთხვევაში ძირითადა იგივეა.

განსხვავდებოდა სამუშაო და საგარეო ტანსაცმელი. სამგლოვიარო ტანსაცმელი აჭრაში ცნობილი არ იყო. გლოვის ნიშნად ერიდებოდნენ ღია ფერებს და სამკაულებს.

ამრიგად აჭარული სამოსი თავისი აღნაგობის, დამზადებისა და მოხმარების წესების თვალსაზრისით შეიცავს მთელ რიგ ლოკალურ სპეციფიკურ ნიშნებს და გამორჩეულ ადგილს იჭერს ქართული ჩაცმულობის ისტორიაში.

Самсония Изольда

НАРОДНАЯ ОДЕЖДА В АДЖАРИИ

Резюме

В грузинской национальной одежде важное место занимает аджарский костюм, в котором отражена историческая судьба этого региона Грузии – известно, что в позднефеодальный период истории Грузии Аджария долгое время была объектом турецкой экспансии.

Основной целью работы является освещение проблем народной одежды, например, материал, необходимый для одежды, технология его изготовления, характеристика основных элементов одежды, включая украшения, показ ее локальных особенностей на общегрузинском фоне, выявление некоторых социально – хозяйственных и эстетических функции.

В результате анализа этнографического материала удалось установить, что ткачество занимало значительное место в занятиях аджарцев. В Аджарии на протяжении веков традиционным способом изготовлялись шерстяные, шелковые, льняные и др. ткани.

Особенно широко использовались шерстяные ткани, что было обусловлено наличием в большом количестве местного сырья и значительным спросом на шерстяные ткани. Шерсть, главным образом использовалась для следующих элементов одежды: пояс, передник - ''пештемали", чулки, перчатки, тесемки для пояса и передника. В более ранние периоды шерстяную ткань местного изготовления использовали для шитья платья типа '' зубун-парага".

Для изготовления тканей домашним способом в Аджарии в конце XIX - начале XX в. наряду с разнообразными приспособлениями, в частности, чесалкой - с а ч е ч е л и,

веретеном-х е р т а л и, п с х и с т а р и, прялкой-ч а х р а - к и, сновалкой - д о л а б и, использовались ткацкие станки - горизонтальный станок к с е л и//с а п с й к р о и вертикальная рама - т о р и с к д а.

Анализ материала показал, что текстильная переработка необходимого для изготовления тканей сырья была непосредственно связана с одной из древнейших отраслей домашней промышленности-крашением. Для окрашивания, как выясняется, пользовались в основном местными ресурсами – растительными и минеральными красками.

Сравнительное изучение нового этнографического материала, а также параллельных данных литературных источников показало, что одежда аджарской женщины была достаточно сложной и состояла из следующих частей: з у б у н – п а р а г а, платье плисерованное и платье п о р к а, с и х м а, ч а т а к а, с а л т а, и ч л у г и, х и р х а, л е ч а к и, повязка - т а в с а к р а в и, д у - в а г и в а л л а, ф е с к а и т е п е л у г и, ч а д р а, п е - ч е, н о с к и, п а и ч и, к а р а ч и н и, л а п т и, ч у в я к и, н а н и л и, ч и л а т а н и.

У мужчин был распространен особый тип мужского костюма под названием ''чакура'', в горных районах ч о х а – ш а л и. Характерным признаком этого костюма является то, что длина плечевой части одежды доходила до пояса.

Указанный комплекс дополнял следующие элементы: короткая шерстяная куртка с газырями, короткий архалук з у б у н и с двумя карманами, рубашка из льна, шелковый, клетчатый пояс – т а л а б у л у с и, шерстяные и очень широкие брюки - ч а к у р а, удерживались цветным поясом – х о н д ж а р и. Голову покрывали особым видом головного убора – к а б а л а х и. На ноги надевали носки и поговицы и кожаную обувь с загнутым носом – л а п ч и н ы и сапоги – а з и а ц к и.

Такие основные элементы аджарской одежды, как зубун – парага, чакура, хирха, лечаки, тавсакрави, лапти, чувяки и др., вообще являются древними традиционными элементами грузинской одежды.

Вместе с тем следует отметить, что и технология изготовления их из сырья, окрашивание, выкройка и шитье также полностью повторяют аналогичные данные из других районов Грузии.

В одеянии аджарской женщины и мужчины есть и такие элементы, которые испытали в известной степени иноземное влияние, но они все же не утратили общего грузинского облика. Такова, например, сихма, которая по покрою не является грузинской, но в своей вышивке сохраняет чисто грузинский (с соответствующими местными терминами). Особенно следует подчеркнуть наличие в вышивке изображения креста, который, несмотря на свою связь с христианской религией, так и не был вытеснен из употребления.

В основном по своему по крою к грузинской одежде приближаются салта и учлуги.

Отмечается также явное иноземное влияние в таких элементах головного убора аджарки, как феска и тепелуги, чадра и свадебный головной убор – дуваги и валла. Эти чуждые элементы были в употреблении лишь на протяжении определенного периода и существенного влияния на аджарскую одежду не оказали.

Аджарская одежда также, как и в других уголках грузии, отражала сословную иерархию. В частности, сословное различие ярко проявлялось, прежде всего, в материале, отделке и украшениях, покрой же во всех случаях в основном был одним и тем же.

Одежда также четко отражала и семейное положение женщины, что особенно было заметно в головном уборе и отделке.

Различалась рабочая и выходная одежда. Траурной одежды в Аджарии не носили – в знак траура избегали ярких цветов и украшений.

Izolda Samsonia

NATIONAL GARMENT IN AJARA

Summary

Ajarian garment occupies a remarkable place among Georgian national garment. It reflects historical fate of this part of Georgia-as it is know Ajara used to be the object of Turkish expansion during a long time in late feudal period.

The main purpose of the works is to deal with such question as the fabric necessary for clothes, technology of its manufacture, characterization of main elements of garment including ornamentation, showing their local peculiarities against the background of common Georgian ones, revealing of certain social, economic and aesthetic functions.

According to the results of the ethnographic analysis of the material it is stated that weaving was of considerable importance among Ajarians. During the centuries Ajarian population used to manufacture woolen, silk, linen and other types of fabric.

Woolen was of widespread use that was favored by the availability of local raw material as well as great demand on wool. Wool was mainly used for the following elements of the garment: belt, apron-"peshtemali", stockings, gloves, laces for belts and aprons. In earlier times wool of local production was used in sewing the dress called "zubun-paraga"

In fabric manufacture of the 19-th early 20-th centuries some kinds of looms-horizontal "kseli"/"sapeikro" and vertical frame-"toris kda" were used together with other devices, namely combing device-"sachecheli", spindle, distaff, spinning wheel-"chkhraki", warping device-"dolabi", etc.

The analysis of the material showed that the textile processing of raw material was directly connected with one of the ancient branches of home industry-dyeing. As it is found out local resources of mineral and vegetable dye were mostly used for dyeing.

Comparative study of recent ethnography material, parallel and literary sources showed that the garment of an Ajarian women was rather complex and consisted of the following parts: zubun- paraga, pleated dress and porka dress, sikhma, chataka, salta, ichlughi, khirkha, lechaki, fillet-tavsakravi, duvaghi and valla, peska and tepelughi, yashmak, peche, stockings, gaiters, karachini, shoes, bast shoes, nanili, chilatani.

A special type of men's garment called "chakura" was widely spread among men. In the mountainous regions such garment was choxa-shali. Its peculiarity was the lenghth of humeral garment which reached the waist.

The following elements supplemented the above stated complex: short woolen coat, short akhalukh zubuni with two pockets, a linen shirt, checked silk belt-talabulusi, woolen wide trousers chakura suspended by a colored belt-khonjari, the head was covered with a special type of head-gear-kabalakhi. The legs and feet were covered with socks, leather shoes with turned-up nose-lapchini and boats aziatski.

The main elements of Ajarian garment such as zubun-paraga, chakura, khirkha, lechaki, tavsakravi, shoes, bast shoes, etc. Are ancient traditional elements of usual Georgian garment as well.

It should be noted that the technology of raw material processing, dyeing, patterns and embroidery also completely repeated the same data from other regions of Georgia.

There also exist such elements in men's and women's garment in Ajara that underwent foreign influence to a certain extent, thought still retained common Georgian appearance.

Such is, for instance, Sikhma, which is not Georgian according to its cut retains Georgian ornamentation in embroidery (with corresponding local terms). It should particularly be noted here that the embroidery with a cross was still retained notwithstanding its direct connection to Christianity. Mainly salta and ichlughi come closer to Georgian garment according to their cut.

The foreign influence is also noticed in such head-gears of Ajarian women as peska and tepelughi, yashmask and wedding gears-duvagi and valla. These foreign elements were used only for a definite period and did not make any essential influence on Ajarian costume.

Like the garments from other parts of Georgia Ajarian garment reflected class hierarchy. It was mainly reflected in fabric finishing touches and ornamentation, the cut remainning the same.

The garment also clearly reflected women's family position that was particularly expressed in headgear and finishing touches.

Casual and special outing clothes were also distinguished. No mourning clothes were worm in Ajara- the mourners simply avoided bright colours and ornamentation.

At present the European type of garment is mostly widespread in Ajara.

ილუსტრაციები

სურ. 1. აჭარელი გოგონა.
სოფ. ბარათაული (შუახევის რ.)

სურ. 2. კანაფის ბოჭკოს გახდა.
სოფ. ქვემო მარადიდი (ხელვაჩაურის რ.).



სურ. 3. თითისტარი – "ხერტალი"
სოფ. დღვანი (შუახევის რ.).

სურ. 4. დაფის დაძახვა ხერტალზე.
სოფ. დღვანი (შუახევის რ.).



სურ. 5. ძაფის დასაძახი ხელსაწყო "ჭახრაკი სოფ. ძირკვაძეები (ხულოს რ.).



სურ. 6. ძაფის დასაძახი ხელსაწყო "ჭახრაკი" სოფ. დიდაჭარა (ხულოს რ.).



სურ. 7. საქსელავი ხელსაწყო "დოლაბი" სოფ. შუბანი (შუახევის რ.).



სურ. 8. საქსოვი დაზგა "საფეიქრო" სოფ. შუბანი (შუახევის რ.).



სურ. 9. ქალის კაბა "ზუბუნ-ფარაგა" აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმი. მხატვ. ო. კონიაშვილი.

სურ. 10. აბრეშუმის პერანგი. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმი. მხატვ. ო. კონიაშვილი.

სურ. 11 "ბედენიანი" კაბა, მკერდზე გაჭრილი. სოფ. ყინჩაური (ხულოს რ.).

სურ. 12. კაბა "ფორკა" სოფ. ყინჩაური. (ხულოს რ.). მხატვ. ჯ. მიქელაძე.

სურ. 13. ქალი "დატეხილი" კაბით. სოფ. ხინო (ქობულეთის რ.).



სურ. 14. კაბა "დატეხილი სოფ. ხინო (ქობულეთის რ).



სურ. 15. კაბა "ფორკა"
სოფ. დეკანაშვილები (ხულოს რ.).



სურ. 16. კაბა "ფორკა"
სოფ. დეკანაშვილები (ხულოს რ.).

სურ. 17 ქვედა კაბა.
სოფ. ჩხაკაურა
(ჩოხატაურის რ.).



სურ. 18. წინსაფარი "ფეშტემალი"
სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.).

სურ. 19. შეძლებული ქალის ზედა სამოსელი – "სალტა"
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმი.
მხატვ. ო. კონიაშვილი.



სურ. 20. სალტას აჭრილობა.



სურ. 21. პერანგის აჭრილობა.

სურ. 22. ქალის თავსაბურავი – "ფესი თეფელულით
აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმი.
მხატვ. კონიაშვილი.

სურ. 23. ფესზე დასამაგრებელი ლითონის ფირფიტა
"თეფელული" აკად. ს. ჯანაშიას სახ.
საქართველოს სახ. მუზეუმი. მხატვ. ო. კონიაშვილი.

სურ. 24. წინსაფარი
"ფეშტემალი"
აჭარის სახ. მუზეუმი.

სურ. 25. წინსაფარი
"ფეშტემალი"
სოფ. ყინჩაური
(ხულოს რ.).

სურ. 26. ქალის ზედა სამოსელი "ჩათაკა
სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.). მხატვ. ჯ. მიქელაძე.

სურ. 27. ქალის ზედა
სამოსელი "ჩათაკა"
სოფ. ღორჯომი
(ხულოს რ.).



სურ. 28. ქალის ჩაცმულობის კომპლექსი.
სოფ. ჭვანა (შუახევის რ.).



სურ. 29.
სიხმის ორნამენტი.



სურ. 30. ქალის ზედასამოსელი "სიხმა
სოფ. ზოტი (ჩოხატაურის რ.).

სურ. 31. გულდახურული "ჩათაკა"
სოფ. ჩხაკაურა (ჩოხატაურის რ.).



სურ. 32 ვერცხლის ყელსაბამი "ჯიღჯიღა
სოფ. ყინჩაური (ხულოს).



სურ. 33. ვერცხლის ყელსაბამი "ჯიღჯიღა"
სოფ. ყინჩაური (ხულოს რ.).



სურ. 34. გულსაკიდი "კორდომი"
სოფ. ყინჩაური (ხულოს რ.).

სურ. 35.
ქარვის მძივი.
სოფ. ღორჯომი
(ხულოს რ.).



სურ. 36. ქსოვილის ქამარი ვერცხლის ბალთითა და ვერცხლის შემკულობით. სოფ. ზოტი (ჩოხატაურის რ.).

სურ. 37. მამაკაცის საათი. სოფ. ღორ'ჯ.ომი (ხულოს რ.).



სურ. 38. ვერცხლის ქამარი. სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.).



სურ. 39. ვერცხლის ქამარი. სოფ. ღღვანი (შუახევის რ.).



სურ. 40. ვერცხლის ქამარი. სოფ. დიდაჭარა (ხულოს რ.).

სურ. 41 სირმაქსოვილი ქამარი ვერცხლის ბალთით. სოფ. ხიხაძირი (ხულოს რ.).



სურ. 42. ვერცხლის ძეწკვი. სოფ. წაბლანა (ხულოს რ.).



სურ. 43. მარჯნის სამაჯური. სოფ. წაბლანა (ხულოს რ.).



სურ. 44. ფერადი ქვების სამაჯური.
სოფ. წაბლანა (ხულოს რ.).

სურ. 45.
ვერცხლის სამაჯური.
სოფ. წაბლანა
(ხულოს რ.).

სურ. 46.
აჭარელი გლეხი შინნაქსოვი
ზოხა-შალით
სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.).





სურ. 47. ჩოხისა და "ბუდიანი შარვლის აჭრილობა.





სურ. 48. ნოხა. აჭარის სახ. მუზეუმი.

სურ. 49. მაშაკაცის თავსაბურავი "ყაბალახი" სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.).

სურ. 50. აჭარელი მამაკაცები "ნაქურათი
პ. კოვალევსკის "შრომებიდან.





სურ. 51. შინნაქსოვი სარტყელი.
სოფ. დეკანაშვილები (ხულოს რ.).



სურ. 52. შინნაქსოვი ზონარი "ბაღი"
სოფ. ჩხაკაურა (ჩოხატაურის რ.).



სურ. 53. სარტყელი.
სოფ. დეკანაშვილები (ხულოს რ.), მხატვ. ჯ. მიქელაძე.



სურ. 54. ხელსაფარი
"ხელიაზმა
სოფ. ღორჯომი
(ხულოს რ.).





სურ. 55. ქალის თავსაბურავი "ლეჩაქი
სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.).



სურ. 56. შინნაქსოვი აბრეშუმის ხონჯარი.
სოფ. ჭვანა (შუახევის რ.).

სურ. 57 ლეჩაქის თავზე
დამაგრების წესი.
სოფ. ბარათაული
(შუახევის რ.).

სურ. 58. სახის დასაფარი
პირბადე "ჩათხი"
სოფ. ღორჯომი
(ხულოს რ.).



სურ. 59 ლეჩაქსამაგრი "თავსაფარა
სოფ. ძირკვაძეები
(ხულოს რ.).

სურ. 60. შინნაქსოვი
ზონარი "ბალი
სოფ. ზოტი
(ჩოხატაურის რ.).



სურ. 61 ლეჩაქსამაგრი "თორი
სოფ. ინწკირვეთი (შუახევის რ.).

სურ. 62. ჭრელი წინდა.
სოფ. ღორჯომი
(ხულოს რ.).

სურ. 63. მამაკაცი
წინდებითა და ქალამნით.
სოფ. ღორჯომი
(ხულოს რ.).

სურ. 64. წინდა
"ხალისახე"
სოფ. ღორჯომი
(ხულოს რ.).

სურ. 65. ჭრელი წინდა
"ბურმალი"
სოფ. ნაღვარევი
(შუახევის რ.).

სურ. 66. შინ ნაქსოვი პაჭიკი "ზანკალი"
სოფ. ჭვანა (შუახევის რ.). მხატვ. ჯ. მიქელაძე.



სურ. 67. ნაქსოვი პაჭიკი "ხანკალი"
სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.).



სურ. 68. ქალამანი "კოლოტური"
სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.).



სურ. 69. ნაქსოვი ფეხსამოსი „კარაჭინი"
სოფ. ღორჯომი (ხულოს რ.).



სურ. 70. ხის ქერქისაგან ნაქსოვი ფეხსაცმელი
"ჩილატანი" "ჩალატანი
სოფ. ჩაქვისთავი (ქობულეთის რ.).

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. მასალა და ჭრა-კერვის ტექნიკა

1. საფეიქრო იარაღები 13
2. ქსოვილების დამზადება 17
3. ღებვა 38
4. ჭრა-კერვის ტექნიკა 41

თავი II. ქალის ტანსაცმელი

1 კაბის ტიპები 45
2. გარე სამოსელი 63
3. სამკაული 79

თავი III. მამაკაცის ტანსაცმელი 95

თავი IV თავსაბურავი 103

თავი V ფეხსამოსი და ფეხსაცმელი 122

დასკვნა 136

რეზიუმე რუსულ ენაზე 138

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 142

ილუსტრაციები 145

მხატვრული რედაქტორი გურამ გუჯაბიძე
ტექნიკური რედაქტორი რობერტ ლომაძე
პროგრამისტი მალხაზ ფაღავა
დამკაბადონებელი ედუარდ ანანიძე
ოპერატორი ირმა თაედიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.05.2005
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 11,75
შეკვ. №9
ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო